

მარიამ მკალაფიშვილი, მაია გოჭორიშვილი,
მაია ბაქრაძე, თამარ ხატიაშვილი

მოქალაქეობა 8

მასწავლებლის წიგნი



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებული ხარჯზე;
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;
- ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

მოქალაქეობა

8

მასწავლებლის წიგნი

მოქალაქეობა VIII კლასი

მასწავლებლის წიგნი

გამოცემის წელი და რიგითობა 2020 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
1. ეროვნული სასწავლო გეგმა	6
1.1 საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი	6
1.2 წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები	12
1.3 ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები	16
1.4 მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა.....	17
2. მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებულება და მისი გამოყენების თავისებურებანი	18
3. მიზნებისა და შინაარსის რუკა.....	21
3.1. თემის ეტაპებად აგების პრინციპი	21
3.2 თემატური მატრიცა.....	23
4. სწავლებისა და შეფასების მეთოდური რეკომენდაციები.....	157
4.1 სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის თავისებურებანი	157
4.2 მოსწავლის შეფასება.....	159
4.3. შეფასების სქემები	162
5. დანართები.....	184
6. ლექსიკონი.....	203
7. გამოყენებული ლიტერატურა	207

შესავალი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! გმადლობთ ჩვენი სახელმძღვანელოს მიმართ გამოხატული ნდობისა და არჩევანისთვის. საავტორო ჯგუფის მიზანია, მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალებითა და რესურსებით მეგზურობა გაგიწიოთ სასწავლო პროცესის საინტერესოდ და დინამიურად წარმართვაში. ვფიქრობთ, ჩვენი სახელმძღვანელოს დახმარებით თქვენ შეძლებთ, მოსწავლეები ჩართოთ ცოდნის აქტიურად აგების პროცესში.

სახელმძღვანელო „მოქალაქეობა 8“ ემსახურება საქართველოს მოქალაქის აღზრდასა და განათლებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს თანამედროვე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. დაეხმაროს მოსწავლეებს დემოკრატიული პრინციპების გაცნობიერებასა და მისი ღირებულებითი სისტემის ცხოვრების წესად ქცევაში. ჩამოუყალიბოს ის უნარ-ჩვევები, რაც მათ საზოგადოების აქტიურ წევრებად აქცევს, რადგან მოქალაქეობრივი აღზრდა-განათლება არის ინდივიდების სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა.

მასწავლებლის წარმოდგენილ სახელმძღვანელოში თქვენ გაეცნობით: ეროვნულ სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტს და მისი სასწავლო პროცესში გამოყენების თავისებურებებს; მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებულებასა და მისი გამოყენების თავისებურებებს; მიზნებისა და შინაარსის რუკას, კერძოდ, თემის ეტაპებად აგების პრინციპსა და თავად თემატურ მატრიცას; სწავლებისა და შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებს; სახელმძღვანელოს ახლავს დანართები, ლექსიკონი და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

სახელმძღვანელოს **პირველ თავში** გთავაზობთ საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტს, წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპებს, ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას.

მეორე თავში წარმოდგენილი მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებისა და მისი გამოყენების თავისებურებებზე მსჯელობა დაგეხმარებათ, ნათლად წარმოიდგინოთ თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა, მოცემული რესურსები თუ პირობითი აღნიშვნები და ეფექტურად გამოიყენოთ ისინი. მოსწავლის წიგნის აგების არქიტექტურა კი საინტერესო, უწყვეტ, სიუჟეტურ ქარგას გთავაზობთ.

მესამე თავში წარმოდგენილ მიზნებისა და შინაარსის რუკაში მოცემულია თემის ეტაპებად აგების პრინციპი, ხოლო თავად თემატურ მატრიცაში განხილულია პარაგრაფების დამუშავების დეტალური ინსტრუქციები, აქტივობების განხორციელების შესაბამისი რეკომენდაციები. მატრიცაში ასევე წარმოდგენილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, მათი შესრულების რეკომენდაციები, რაც დაგეხმარებათ თვალყური ადევნოთ მოსწავლეთა მიერ საინტერესო პროექტების განხორციელებასა და თემის მიზნების მიღწევას (მატრიცის განმარტება იხ. ლექსიკონში).

მეოთხე თავში მოცემული მეთოდური რეკომენდაციები დაგეხმარებათ გაიღრმავოთ ცოდნა სწავლების ჰუმანისტურ და კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე. მეთოდოლოგიურ ნაწილში მოცემულია კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები და შეფასების სქემები, რაც დაგეხმარებათ კონკრეტულ აქტივობებში მოსწავლეთა შეფასებაში.

სახელმძღვანელოს დანართებში საკანონმდებლო დოკუმენტებიდან წარმოდგენილი საჭირო ამონარიდები და ელექტრონული რესურსები (სახელმძღვანელოში გამოყენებული სტატიების, ვიდეოების, ვებ გვერდების და სხვა ბმულები) ავთენტურსა და საინტერესოს გახდის სწავლება/სწავლის პროცესს. სახელმძღვანელოს ახლავს ლექსიკონი, რომელიც გაგიადვილებთ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის მოსწავლეთათვის ახსნას.

მე-8 კლასის სახელმძღვანელო შედგება ორი თავისგან და გაერთიანებულია **თემატურ ბლოკში: მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება.**

პირველი თავის თემაა სამოქალაქო საზოგადოება. მისი მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ და მათ ცნობიერებაში მკვიდრ წარმოდგენად იქცეს ის, რომ საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია აქტუალური პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა; რომ საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად საინიციატივო ჯგუფის შექმნა ან/და სხვა ინსტიტუციების ჩართულობა/მოხილზება წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია; რომ საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან კოორდინირებით პიროვნების სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტიანობა იზრდება.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ თავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი ინიციატივები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და საზოგადოება, საზოგადოებრივი ცენტრები.

მეორე თავის თემაა ადგილობრივი თვითმმართველობა. მისი მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ და მათ ცნობიერებაში მკვიდრ წარმოდგენებად იქცეს ის, რომ ლოკალური პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაა; რომ თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით ადგილობრივი პრობლემები უფრო კონტრუქციულად და სწრაფად გვარდება; რომ მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩევნების, დასახლების საერთო კრების, საკრებულოს სხდომაზე დასწრების, პეტიციებისა და სხვა საშუალებით მონაწილეობენ; ასევე ის, რომ საკრებულო და მერია/გამგეობა ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა წინაშე.

ამ მიზნის მისაღწევად, მეორე თავში განხილულია: ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, მისი მიზნები, როლი ლოკალური პრობლემების მოგვარებაში; ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში; ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები; წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული ბალანსის მნიშვნელობა; თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია/გამგეობა) ორგანოების ფუნქციები, მათი საქმიანობის გამჭვირვალობა, საჯაროობა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე; ადრეული შეტყობინების სისტემა: მისი საჭიროება და მნიშვნელობა ადგილობრივ დონეზე ეკოლოგიური პრობლემების პრევენციისა და სხვა სამოქალაქო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.

და ბოლოს, მოსწავლის წიგნი დაწერილია ბავშვისთვის გასაგები, თანამედროვე ლექსიკით; პარაგრაფებში გახილული ამბები უკავშირდება რეალურ ცხოვრებას თუ მათივე თანატოლების თავს გადახდენილ რეალურ ისტორიებს, ქმნის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის წინაპირობებს, ამკვიდრებს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების სტანდარტებს, რითაც შესაძლებელს ხდის საგნის სწავლების მიზნების მიღწევას, მოსწავლეთა საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბებას!

გისურვებთ წარმატებებს!

1. ეროვნული სასწავლო გეგმა

1.1 საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი

საზოგადოებრივი მეცნიერებები საბაზო საფეხურზე

„მოქალაქეობა“

შესავალი

საბაზო საფეხურის „მოქალაქეობის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში მოსწავლე გაეცნობა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს; შეისწავლის ლოკალურ, სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეზე მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება სამოქალაქო აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მოქალაქეობის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში;
- ჩამოუყალიბოს საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- ასწავლოს სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები; გააცნობიერებინოს, რომ მას შეუძლია დამართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება;
- გამოუმუშავოს მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებები/დამოკიდებულებები (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა);
- დაეხმაროს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში;
- ჩამოუყალიბოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურცხოვრებაში მონაწილეობის კულტურა.

ამ მიზნებზე მუშაობით „მოქალაქეობა“ თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგან „მოქალაქეობის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია** - გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას, ემოციური ინტელექტის განვითარებას, სოციალური ნორმების, ქცევის მოდელის ადაპტირებას და სოციალურ ურთიერთობების გათავისებას;
- **ინიციატივა და მეწარმეობა** - გულისხმობს ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას; იდეების საქმედ ქცევასა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას;
- **სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება** - გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას; საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არაძალადობრივი მეთოდებით, კანონის დაცვით განხორციელებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს შინაარსი ან კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

მკვიდრი წარმოდგენები - თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

თითოეულ თემას ახლავს **შეფასების ინდიკატორები**. შეფასების ინდიკატორები განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტული თემის ფარგლებში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ. **მოქ.საბ.1**.

„**მოქ**“ მიუთითებს საგანს – „მოქალაქეობა“;

„**საბ**“ – საფეხურს (საბაზო საფეხური), რომლის ბოლოსაც არის მისაღწევი შედეგი;

„**1**“ – შედეგის რიგს (1 = პირველი შედეგი).

მოქალაქეობის სტანდარტის შედეგები (VII-X კლასები)		
შედეგები ს ინდექსი	მიმართულება: პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია	სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საბ.1.	საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეგულაცია);	სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას; საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე.
მოქ.საბ.2.	საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;	
მოქ.საბ.3.	საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა;	
მოქ.საბ.4.	დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.	
	მიმართულება: ინიციატივა და მეწარმეობა	დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლე- ბას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილე- ბული, არამედ მონაწილეობენ მმარ- თველობის განხორციელებაში; დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძა- ლადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა).
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მოქ.საბ.5.	მოკლედ აგრძელებს ადამიანის მიზნებ ისდასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გა- მოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;	
მოქ.საბ.6.	მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნი- ლებებისა და საჭიროებების გააზრება;	
მოქ.საბ.7.	ასაკის შესაბამისი ფინანსური უნარ-ჩვევების (მაგ., პირადი ფინანსების დაგეგმვა და პასუხისმგებლობით განკარგვა) გამოვლენა.	
	მიმართულება: სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	

მოქ.საბ.8.	სამოქალაქო აქტივობებში მოხალისეობის საფუძველზე ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე მოქმედების საჭიროების დანახვა;	განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება.
მოქ.საბ.9.	საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება;	სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;
მოქ.საბ.10	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრება და მათ საფუძველზე მოქმედება;	აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;
მოქ.საბ.11	ცხოვრებისეულ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;	სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება.
მოქ.საბ.12	სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა (ინფორმაციის მოპოვება, ლობირება, ადვოკატირება, ადვოკატირების გზით ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მონიტორინგი);	მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით;
მოქ.საბ.13	საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) საფუძველზე დასაბუთება.	გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი – ინდივიდი?
- რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი?
- როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?
- რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (მაგ., უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მოვლაზე)?
- როგორ ვიურთიერთო საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან?
- რატომ სჭირდება მოქალაქეს კანონების ცოდნა?

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის ამ ნაწილში განსაზღვრულია, თუ რა პრინციპების საფუძველზე უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ასევე, მოცემულია მოკლე ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს კონკრეტული სასწავლო ერთეულის – თემის სწავლა-სწავლება.

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

ინფორმაცი- ული და საკომუნი- კაციო ტექნოლო- გიების გამოყენება	ადვოკატირების კამპანიის წარმართვა სოციალური ქსელის გამოყენებით; პეტიციის შექმნა; იმეილის საშუალებით, თანაკლასელებს და მასწავლებელს შორის ინფორმაციის გაცვლა; ვებ გვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება; ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ესაქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისი).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის

მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

1.2 წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლება) საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები თემატური მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოადგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატურ მკვიდრ წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).
შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.
საგნობრივი საკითხები წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რაზე უნდა იმუშავოს მოსწავლემ თემის ფარგლებში.

საკითხებზე დაყრდნობით ხდება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.
ქვეცნებები ქვეცნებები წარმოადგენს იმ ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც სამიზნე ცნებებიდან გამომდინარეობენ და რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.
კომპლექსური დავალება კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები და რესურსები თემატური მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.
შეფასების ინდიკატორები შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.

შუალედური მოკლევადიანი მიზნის როლს თემატურ გეგმაში კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები საკითხი, ქვეცნებები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები ასრულებენ.

თემის ფარგლებში ასევე გამოიყოფა თემატური მკვიდრი წარმოდგენები. მათი ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. თემატური მკვიდრი წარმოდგენების განსაზღვრა	
ნაბიჯი 2. თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების განსაზღვრა	
ნაბიჯი 3. თემის ფარგლებში/თემაში წარმოდგენილ თითოეულ საკითხთან მიმართებით თითოეული სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებების განსაზღვრა.	
ნაბიჯი 4. საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა	
ნაბიჯი 5. კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა.	
ნაბიჯი 6. აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება.	

დ) შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა - რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

ქვემოთ გათვალისწინებული ტიპობრივ შემთხვევებზე დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზე დამოკიდებული თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტი;
- ადვოკატირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული პროექტი;
- ქველმოქმედების მიზნით განხორციელებული პროექტი.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემთხვევითი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

1.3 ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

ა) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.** მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.

ბ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.** ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.

გ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.** მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.

დ) **სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).** სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია


დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) **სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.**

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?



1.4 მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლა-სწავლების დროს;

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

2. მოსწავლის სახელმძღვანელოს აგებულება და მისი გამოყენების თავისებურებანი

მოსწავლის სახელმძღვანელოს სტრუქტურა

1. სახელმძღვანელო შედგება ორი თავისგან, რომელიც ერთიანდება თემატურ ბლოკში: მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება

I თავი - თემა: სამოქალაქო საზოგადოება

პარაგრაფები:

1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში;
2. საზოგადოებრივი ინიციატივები;
3. არასამთავრობო ორგანიზაციები;
4. მედია და საზოგადოება;
5. საზოგადოებრივი ცენტრები.

II თავი - თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა

პარაგრაფები:

1. მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები;
3. მერიის ფუნქციები;
4. საკრებულოს ფუნქციები;
5. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა;
6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები;
7. გამჭვირვალობა და საჯაროობა;
8. ადრეული შეტყობინების სისტემა.

2. მოსწავლის სახელმძღვანელოს თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა:

✓ წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები

1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში


საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს:



✓ თეორიული ტექსტი - კონკრეტული მაგალითებით, როგორც თანატოლთა მონათხრობის, ასევე ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაციით, მიზნობრივი ილუსტრაციებით, ფოტოებით.




✓ სავარჯიშოების, დავალებების ნაწილი.



✓ ყოველ დავალებასთან - შესაბამისი პიქტოგრამა

	იმუშავე ინდივიდუალურად		
	კომპლექსური დავალება		იმუშავეთ წყვილებში
	დისკუსია		საშინაო დავალება
	უპასუხე კითხვებს:		პროექტი
	იმუშავეთ ჯგუფებში		იმსჯელე

✓ ზოგიერთ პარაგრაფთან - რუბრიკა „ცოტა რამ ისტორიიდან“



3. ორივე თავის ბოლოს მოცემულია კითხვები თვითშეფასებისთვის.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?
2. რამდენად გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?
3. რა აღმოაჩინე ახალი რამ?
4. რაზე შეშინდი ამ რამდენიმე წუთში? რაზე იფიქრებ?
5. რა დარსა შეგინდო შენი წესი? რაზე იფიქრებ?
6. რამდენად გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?
7. რამდენად გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?
8. საინტერესოა შენთვის საკითხის ძირითადი იდეა?
9. რამდენად გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?
10. რამდენად გაიგე საკითხის ძირითადი იდეა?


4. სახელმძღვანელოს ბოლოს ახლავს ლექსიკონი და დანართი - ამონარიდები საკანონმდებლო დოკუმენტებიდან.

3. მიზნებისა და შინაარსის რუკა

3.1. თემის ეტაპებად აგების პრინციპი

VIII კლასში მუშავდება თემატური ბლოკი: მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება.

ბლოკი იყოფა 2 თემად: სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი თვითმმართველობა. თითოეული თემა მუშავდება ეტაპებად. ყოველ ეტაპში პარაგრაფები გაერთიანებულია ქვეცნებებისა და საკვანძო შეკითხვების მიხედვით.



II თემა - ადგილობრივი თვითმმართველობა

I ეტაპი

1. ადგილობრივი თვითმმართველობა
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები

პასუხობს საკვანძო კითხვას: რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალება მას?

II ეტაპი

3. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციები
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციები

პასუხობს საკვანძო კითხვას: რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად?

III ეტაპი

5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა
6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს, რომლებიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოქალაქეთა თანამშრომლობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხებს.

IV ეტაპი

7. გამჭვირვალობა და საჯაროობა

პასუხობს საკვანძო კითხვას: როგორ შემიძლია თვალყური ვადევნო თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას და მოვითხოვო საჯარო ინფორმაცია?

V ეტაპი

8. ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის

პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს, რომლებიც ეხება ეკოლოგიურ პრობლემებსა და საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე რისკების შესამცირებლად და კატასტროფების შედეგების შესამსუბუქებლად მოქალაქეთა თანამშრომლობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

3.2 თემატური მატრიცა

VIII კლასი

თემატური ბლოკი: მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება და ადგილობრივი ხელისუფლება

თემა: სამოქალაქო საზოგადოება	საათების სავარაუდო რაოდენობა – 14 საათი
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: • საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია აქტუალური პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა; • საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად საინიციატივო ჯგუფის შექმნა ან/და სხვა ინსტიტუციების ჩართულობა/მოხილიზება წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია; • საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან კოორდინირებით პიროვნების სამოქალაქო მონაწილეობის ეფექტიანობა იზრდება.	
თემატური საკვანძო შეკითხვები • როგორ იქმნება სამოქალაქო საზოგადოება? • რატომ და როგორ იქმნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფები? • როგორ ფუნქციონირებენ საზოგადოებრივი ინსტიტუტები (არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფები, საზოგადოებრივი ცენტრი) და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება? • როგორ ვითანამშრომლო პრობლემის გადასაჭრელად ან პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან (არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფებთან, საზოგადოებრივ ცენტრთან) ? • როგორ შეუძლიათ თემში მცხოვრებ ქალებსა და კაცებს თანასწორი მონაწილეობა საზოგადოებრივ აქტივობებში?	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: 1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში; 2. საზოგადოებრივი ინიციატივები; 3. არასამთავრობო ორგანიზაციები; 4. ადგილობრივი და სოციალური მედია; 5. საზოგადოებრივი ცენტრები.	

	I ეტაპი 1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში პასუხობს საკვანძო კითხვას: როგორ იქმნება სამოქალაქო საზოგადოება?		კომპლექსური დავალებები
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში სოციალიზაცია - პიროვნება, საზოგადოება დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები -საზოგადო ინტერესები, ადამიანის უფლებები ინიციატივა - საჭიროება, საზოგადოებრივი ჯგუფები სამოქალაქო მონაწილეობა - აქტიური მოქალაქე, სამოქალაქო საზოგადოება	როგორ იქმნება სამოქალაქო საზოგადოება?	
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდის მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უზღუდვით ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; - ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური პარამონიულობის ურთიერთობას; - საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13)	1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიუობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: წინარე ცოდნის გააქტიურება: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, ვის ვუწოდებთ პიროვნებას და როგორია მისი როლი საზოგადოების განვითარების პროცესში. სთხოვს, იმსჯელონ შემდეგ კითხვებზე: შენი აზრით, რა თვისებები გამოარჩევს პიროვნებას საზოგადოებაში? რა გავლენას ახდენს პიროვნება საზოგადოების განვითარებაზე?		

• დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; • მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის	რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები იხსენებენ საზოგადოებაში გამორჩეულ პიროვნებებს და იწყებენ მსჯელობას მათ თვისებებზე, ასევე შეიძლება დაასახელონ კონკრეტული პიროვნებები და იმსჯელონ მათ მაგალითზე დაყრდნობით; აღნიშნულ აქტივობაში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა გამოცდილების გააქტიურება, ერთმანეთის მაგალითების მოსმენა. სასურველია, მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს დასახელებული მაგალითებიდან გამოყონ პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებსაც შემდგომ მოქალაქის მახასიათებლებად გამოიყენებენ (მაგ. სამართლიანი, მიზანდასახული, მზრუნველი, უშიშარი, ინიციატივიანი, აქტიური და სხვა). მოსწავლეები დაასკვნიან, რომ საზოგადოებაზე დადებით ზეგავლენას აქტიური და საქმიანი, სხვებზე მზრუნველი პიროვნებები ახდენენ. აქტივობა 2. მოქალაქისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება. მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოს ტექსტს, სადაც საუბარია საზოგადოებასა და პიროვნებას შორის მიმართებაზე და ასევე მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29.1 მუხლი. მოსწავლეები გაიხსენებენ/დაასახელებენ 3 საზოგადოებას, რომლის წევრადაც მიიჩნევენ თავს, ხოლო შემდეგ მსჯელობენ იმ უფლებამოვალეობებზე, რომელიც ამ საზოგადოების წინაშე	
--	---	--

- სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;
- აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;
 - სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება.

მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11)

- ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით;
- გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).

გააჩნიათ. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ წიგნში რაიმეს ჩაწერა დაუშვებელია, ცხრილი გადახაზონ რვეულში და შეავსონ. მოსწავლეები შეავსებენ ცხრილს, სადაც თვალსაჩინოდ წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს იმ უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის მიმართ გააჩნიათ.

საზოგადოება	ნებაყოფლობითი / სავალდებულო	უფლებები	მოვალეობები

რეკომენდაცია მასწავლებელს: მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აღმოაჩენინოს კავშირი საზოგადოებასა და მოქალაქეს შორის. შესაძლოა, მეტი თვალსაჩინოებისათვის მასწავლებელმა ეს ცხრილი, მოსწავლეთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, თავადაც შეავსოს დაფაზე და შემდეგ კითხვებით მათვე განაზოგადებინოს. მოსწავლეები დაინახავენ, რომ სხვადასხვა საზოგადოების წინაშე განსხვავებული უფლება-მოვალეობები გვაკისრია და საზოგადოების სიძლიერე მისი წევრების მიერ უფლებების ცოდნასა და მოვალეობათა გააზრება/შესრულებაზეა დამოკიდებული. საზოგადოების

	წევრის გადაწყვეტილებები განსხვავდება ინდივიდუალური გადაწყვეტილებისგან, რადგან ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილებები არა ერთი, რომელიმე ჩვენგანის, არამედ ჯგუფის ყველა წევრის ინტერესებს ეფუძნება. აქტივობა 3. მაჰათმა განდის მოსაზრების გაცნობა. მოსწავლეები ეცნობიან ცნობილი ინდოელი სამოქალაქო აქტივისტისა და პოლიტიკოსის, მაჰათმა განდის მოსაზრებას: „ის, რასაც აკეთებთ, შესაძლებელია მეტისმეტად უმნიშვნელოდ გეჩვენებოდეთ, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მაინც განაგრძოთ თქვენი საქმის კეთება.“ რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ მოცემულ მოსაზრებაზე, მოიყვანონ მაგალითები პირადი გამოცდილებიდან და ისტორიიდან, გაიაზრონ, თუ რატომაა მნიშვნელოვანი იმის რწმენა, რომ ერთ ადამიანსაც კი შეუძლია ყველაფერი შეცვალოს და ამის არა ერთი მაგალითი აქვს ისტორიას. აქტივობა 4. ლიეტუვის პრეზიდენტის, დალია გრიბაუსკაიტეს სიტყვა ქართველი საზოგადოებისადმი მოსწავლეები გაეცნობიან ლიეტუვის პრეზიდენტის მიმართვას ქართველი საზოგადოებისადმი და დაიწყებენ მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რას	
--	--	--

	გულისხმობს ლიტუვის პრეზიდენტის გზავნილი - მომავალი მხოლოდ თქვენს ხელშია. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეების მსჯელობაში მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, რომ ქვეყნის მომავლის შექმნა შეუძლიათ აქტიურ მოქალაქეებს. ამაზე პასუხი შევითხვის ქვემოთ მოცემულ აზრაცში იკითხება. მოსწავლეები განავრცობენ თავიანთ მოსაზრებებს აქტიური მოქალაქის შესახებ. საკითხის შეჯამებისას გამოიკვეთება, რომ ქვეყნის მომავალს შექმნიან ის მოქალაქეები, რომელთაც ექნებათ საზოგადოებისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების უნარები. აქტივობა 5. ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი უზნაძის შეხედულებების გააზრება. მოსწავლეები ეცნობიან ექვთიმე თაყაიშვილისა და დიმიტრი უზნაძის შეხედულებებს მოქალაქესა და დემოკრატიაზე, რომელზე დაყრდნობითაც იწყებენ მსჯელობას, თუ რა თვისებები გამოარჩევს ამ პიროვნებებს და მათი რომელი მახასიათებლებისა თუ მოქმედებების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი აქტიური მოქალაქეები, საზოგადოების წევრები არიან; როგორ იქმნება საზოგადოება და რა განასხვავებს მას უბრალოდ ინდივიდთა სიმრავლისგან.	
--	---	--

	რეკომენდაცია მასწავლებელს: აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით, მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია პიროვნებების გაერთიანება საზოგადოების საერთო ინტერესებისა და საქმის გარშემო, ურთიერთდახმარება და უნაგარობა. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს, რომ საზოგადოებაში მოქალაქეს საერთო საქმისადმი ინტერესი და თანმიმდევრულობა გამოარჩევს; მნიშვნელოვანია არა ზოგიერთის, არამედ თითოეული მოქალაქის აქტიურობა; პიროვნების სამოქალაქო ჩართულობა სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი და მაგალითის მიმცემია სხვებისათვის. ასეთი პიროვნებების ერთობა კი ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას. აქტივობა 6. რა არის დემოკრატია? მოსწავლეები აგრძელებენ მსჯელობას და ეცნობიან თომას ჯეფერსონისა და აბრაამ ლინკოლნის შეხედულებებს დემოკრატიის შესახებ და მათ მოსაზრებებზე დაყრდნობით, აყალიბებენ თავიანთ აზრს, თუ რა არის დემოკრატია, მსჯელობენ დემოკრატიის მთავარ პრინციპებზე, როგორიცაა თანასწორობა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლება. მოსწავლეები შეაჯამებენ თავიანთ მოსაზრებებს დემოკრატიის მთავარი	
--	--	--

	მახასიათებლის გაცნობიერებით, რომ დემოკრატიაში უპირველესი ხალხის ნების უზენაესობაა. კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვებში მოქალაქეთა მონაწილეობის მაგალითის გაცნობით, მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ დემოკრატია არის სისტემა, სადაც ხალხი ადგენს წესებს (კანონებს), რომლებსაც შემდეგ თვითონვე ემორჩილება. რეკომენდაცია მასწავლებელს: მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილებინოს, რომ დემოკრატიის შექმნა თითოეული ადამიანის მონაწილეობით/ჩართულობითაა შესაძლებელი, თანაც ყოველ მათგანს, ქალი იქნება თუ კაცი, ამ პროცესში თანაბარი მონაწილეობის უფლება აქვს. განსაკუთრებით უნდა გამოკვეთოს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში, რადგან ქალთა მონაწილეობას ჯერაც მრავალი ხელშემშლელი პირობა აქვს. ასევე, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ საზოგადოებრივი საკმეების გადაჭრაში ქალებსა და კაცებს თანაბარი პასუხისმგებლობები გააჩნიათ და ისინი ერთად ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას. (ქალთა მონაწილეობის საკითხს ისინი შემდეგ პარაგრაფებშიც მიუბრუნდებიან). მოსწავლეები განიხილავენ, თუ როგორ შეიძლება ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხის	
--	---	--

	შეფასება და ეცნობიან დემოკრატიის ოთხ კომპონენტს: 1. დემოკრატიული ანუ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა; 2. ადამიანის უფლებების დაცვა; 3. ღია და ანგარიშვალდებული მთავრობა; 4. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. აქტივობა 7. კატოსა და მისი მეგობრების აქტივობა მოსწავლეები ეცნობიან რეალურ ისტორიას და შემდეგ პასუხობენ კითხვებს; მსჯელობენ, თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს საზოგადოება და რა უნდა გააკეთოს თითოეულმა ამისათვის? რეკომენდაცია მასწავლებელს: პირველ კითხვაში მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ხშირად ინდივიდუალურად მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავდება საზოგადოებაში მიღებული გადაწყვეტილებებისგან და სწორედ მოქალაქედ ჩამოყალიბების მანიშნებელია ის, რომ პიროვნება გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ; მეორე კითხვაში მნიშვნელოვანია მოქალაქის ისეთი მახასიათებლების გამოკვეთა, როგორიცაა მიზანსწრაფულობა, აქტიურობა, თანმიმდევრულობა, უანგარობა, კანონმორჩილება/ტოლერანტობა და სხვა.	
--	---	--

	მესამე კითხვის პასუხებში უნდა გამოჩნდეს, რომ მოსწავლემ გაიაზრა დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი: ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოხატვის თავისუფლება თანასწორ გარემოში. მეოთხე კითხვა: მოსწავლეთა მსჯელობაში უნდა გამოიკვეთოს, რომ საზოგადოების სიმდიერეს მასში მცხოვრები მოქალაქეების მიერ საერთო საქმის, პრობლემების გადაჭრის, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების, პროცესებში მონაწილეობის სურვილი და შესაძლებლობა განაპირობებს. მეხუთე კითხვა: მოსწავლემ უნდა განსაზღვროს საკუთარი როლი საზოგადოებაში და გამოთქვას მოსაზრება, თუ რა დადებითი წვლილის შეტანა შეუძლია მის განვითარებაში. აქტივობა 8. იმუშავეთ წყვილებში გაიხსნე ღირსეული პიროვნებები წარსულიდან ან თანამედროვეობიდან, რომლებსაც მიიჩნევთ აქტიურ მოქალაქეებად. დაასაბუთე არგუმენტებით. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებს შეუძლიათ, წინა სავარჯიშოში (უპასუხე კითხვებს) გამოკვეთილი თვისებების მიხედვით, აარჩონ კონკრეტული აქტიური მოქალაქეები; ხოლო მეორე გრაფაში არგუმენტებად ჩაწერონ აქტიური	
--	--	--

	მოქალაქეების ის კონკრეტული საქმეები, რაც მათ მოქალაქეობრიობაზე მეტყველებს. აქტივობა 9. დისკუსია გამართეთ დისკუსია თემაზე: რატომ უნდა ვიყო აქტიური მოქალაქე? საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ საკმარისია ადამიანმა საკუთარი საქმე აკეთოს, იზრუნოს პირად კეთილდღეობაზე, მიხედოს ოჯახს და არ არის აუცილებელი, ჩაერთოს საზოგადოებრივ აქტივობებში. აღნიშნულ დისკუსიაში უნდა გამოჩნდეს ის არგუმენტები, რომლითაც მოსწავლე შეადარებს მოქალაქის აქტიურობისა და პასიურობის შედეგებს, თვალსაჩინოდ დაინახავს, რომ აქტიურობას მოსდევს პოზიტიური ცვლილებები და პრობლემების გადაჭრა, ყველას ინტერესის გათვალისწინების გზით, ხოლო პასიურობის შემთხვევაში, შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ გარკვეული ჯგუფების ინტერესები და ვერ გადაიჭრას ყველასათვის მნიშვნელოვანი პრობლემები. აქტივობა 10. საშინაო დავალება მოიძიე ინფორმაცია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნახე მასზე	
--	--	--

	გადაღებული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები. მოამზადე პრეზენტაცია, რომელშიც ასახული იქნება ექვთიმე, როგორც საზოგადო მოღვაწე. მოიყვანე მისი აქტიური მოქალაქეობის დამადასტურებელი სამი არგუმენტი. რეკომენდაცია მასწავლებელს: აღნიშნული დავალება დაეხმარება მოსწავლეს გაეცნოს საზოგადოების სამსახურის თვალსაჩინო მაგალითს, გაავლოს კავშირი პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, გაიაზროს ის საფუძვლები, რის გამოც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების სასარგებლოდ. ექვთიმეს მაგალითზე დაინახოს, თუ რა როლს ასრულებს პიროვნება საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საქმეში.	
	რესურსები: 1. დოკუმენტური ფილმი- ექვთიმე. https://1tv.ge/video/eqvtime/ 2. ექვთიმე ღვთისკაცი - მხატვრული ფილმი 2018 https://www.youtube.com/watch?v=89KY_z8pLzg	

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული წარმოდგენები	II ეტაპი 2. საზოგადოებრივი ინიციატივები 3. არასამთავრობო ორგანიზაციები პასუხობს იმ საკვანძო კითხვებს, რომლებიც ეხება ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათთან თანამშრომლობის გზებს.		კომპლექსური დავალებები
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	
	საზოგადოებრივი ინიციატივები სოციალიზაცია - საერთო ინტერესები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები ინიციატივა - საინიციატივო ჯგუფები, სამოქალაქო ინიციატივები სამოქალაქო მონაწილეობა - ლობირება, ადვოკატირება, არასამთავრობო ორგანიზაციები მდგრადი განვითარება - პრევენცია, მიტიგაცია	- რატომ და როგორ იქმნებიან ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები? - როგორ ფუნქციონირებენ ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება? - როგორ ვითანამშრომლო პრობლემის გადასაჭრელად ან პროექტის ფარგლებში ინტერესთა/საინიციატივო ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან? - როგორ შეუძლიათ თემში მცხოვრებ ქალებსა და კაცებს თანასწორი მონაწილეობა საზოგადოებრივ აქტივობებში?	
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი;	2. საზოგადოებრივი ინიციატივები აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება		შემაჯამებელი კომპლექსური დავალება - პროექტი

• ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ურთიერთობის; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; • მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების	• რა აერთიანებთ აქტიურ მოქალაქეებს თემში? • როგორ შეუძლიათ აქტიურ მოქალაქეებს თემის კეთილდღეობისთვის ზრუნვა? რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი წამოჭრის საკითხს, რის საფუძველზეც მოსწავლეები იწყებენ თემაზე ფიქრს და მსჯელობას. კითხვებზე პასუხი უზრუნველყოფს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას. უქმნის მას წინასწარ წარმოდგენას გაკვეთილის თემატიკის შესახებ და ქმნის საფუძველს ახალი გამოცდილების კონსტრუირებისათვის, თუ რატომ შეიძლება გაერთიანდნენ მოქალაქეები თემში და რისი გაკეთება შეეძლება მათ ერთობლივი ძალით. აქტივობა 2. ლუკას ისტორიის განხილვა. მოსწავლეები გაეცნობიან მათი თანატოლის, ლუკას, ამბავს, იწყებენ ამბის განხილვას შემდეგი კითხვების მიხედვით: რა უდევს საფუძვლად ლუკას ინიციატივას? როგორ შეძლო ლუკამ თავისი იდეის განხორციელება? რა არის საჭირო იმისთვის, რომ ერთი ადამიანისგან წამოსული იდეა საზოგადოებრივ საქმედ იქცეს? რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ ისტორიის განხილვის მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ერთი ადამიანისგან წამოსული იდეა/ინიციატივა	I ეტაპი - წინამოსამზადებელი სამუშაო: 1. კლასში გაეცანით სასკოლო კლუბების ინიციატივებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. 2. ნახეთ დოკუმენტური ფილმი „ინიციატივა ცვლილებებისთვის“. დააკვირდით და გამოკვეთეთ თქვენთვის საინტერესო ინიციატივები მე-19 და 21-ე საუკუნეებში, რომელს მიაწიჭებდი უპირატესობას და რატომ? თქვენ რა ინიციატივას დაამატებდით? https://osgf.ge/publication/iniciativa-cvilebebi/ II ეტაპი - საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება და პროექტის დაგეგმვა გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი მოსაზრებები სასკოლო და საზოგადოებრივ ინიციატივებთან დაკავშირებით; სკოლის ან თემის საჭიროებების შესაბამისად და თქვენი ინტერესების მიხედვით გადანაწილდით ჯგუფებში, შეარჩიეთ და ჩამოაყალიბეთ ინიციატივა თქვენთვის საინტერესო მიმართულებით. ეს შეიძლება იყოს: ✓ საგანმანათლებლო, ✓ საზოგადოებრივი, ✓ შემოქმედებითი ✓ სპორტული პროექტის დაგეგმვა
---	---	---

შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით;	შეიძლება სხვებისთვისაც მნიშვნელოვანი და სასარგებლო აღმოჩნდეს და გაერთიანებული ძალებით მეტი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. ამ მიზნით ადამიანები საზოგადოებაში ქმნიან საინიციატივო ჯგუფებს. მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ინტერესთა ჯგუფების შემნის იდეაა წარმოაჩინონ საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე სოციალური თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების აქტუალობა; ასევე შეიძლება, მოქალაქეებმა შექმნან გაერთიანება და ერთობლივი ძალებით იმოქმედონ პრობლემის გადასაჭრელად. მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოების ინტერესების დასაცავად აქტივობის ისეთ ფორმას, როგორიცაა ადვოკატირება. აქტივობა 3. სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითების მოყვანა მოსწავლეები ეცნობიან/იხსენებენ 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი წყალდიდობის შემთხვევას და განიხილავენ სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითს. რეკომენდაცია მასწავლებელს: მაგალითის განხილვისას მოსწავლეები საკუთარ აზრს არგუმენტებით ასაბუთებენ, თუ რატომ არის ეს შემთხვევა სამოქალაქო აქტივიზმი, რითაც უფრო სიღრმისეულად ეცნობიან სამოქალაქო აქტივიზმის არსს. ისინი იხსენებენ მსგავს მაგალითებს.	თქვენ მიერ შერჩეული ინიციატივის განსახორციელებლად დაგეგმეთ პროექტი. პროექტზე მუშაობის დაწყებამდე ჯგუფებში განსაზღვრეთ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებთ. დეტალურად აღწერეთ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებთ რის შემდეგ და სხვ.), მიზნები, ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებთ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინოთ თქვენი ნამუშევრები და იმსჯელოთ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე. რეკომენდაციები პროექტის დასაგეგმად: პროექტში განხილული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და ცხადად დასაბუთებული; მიზანი – კონკრეტული, ნათელი, მიღწევადი და გაზომვადი; თითოეული აქტივობა უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზანს; განხორციელების გზები უნდა იყოს რაციონალური, პრაქტიკული და უზრუნველყოფდეს მიზნის მიღწევას; აქტივობების განხორციელების ვადები – რეალური;
--	---	--

გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაცრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	მსჯელობენ იმ დადებით შედეგებზე, რასაც სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევაში ვიღებთ, (აქ შესაძლოა მასწავლებელმა ჰკითხოს, რა სირთულეებს ან პრობლემას შეიძლება წააწყდნენ სამოქალაქო აქტივისტები). მასწავლებელმა ასევე ყურადღება უნდა გაამახვილებინოს სათემო ორგანიზაციების მუშაობაზეც, რომელთა დახმარებითაც მოქალაქეები შესაბამის ორგანიზაციებს წარუდგენენ მათთვის აქტუალურ პრობლემაზე ინიციატივას და ცდილობენ შედეგის მიღწევას. მნიშვნელოვანია, განიხილონ რომელიმე სათემო ორგანიზაციის აქტიურობით მიღწეული შედეგები, რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ პოზიტიური დამოკიდებულება/რწმენა საკითხების წამოჭრისა და მოქმედების საჭიროების მიმართ. აქტივობა 4. „გაფიცვა ქალაქისთვის“ – სტუდენტები და მოსწავლეები თბილისში საპროტესტო აქციას მართავენ. მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას თბილისში ჩატარებული აქციის შესახებ (საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა – „ახალგაზრდა მწვანეებმა“ თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობა გააპროტესტეს). დაიწყებენ მსჯელობას შემდეგი კითხვების	ფუნქციები გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის; შედეგი უნდა იყოს რეალურად მისაღწევი და შეესაბამებოდეს მიზანს; რესურსები (ადამიანური და ფინანსური) – პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად ზუსტად განსაზღვრული; პროექტის შინაარსი – ლოგიკურად აგებული, აქტივობები თანმიმდევრული, ლაკონური და მარტივი ენით გადმოცემული. შეგიძლიათ გამოიყენოთ მოცემული სქემა: (სახელმძღვანელოში მოცემულია სქემა, რომელსაც მასწავლებელი სთავაზობს, როგორც ნიმუშს). გაითვალისწინე, რომ ამ თავის შესწავლისას შენ გაიმდიდრებ წარმოდგენებს სამოქალაქო ინიციატივებთან დაკავშირებით, რაც დაგეხმარება პროექტის სრულყოფაში. თავის დასრულების შემდეგ კი პროექტის პრეზენტაციის სახით შეაჯამებთ შესწავლილ მასალას. ეს იქნება თავის შემაჯამებელი სამუშაო - პროექტის პრეზენტაცია. მოსწავლის შეფასება საინიციტივო ჯგუფი ჩამოყალიბებულია
--	---	--

	მიხედვით: • რა აერთიანებთ ამ აქტივისტებს? • როგორ ფიქრობ, რა გავლენას იქონიებს საზოგადოებაზე ეს აქცია? რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები გაიაზრებენ, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი ფორმებით მოქალაქეებმა გამოხატონ საკუთარი აზრი, დააფიქსირონ პრობლემა და მოსთხოვონ ქალაქის ხელისუფლებას იზრუნოს, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ეკოლოგიური პრობლემის მოსაგვარებლად. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიყვანონ მათთვის ცნობილი სხვა მაგალითებიც და იმსჯელონ პრობლემების აქტიურად წარმოჩენის მნიშვნელობაზე. აქტივობა 5. მაღალა იუსაფზაი. მოსწავლეები ეცნობიან გაეროს მშვიდობის ყველაზე ახალგაზრდა ელჩის ისტორიას. გამოყოფენ იმ პრობლემას, რის წინაშეც აღმოჩნდა მათი თანატოლი გოგონა და განიხილავენ მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, იწყებენ მსჯელობას შემდეგი კითხვების გარშემო: • რა გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაზე მაღალა იუსაფზაის	საერთო ინტერესების გათვალისწინებით. • შერჩეული ინიციატივა აქტუალურია და ცხადად დასაბუთებული. • მიზანი კონკრეტულია, მიღწევადი და გაზომვადია. • თითოეული აქტივობა შეესაბამება პროექტის მიზანს. • განხორციელების გზები რაციონალურია და უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას. • აქტივობების განხორციელების ვადები – რეალურია. • ფუნქციები ზუსტად გადანაწილებულია ჯგუფის წევრებს შორის. • შედეგები რეალურად მიღწევულია და შეესაბამება მიზანს. • რესურსები (ადამიანური და ფინანსური) – პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად ზუსტადაა განსაზღვრული. (მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“)
--	---	---

	ინიციატივამ და მოქმედებამ? • რატომ გამოუცხადა სოლიდარობა მსოფლიომ 14 წლის პაკისტანელ გოგონას? • არის თუ არა ქალთა განათლების მიმართულებით საქართველოში პრობლემა? გაიხსენე კონკრეტული მაგალითები. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი მითითებულ ბმულზე წინასწარ ეცნობა ამბავს მაღალაზე (ასევე საინტერესო იქნება ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის მიერ გამოცემული წიგნის „მე ვარ მაღალა“ გაცნობა და შესაბამისად გამოყენება), რათა გაამახვილებინოს ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მაღალას მიერ ქალთა განათლების უფლებაზე პრობლემის წამოჭრა; განიხილონ, რატომაა მნიშვნელოვანი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მიერ კონკრეტული მოქალაქის უსაფრთხოების დაცვა და მისი იდეის მხარდაჭერა, რამაც ხელი შეუწყო მაღალას, გამკლავებოდა პრობლემას. მოსწავლეებმა მაღალას მაგალითზე უნდა იმსჯელონ, მათ საკუთარ გარემოში რამდენად აქტუალურია ქალთა განათლების უფლება, არის თუ არა ხელშემშლელი ფაქტორები და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა და სხვა. მოიყვანონ პირადი გამოცდილებიდან სხვა მაგალითები.	
--	--	--

	აქტივობა 6. ნიკო ნიკოლაძე - ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს. მოსწავლეები გაეცნობიან ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიერ განხორციელებულ პროექტებს და მსჯელობენ, თუ რა გავლენა მოახდინა ნიკო ნიკოლაძის სამოქალაქო აქტიურობამ ქვეყნის განვითარებაზე? რეკომენდაცია მასწავლებელს: ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითის განხილვით, მოსწავლეები დაინახავენ, რომ მოქალაქის აქტიურმა ჩართულობამ ქვეყნის ცხოვრებაზე შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ყველა მიმართულებით. მასწავლებელს შეუძლია წამოჭრას საკითხი, ვისი დახმარება სჭირდება პიროვნებას ცვლილებებისთვის და დამატებით გააცნოს ნ. ნიკოლაძის შეხედულება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დაარსებაზე; ნ. ნიკოლაძე თვლიდა, რომ აუცილებელია თანამოაზრეთა გაერთიანება ყველა მიმართულებით. „ძალა ერთობაშია, თანამოაზრე ადამიანთა გაერთიანებული მცდელობა რაღაც შედეგის მომტანია; მარტო კაცი, თუნდ ილია ჭავჭავაძე, ვერაფერს მიაღწევს. კერძო პირი ცხოვრებაში	
--	---	--

უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იხტუნაოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თავისი ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა მას მაინც უპოვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრიალებს,“- წერდა ნ. ნიკოლაძე. სწორედ ამ წერილის გაცნობის საფუძველზე შეუძლია მასწავლებელს უბიძგოს მოსწავლეებს მსჯელობისკენ, თუ რატომაა აუცილებელი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით გაერთიანება.

აქტივობა 7. უპასუხე კითხვებს:

1. რა უდევს საფუძვლად მოქალაქეთა საზოგადოებრივ აქტივობას?
2. რა ინიციატივებით შეიძლება გამოვიდნენ აქტიური მოქალაქეები?
3. ქვეყნის განვითარებასა და წინსვლისათვის რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ინიციატივებსა და სამოქალაქო აქტივიზმს?
4. როგორ შეიძლება აისახოს მოქალაქეთა პასიურობა საზოგადოების განვითარებაზე?

რეკომენდაცია მასწავლებელს: აღნიშნულ კითხვებზე პასუხით მოსწავლეები შეაჯამებენ სამოქალაქო აქტივიზმისა და ინიციატივების შესახებ მიღებულ ცოდნას. გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს. გაიაზრებენ საკვანძო კითხვაზე პასუხს, რომ

	საზოგადოებაში პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად საინიციატივო ჯგუფის შექმნა ან/და სხვა ინსტიტუციების ჩართულობა/მოხილზება წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია; აქტივობა 8. შემაჯამებელი კომპლექსური დავალება - პროექტი I ეტაპი - წინამოსამზადებელი სამუშაო 1. ინტერესების მიხედვით გადანაწილდით ჯგუფებში, შეარჩიეთ და ჩამოაყალიბეთ ინიციატივა თქვენთვის საინტერესო მიმართულებით. 2. გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი მოსაზრებები ინიციატივებთან დაკავშირებით, გააუმჯობესეთ და დაიწყეთ პროექტისთვის - შემაჯამებელი კომპლექსური დავალებისთვის მზადება. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები გაეცნობიან აჭარის განათლების სამისიტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაციას, ინტერესების მიხედვით გადანაწილდებიან 4 მიმართულების ჯგუფში (ეს მიმართულებებია: საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი, შემოქმედებითი, სპორტული). ჩამოაყალიბებენ შესაბამისი მიმართულების	
--	--	--

	ინიციატივას და დაასაბუთებენ, რატომაა მათთვის ეს მიმართულება საინტერესო (იხსენებენ, ჰქონიათ თუ არა მსგავს საკითხზე მუშაობის გამოცდილება, რატომ მიაჩნიათ რომ საკითხი აქტუალურია და ა.შ) მასწავლებელმა მოსწავლეებს არჩევანის გაკეთებისა და პროექტის დაგეგმვის თავისუფლება უნდა მისცეს. მან ფასილიტატორის როლი მოიღოს და ურჩიოს სახელმძღვანელოში მოცემული პროექტის დაგეგმვის რეკომენდაციების გამოყენება. აქტივობა 9. საშინაო დავალება „ინიციატივა ცვლილებებისთვის“. მოსწავლეები სახლში ნახულობენ დოკუმენტურ ფილმს და გამოკვეთენ მათთვის საინტერესო ინიციატივას. რეკომენდაცია მასწავლებელს: მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დაეხმაროს, ყურადღება გაამახვილებინოს ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც დღესაც აქტუალურია და მათზე მუშაობა კვლავაც საჭიროა. რესურსები: 1. აჭარაში 2018 წელს 17 სასკოლო კლუბის ინიციატივები დაფინანსდა https://ipress.ge/new/atcharashi-2018-tsels-chvidmeti-saskolo-klubis-initsiativa-daaphinansda	
--	--	--

	2. დოკუმენტური ფილმი ინიციატივა ცვლილებებისათვის https://osgf.ge/publication/iniciativa-cvlilebebist/ 3. ნიკო ნიკოლაძის შეხედულებების პარტიებსა და ლიდერებზე https://for.ge/view/32556niko-nikolaZis-Sexedulebani-politikur-partiebsa-da-liderebze.html 4. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების ადვოკატირება კახეთში https://www.speqtri.ge/sazogadoeba/article/1608?fbclid=IwAR3cTEG6EFWBvyBry_ScqpO96KhulwAYUQIOhqtqb1EsZqrCwVLnxKNyM5Q	
	3. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს თემაზე მსჯელობის დასაწყებად მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: • გაიხსენე, რა არის სამოქალაქო საზოგადოება? • რა მახასიათებლები აქვს სამოქალაქო საზოგადოებას? რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი წამოჭრის საკითხს/თემას რის საფუძველზეც მოსწავლეები იწყებენ თემაზე ფიქრს და მსჯელობას. კითხვებზე პასუხი უზრუნველყოფს მოსწავლის	კომპლექსური დავალება 1. „არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მოდელირება“ შენ უკვე გაეცანი რამოდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობებს. ახლა კი დაიყავით ჯგუფებად, მოიფიქრეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი თემისათვის, შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო სფერო და წარმოიდგინეთ, რომ ქმნით არასამთავრობო

	წინარე ცოდნის გააქტიურებას სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, უქმნის მას წარმოდგენას გაკვეთილის თემატიკის შესახებ და ქმნის საფუძველს ახალი გამოცდილების კონსტრუირებისათვის. მოსწავლეები იწყებენ სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებლების გახსენებას და ერთმანეთის მოსაზრებების გაზიარებას/მოსმენას. დაასახელებენ სამოქალაქო საზოგადოების ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა: აქტიურობა, მოხალისეობრივი საქმიანობა, საერთო საქმეზე ზრუნვა და სხვა; რაც თემის დამუშავებისას დაეხმარება მათ ამოიცნონ სამოქალაქო საზოგადოების სხვა მახასიათებლები და გაიღრმავონ გამოცდილება. აქტივობა 2 . „ლუსინე ცვლილებებისთვის - 25 წლის რეინჯერი გოგო თეთრიწყაროდან“ მოსწავლეები გაეცნობიან ახალგაზრდა რეინჯერი გოგონას ისტორიას და იწყებენ მსჯელობას კითხვებზე პასუხით: • რატომ დაიწყო ლუსინემ თავისი ცხოვრების შეცვლა? • როგორ ფიქრობ, რა როლს ითამაშებდა მის ფორმირებაში სკოლის თვითმმართველობაში გაერთიანება? • რომელმა თვისებებმა დააძლევინა ლუსინეს ის წინააღმდეგობა, რაც თავისი იდეის განხორციელებისთვის შეხვდა? • რას შეცვლიდი შენს გარემოში?	ორგანიზაციას. ჩამოაყალიბეთ მიზნები, საქმიანობები; შექმენით თქვენი „ორგანიზაციის“ ლოგო. ყოველივე ეს გადაიტანეთ ფორმატის ქაღალდზე და წარადგინეთ კლასის წინაშე. მუშაობის დაწყებამდე: ✓ დაფიქრდით და ჩამოწერეთ ყველა ის საჭიროება თუ პრობლემა, რასაც ხედავთ თქვენს თემში ან სამეგობროში; ✓ ამ საჭიროებებიდან თუ პრობლემებიდან გამოყავით ერთ-ერთი, რომელზე ადვოკატირებას ითავებდით და შექმნიდით არასამთავრობო ორგანიზაციას; ✓ ჩამოაყალიბეთ მიზნები, რის მიღწევასაც ისურვებდით; ✓ დასახული მიზნების მისაღწევად, რა საქმიანობებს განახორციელებდით არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით? ✓ მოიფიქრეთ ორგანიზაციის სახელწოდება; ✓ მოიფიქრეთ ლოგო, რომლითაც სიმბოლურად გამოისახება თქვენი საქმიანობა. პრეზენტაციის დროს ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: ✓ როგორ გაართვით თავი დავალებას? ✓ თქვენ მიერ შერჩეულმა რომელმა სტრატეგიამ გაამართლა? ✓ რატომ გადაწყვიტეთ ამ „ორგანიზაციის“ შექმნა? ✓ ახსენით თქვენ მიერ შექმნილი ლოგოს
--	---	---

	რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები დაინახავენ ლუსინეს პიროვნულ და სამოქალაქო თვისებებს: როგორიცაა საზოგადოებაზე ზრუნვა, მიზანსწრაფულობა, თანამშრომლობა, სხვების აყოლიება. თავადაც დაფიქრდებიან მათ გარემოში, მათ შორის სკოლაში რისი შეცვლაა საჭირო და თავად რა როლი შეიძლება შეასრულონ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში; იმსჯელებენ სკოლის თვითმმართველობის როლსა და საქმიანობაზე სკოლაში არსებული გარემოს გაუმჯობესებისა თუ პრობლემების გადაჭრის საქმეში; ლუსინეს მაგალითის განხილვა დაეხმარება დაძლიონ უმოქმედობა/ინერტულობა და გაუჩნდეთ/მოემატოთ რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. გაიაზრებენ, რომ აქტიურ მოქალაქეებს შედეგების მისაღწევად საერთო მიზნებით გაერთიანება და არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა შეუძლიათ; გაიაზრებენ, თუ რომელია ეს ორგანიზაციები და როგორ უწყობენ ისინი ხელს ისეთი დემოკრატიული პროცესების განვითარებას, როგორებიცაა: სოციალური სამართლიანობის დაცვა; ადამიანის უფლებების დაცვა; სიღარიბის აღმოფხვრა; ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გარემოზე ზრუნვა; ქველმოქმედება; სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის მონიტორინგი და სხვა. აქტივობა 3. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ მიერ განხორციელებული სამოქალაქო კვირეული მოსწავლეები ეცნობიან ამ ორგანიზაციის მიერ	მნიშვნელობა, რას გულისხმობს თითოეული დეტალი. ✓ რა გაგიჭირდათ მუშაობის პროცესში და რა გაგიადვილდათ? ✓ რას შეცვლიდით, თავიდან რომ დაგეწყოთ მუშაობა? მოსწავლის შეფასება • მოდელირებული არასამთავრობო ორგანიზაციის პრიორიტეტი/პრიორიტეტები გამომდინარეობს თემის/კლასის/ სკოლის აქტუალური საჭიროებიდან. • მოდელირებული ორგანიზაციის მიზნები სრულად უკავშირდება შერჩეულ პრიორიტეტებს. • მოდელირებული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობები სრულად იძლევა მიზნის მიღწევის საშუალებას. • სრულყოფილად გადანაწილებულია მოდელირებული ორგანიზაციის წევრების როლი და ფუნქციები. • ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგო სრულად უკავშირდება ორგანიზაციის პრიორიტეტებს და მის საქმიანობას. (მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“)
--	--	--

	განხორციელებულ აქტივობას; მის მიზანსა და მიმდინარეობას, იწყებენ მეჯელობას შემდეგი კითხვების დახმარებით: უპასუხე კითხვებს: 1. შენი აზრით, რატომ გადაწყვიტა ორგანიზაციამ ამ ღონისძიების ჩატარება? 2. რა გავლენა ექნება ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვირეულს? 3. როგორ შეიძლება ამ ღონისძიების განვრცობა და განვითარება? რეკომენდაცია მასწავლებელს: ყურადღება უნდა გამახვილდეს მოქალაქეთა ჩართულობაზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა საგზაო უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (სუფთა ჰაერი), ასევე აქცენტები გაკეთდეს ამ აქციის მნიშვნელობაზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საკითხში. აქტივობა 4. არასამთავრობო ორგანიზაციები საქმიანობის მიხედვით მოსწავლეები გაეცნობიან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის 3 ძირითად მიმართულებას: ესენია დამკვირვებლები, ანალიტიკური ორგანიზაციები, სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. რეკომენდაცია მასწავლებელს: აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აქტივობასა თუ მიმდინარე პროექტებზე მსჯელობით, უკეთ გაერკვიონ/ამოიცნონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობების მიმართულებები;	
--	---	--

(რათა, საჭიროების შემთხვევაში, იცოდნენ, თუ ვისთან შეიძლება ითანამშრომლონ პრობლემის გადასაჭრელად). ამ მიზნით შემოთავაზებულია 3 შემთხვევის განხილვა - 1. არასამთავრობო ორგანიზაცია „საია“, 2. არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), 3. არასამთავრობო ორგანიზაცია - „ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის“. მოსწავლეები დააზუსტებენ, თუ რას ემსახურება თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რა არის მათი მიზანი. ასევე გაეცნობიან, თუ საიდან იღებენ ისინი დაფინანსებას (გრანტს) და ვინ შეიძლება იყვნენ დამფინანსებლები (დონორები); იმსჯელებენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების/ჩართულობის მნიშვნელობაზე და გაეცნობიან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტს კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობისთვის, გაიაზრებენ, რომ ამ ორგანიზაციებს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრიათ როგორც დამფინანსებლების, ასევე იმ პირთა მიმართ, ვისთვისაც ახორციელებენ პროექტს.

აქტივობა 5. ცოტა რამ ისტორიიდან.

მოსწავლეები ეცნობიან XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობითი ორგანიზაციის - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შესახებ

ინფორმაციას, მათ მიზნებსა და საქმიანობას, ქარველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ქალის ეკატერინე გაბაშვილის მაგალითის განხილვას, ქართველ ქალთა ღვაწლს აღნიშნულ სახალხო მოძრაობაში.

რეკომენდაცია მასწავლებელს: შემოთავაზებულ კითხვებზე პასუხებით, მსჯელობით, მაგალითების მოშველიებით, მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ კავშირი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე არასამთავრობო ორგანიზაციების წინამორბედებად, ასევე დააკავშირონ სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობები და არასამთავრობოების საქმიანობა. იმსჯელონ ქალთა და მამაკაცთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბრად ჩართულობის მნიშვნელობაზე. მოსწავლეები დაინახავენ, მე-19 საუკუნის საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის დაწყებამ როგორი შედეგი გამოიღო წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. ასევე, ქალთა განათლების უფლებების მოსაპოვებლად რამხელა ძალისხმევა გაწია იმდროინდელმა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ზოგიერთ თემში ქალთა განათლების საკითხი კვლავ აქტუალურია და უნდა იმსჯელონ ამ პრობლემის როგორც გამომწვევს მიზეზებზე, ასევე პრობლემის გადაჭრის პერსპექტივაზე.

აქტივობა 7. უპასუხე კითხვებს:

1. რა მიზნებს ისახავენ არასამთავრობო

	ორგანიზაციები? 2. რატომ არის საჭირო გვეყონდეს ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ? 3. როგორ უწყობენ ხელს არასამთავრობო ორგანიზაციები ინიციატივების განხორციელებას? 4. შენი აზრით, უნდა იყვნენ თუ არა ქალები ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისე როგორც მამაკაცები. პასუხი დაასაბუთე. სავარაუდო პასუხები: 1. არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნებია: სხვადასხვა საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, განათლებაზე ზრუნვა, სოციალური სამართლიანობის დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბის აღმოფხვრა, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოზე ზრუნვა, ქველმოქმედება და სხვ. 2. არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ცოდნა გვეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, სწორად განვსაზღვროთ რომელ პრობლემაზე ვის მივმართოთ. 3. საჭიროების შემთხვევაში წაახალისებენ ინიციატივებს, უწევენ სხვადასხვა სახის დახმარებას: კონსულტაციას, რესურსებით უზრუნველყოფას, თანადგომას, ლობირებაში დახმარებას და სხვა, რითიც ეხმარებიან პრობლემების მოგვარებასა და ინიციატივების	
--	--	--

	განხორციელებაში. 4. ქალების თანაბარი ჩართულობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში ვერ მოხდება დემოკრატიის პრინციპის - თანასწორობის - რეალიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების ყველა წევრი არ იქნება ჩართული, ვერ მოახერხებს საკუთარი თავის სრულად რეალიზებას. აქტივობა 8. დისკუსია სადისკუსიო თემის გაცნობამდე, მასწავლებელი მოსწავლეებს შეამზადებს და ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი საზოგადოებაში არსებულ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებების შესახებ (ზოგი მათ საქმიანობას ეჭვის თვალით უყურებს, ზოგი ნდობითაა გამსჭვალული) და დაეხმარება სადისკუსიო კითხვის გააზრებაში. რეკომენდაცია მასწავლებელს: დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელი და მოსწავლეები თანხმდებიან სადისკუსიო წესებზე, რის შემდეგაც მასწავლებელი სთავაზობს მათ სქემის შევსებას. მონაწილე მხარეებმა სქემაში უნდა ჩაწერონ ალტერნატიული მოსაზრებების დამადასტურებელი არგუმენტები, რადგან მათ ასევე გააზრებული უნდა ჰქონდეთ მეორე მხარის პოზიცია, კონტრარგუმენტები. სადისკუსიო კითხვა - საჭიროა თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა დემოკრატიულ სახელმწიფოში? რატომ?	
--	---	--

დიახ	სადისკუსიო თემა	არა
	საჭიროა თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა დემოკრატიულ სახელმწიფოში? რატომ?	

დისკუსიის წარმართვისთვის კლასი იყოფა ორ ჯგუფად, ორივე მხარე ცდილობს არგუმენტირებულად დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები. მასწავლებელმა თავად უნდა იტვირთოს მედიატორის როლი. საბოლოოდ მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საკითხის შეჯამება ისე, რომ რეალურად შეაფასონ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში, ამასთან ერთად, გამოკვეთონ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების მიზეზები.

აქტივობა 9. საშინაო დავალების მიცემა

მასწავლებელი სთავაზობს ორ დავალებას. მოსწავლეები ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეარჩევენ ერთ-ერთს.

დავალება 1. მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ და გამოარჩიონ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება მათი საქმიანობიდან. ამისათვის სთავაზობს „სამოქალაქო საზოგადოების პორტალის“ ლინკს: <http://www.cso.ge/ngo.php> ინფორმაციის ორგანიზებისთვის მოსწავლეებმა

უნდა გამოიყენონ მათგანიზებული სქემა:

არასამთავრობო ორგანიზაცია	საქმიანობის მიზანი	ყველაზე საინტერესო აქტივობა

დავალეზა 2. ნახე/მოუსმინე რადიო თავისუფლების გადაცემას „გენდერული ამბები“, სადაც სტუმრად არიან შენთვის უკვე ნაცნობი ლუსინე და მისი მეგობარი. მოსმენის შემდეგ შეაფასე მათი საქმიანობა და დაწერე ესე „ძლიერი ქალი დედამიწას გადააბრუნებს!“ წერის დროს მოიყვანე მაგალითები იმ ქალების შესახებ, ვინც წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაში. (ესეც შეფასების რუბრიკა იხილე ქვეთავში „შეფასების სქემები“ - 4.3.)

მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნება როგორც ადგილობრივი, ასევე ლოკალური მიზნებით. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მოიძიებენ დაფინანსებას და წარმოადგენენ დონორებს ადგილობრივი არასამთავრობოების პროექტების დასაფინანსებლად.

კომპლექსური დავალებისთვის მზადება.

დავალეზა: „არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის

მოდელირება“

მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს, თუ როგორ იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები, რა უდევთ მათ საფუძვლად. კონკრეტული ორგანიზაციების მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობის გაცნობის შემდეგ მოამზადებს კომპლექსური დავალების შესრულებისთვის.

კომპლექსური დავალების ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულებაში, სადაც მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ მოდელირებული არასამთავრობო ლოგო, დაეხმარებათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - ბუნების მსოფლიო ფონდის ლოგოს ნიმუშის განხილვა.

რეკომენდაციები მასწავლებელს:

- მეტი დამოუკიდებლობა მიეცით მოსწავლეებს დავალების შესრულებისას. უმჯობესია, მათ დაგეგმონ დამოუკიდებლად, თქვენ კი დააკვირდით ამ პროცესს.
- მოსწავლეებს ურჩიეთ გაიხსენონ, თუ როგორ იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები და კიდევ ერთხელ გადახედონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნებს; ამაში მათ დაეხმარებათ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ვებ-გვერდი, სადაც ჩამოთვლილია არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობები;

- მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად უნდა აირჩიონ დავალების განხორციელების გზა/სტრატეგია;
- თვალყური ადევნეთ კომპლექსური დავალების შესრულების მიმდინარეობას და წახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა და აქტიურობა.

რესურსები:

1. კამპანია სუფთა ჰაერი, უსაფრთხო მოძრაობამ სტარტი აიღო
<https://www.myvideo.ge/v/3672088>
2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიას თანამშრომლის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება დაევალა
<https://cutt.ly/kyLpOWi>
3. სამოქალაქო საზოგადოების პორტალი
<http://www.cso.ge/ngo.php>
4. რადიო თავისუფლება: „როგორ გადააბრუნებენ ლუსინე და ნანა დედამიწას“
<https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-ambebi-05-04-2017/28412344.html>
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
https://idfi.ge/public/upload/Gender/Web/Gender_GEO_%20WEB2.pdf
6. ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის
<http://www.dpo.ge/ge/news/11>

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	III ეტაპი 4. მედია და საზოგადოება პასუხობს მედიასთან დაკავშირებულ საკვანძო კითხვებს, კერძოდ, როგორ ფუნქციონირებს მედია და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება.		კომპლექსური დავალებები
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	
	მედია და საზოგადოება - სოციალიზაცია - საინფორმაციო საშუალებები, საზოგადოებრივი აზრი დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები სამოქალაქო მონაწილეობა - საჯარო განხილვები, საზოგადოებრივი მონიტორინგი	- როგორ ფუნქციონირებს მედია და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება? - როგორ ვითანამშრომლო პრობლემის გადასაჭრელად ან პროექტის ფარგლებში მედიასთან?	
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი;	4. მედია და საზოგადოება აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: - ინფორმაციის გავრცელების რომელ საშუალებებს იცნობ? - ხომ არ გიფიქრია ჟურნალისტობაზე? წინარე ცოდნის გააქტიურება: აღნიშნული შეკითხვებით მასწავლებელი იწყებს მოსწავლეთა		მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დამატებით შესთავაზოს კომპლექსური დავალება. ალტერნატიული დავალება: მოირგეთ ჟურნალისტის როლი და აიღეთ ინტერვიუ ოჯახის უფროსი წევრისაგან იმის

• ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ჰარმონიული ურთიერთობას; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა).	უკვე არსებული გამოცდილების გააქტიურებას, მოსწავლეები იხსენებენ, თუ როგორ იგებენ ახალ ამბებს, ახალ ინფორმაციას და რომელ მედიასაშუალებებს იყენებენ ამისათვის. მასწავლებელი იგებს, თუ რომელი მედიასაშუალებებია მოსწავლეთათვის უფრო საინტერესო და ხელმისაწვდომი, რათა ახალი ინფორმაცია დაუკავშიროს მათ გამოცდილებას. ხოლო შეკითხვით - ხომ არ გიფიქრია ჟურნალისტობაზე? მოსწავლეთა პასუხებიდან გამომდინარე, მასწავლებელი ცდილობს გარკვეული ინფორმაცია მიიღოს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. აქტივობა 2. თავის ისტორია მოსწავლეები ეცნობიან მათი თანატოლის ამბავს და იწყებენ მსჯელობას, თუ რატომაა მედიის აქტიურობა და მათ შორის ადგილობრივი მედიის მიერ ლოკალური პრობლემების გაშუქება მნიშვნელოვანი. მოსწავლეები იხსენებენ რომელიმე შემთხვევას, როცა პრობლემა საინფორმაციო საშუალებებით მოგვარებულა. მსჯელობენ, როგორ დააჩქარა მასმედიის სხვადასხვა საშუალების გამოყენებამ ინფორმაციის მიმოცვლა და დაახლოვა მსოფლიო. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი კითხვების დახმარებით წარმართავს მოსწავლეთა	შესახებ, თუ როგორ ზრუნავდნენ მისი ბავშვობის დროს სკოლაში, ოჯახსა და სახელმწიფოში მოსწავლეების ჯანმრთელობაზე, დაავადებების პრევენციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაზე. ინტერვიუ ჩაიწერეთ და შემდეგ ამ ჩანაწერს საგაზეთო სახე მიეცით. ინტერვიუში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: • რომელი ინსტიტუციები მონაწილეობდნენ ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში; • რა კონკრეტული ღონისძიებები ტარდებოდა დაავადებათა პრევენციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით; • როგორ იყვნენ ჩართულები და რა როლს ასრულებდნენ ამ პროცესებში რიგითი ადამიანები. მოსწავლის შეფასება • სტატიაში იდენტიფიცირებულია ჯანმრთელობაზე, დაავადებების პრევენციაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებები. • სტატიაში გაანალიზებულია მოსწავლის მიერ მოძიებული ინფორმაცია • მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში მოქალაქის მონაწილეობის მნიშვნელობა.
--	--	---

ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) - პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნების-მიერი ინიციატივის საფუძველია; - მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; - მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; - გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) - დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; - აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი	მსჯელობას და მათ მიერ დასახელებული მაგალითებიდან ცდილობს მოსწავლეებს გამოაკვეთინოს მედიის როლი და ფუნქციები, როგორებიცაა: მოსახლეობის ინფორმირება, განათლება, კომუნიკაცია, გართობა/რეკლამა, ხელისუფლების მონიტორინგი. აქტივობა: 3. იმსჯელო რომელ მასობრივ საინფორმაციო საშუალებას იყენებ უფრო ხშირად? რატომ? მოსწავლეები გაავლებენ პარალელს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებასთან (იხ. საქართველოს კონტიტუცია მუხლი 17). რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა დაინახონ კავშირი დემოკრატიულ საზოგადოებასა და მოქალაქის ინფორმირებულობას შორის, რათა გაიაზრონ, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი მაჩვენებელი (აუცილებელი პირობა) არის ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. მოსწავლეები ასევე იმსჯელებენ ინტერნეტის ხელმისაწვდომობასა და მის მნიშვნელობაზე. აქტივობა 4. იმსჯელო რა გავლენა იქონია შენზე მასმედია პანდემიის დროს? გაიხსენე ეს პერიოდი. რა მოგცა ტელესკოლის გაკვეთილებმა? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს დისტანციურ სწავლებას?	
--	---	--

პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები იხსენებენ ახალი კორონა ვირუსის პანდემიის დროს მასმედიის მუშაობას. მსჯელობენ მასმედიის მიერ მოსახლეობის ინფორმირების მნიშვნელობაზე. მასწავლებლის დახმარებით ცდილობენ ახსნან მასმედიის საგანმანათლებლო ფუნქცია. იხსენებენ დისტანციური სწავლების მეთოდებს. იწყებენ მსჯელობას იმაზე, თუ რა ძალა აქვს მედიას და რა სასიკეთო მისიის შესრულება შეუძლია საზოგადოებაში პრობლემების/საჭიროებების გამოკვეთისა და გადაჭრისათვის ზრუნვაში. აქტივობა: 5. მასმედია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსწავლეები ჯერ ეცნობიან საინფორმაციო ტექსტს, რათა გაიაზრონ მასმედიის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას. ეცნობიან მასმედიის როლს, როგორცაა: • სწავლობს და აკონტროლებს ხელისუფლების მოღვაწეობას; • მოქალაქეებს ატყობინებს ხელისუფლების საქმიანობის თითოეულ ნაბიჯს; • ქმნის საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის, პოლიტიკური დისკუსიების პირობებს, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გავლენას ახდენს როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოებრივ აზრზე.	
--	--	--

შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ მოქალაქეების დიალოგს „თბილისის ფორუმიდან“ (ქართულ ინტერნეტ სივრცეში განთავსებული სადისკუსიო ფორუმი) და განიხილავენ დასმულ საკითხს.

მასწავლებელი აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდები განხილულ საკითხებზე. მოსწავლეები იმსჯელებენ არჩევნების პერიოდში მასმედიის როლზე. გაიაზრებენ, როდის და როგორ ახდენს ზეგავლენას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე/ფორმირებაზე.

რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა ტექსტზე დაყრდნობით უნდა ამსჯელოს მოსწავლეები, რათა გაიაზრონ მასმედიის როლი საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართებაში. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს, რომ ამ ფუნქციების შესრულებას გარკვეული პირობები უნდა ახლდეს თან. მათ შორისაა მასმედიის ობიექტურობა და ეფექტურობა, რაც ასევე დამოკიდებულია ჟურნალისტების პროფესიონალიზმზე, მიუკერძოებლობასა და თავისუფლებაზე. მოსწავლეები საკითხს შეაჯამებენ, თუ რა აუცილებელ წესებს უნდა იცავდეს ჟურნალისტი?

შემდეგ მასწავლებელი წამოჭრის ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა, მასმედიის საზოგადოებრივი კონტროლი. საკითხზე დინამიურად გადასვლისათვის მასწავლებელი

	იყენებს სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მაგალითებს: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამასა და საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის ერთ-ერთ შემთხვევას. აღნიშნული საკითხების გააზრებით უნდა გამოიკვეთოს სოციალური მედიის საჭიროებასა და მის მნიშვნელობაზე საუბარი 21-ე საუკუნის გამოწვევების კრილში. აქტივობა 6: ციფრული და სოციალური მედია. მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას სოციალური მედიის შესახებ, იხსენებენ რომელ სოციალურ მედია საშუალებებს იყენებენ და რა დანიშნულებით? ავსებენ შესაბამის ცხრილს. რეკომენდაცია მასწავლებელს: მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაინახონ სოციალური მედიის უპირატესობები და შესაძლებლობები. ცხრილის შევსების შემდეგ მოსწავლეები გაუზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს და განაზოგადებენ, მიზნიდან გამომდინარე, რომელი საშუალების გამოყენება სჯობს. მასწავლებელმა აღნიშნული ცხრილი შესაძლოა, თავადაც გააკეთოს დაფაზე/ფლიპჩარტზე თვალსაჩინოებისათვის და დაეხმაროს განზოგადებაში. აქტივობა 7. სახალისო სავარჯიშო მიჰყევი მითითებებს და შეამოწმე შენი თავი	
--	---	--

	ეს სახალისო სავარჯიშო გამოიზრუნეთ იმისათვის, რომ მოსწავლეები კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ მედიის გავლენაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, გარკვეული ქცევების დამკვიდრების და არჩევანის გაკეთებისას. უპასუხებენ შემდეგ კითხვებს: • რატომაა მნიშვნელოვანი გავაცნობიეროთ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია? • შესაძლოა თუ არა, თავი დავიცვათ რეკლამისა თუ სხვა ინფორმაციის არასასურველი გავლენებისგან? • ფიქრობ, რომ მოსწავლე/ახალგაზრდების მიერ ტელევიზიით არასათანადო მასალის ყურება, რომელიც, მაგალითად, აგრესიის შემცველ სცენებს შეიცავს, გავლენას ახდენს მათ აზროვნებასა და ქცევაზე? რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არასწორი ინფორმაციის გარჩევა საკმაოდ რთულია დღევანდელ საინფორმაციო ოკეანეში. მოკლედ უნდა აუხსნას, თუ როგორაა შესაძლებელი გავრცელებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირისა და ავტორის შემოწმება. მაგალითად, ეს შესაძლებელია შემდეგი კითხვების საშუალებით: 1. ვინ არის ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი? ეს ვებ-გვერდი რამდენად ასოცირდება სანდო ორგანიზაციასთან? (მაგალითად, უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკა, სამთავრობო	
--	--	--

	სააგენტო, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი). 2. შესაძლებელია თუ არა ვებ-გვერდის ავტორის დადგენა? 3. დაცულია თუ არა საავტორო უფლებები? მოსწავლეებს დააინტერესებთ მარკ ტვენის შემთხვევაც. ეს კი იმისთვის, რომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ არასანდო წყაროების შესახებ, რადგან ბევრი მათგანი ინფორმაციას მოიპოვებს ისეთი არასანდო ვებ-გვერდებიდან, როგორიც არის ვიკიპედია, ბლოგები და სხვ. აქტივობა 8. უპასუხე კითხვებს: 1. რა ფუნქცია აკისრია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს? 2. რა გავლენა აქვს ადგილობრივ მედიასაშუალებებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები. 3. რატომ არის მნიშვნელოვანი თავისუფალი მედია დემოკრატიის განვითარებისათვის? რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი აღნიშნულ კითხვებზე პასუხებით ცდილობს დაადგინოს, რამდენად სწორად გაიაზრეს მოსწავლეებმა საკითხი/თემა მისი აქტუალობიდან გამომდინარე. პირველ კითხვაზე მოსწავლეთა პასუხებში უნდა	
--	--	--

	გამოიკვეთოს მასმედიის შემდეგი ფუნქციები: მოსახლეობის ინფორმირება, განათლება, კომუნიკაცია, ხელისუფლებაზე მეთვალყურეობა და კონტროლი, გართობა. მეორე შეკითხვის მიზანია, მოსწავლეებმა კონკრეტულ მაგალითებში ამოიცნონ მედიის გავლენა. მაგალითად, არჩევნების დროს გადაწყვეტილების მიღება, ამა თუ იმ მოვლენაზე საზოგადოებრივი აზრის შექმნა. მესამე შეკითხვის პასუხად, მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ დემოკრატიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მედიის მხრიდან ყველა ინტერესთა ჯგუფის აზრი იყოს გაჟღერებული. ასევე, დაცული იყოს ეთიკისა და ობიექტურობის პრინციპები. აქტივობა 9. დისკუსია: სოციალური ქსელის ზეგავლენა საზოგადოების ცხოვრებასა და ცნობიერებაზე. მოსწავლეები გადახაზავენ ცხრილს რვეულში და შეავსებენ არგუმენტებით. ბოლოს კი გამართული დისკუსიის შედეგებიდან შეავსებენ ცხრილს. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი ასრულებს დისკუსიის მოდერატორის როლს, ცდილობს გაააზრებინოს/დაანახოს სოციალური ქსელების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარედ მოსწავლეებმა შესაძლოა მიიჩნიონ შემდეგი: ეს ქსელები კომუნიკაციის უსწრაფესი საშუალებაა, საინტერესო სახალისო და ინტერაქტიურია, მომხმარებლები ეცნობიან	
--	--	--

სხვადასხვა ამბებსა და სიუჟეტებს, აქვთ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება და სხვა... თუმცა უნდა იფიქრონ უარყოფით მხარეებზეც. კერძოდ, მომხმარებლის პირადი, პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას/გავრცელდეს უნებართვოდ, შეიძლება მოხდეს ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება ადამიანზე, გახდეს თავდასხმის ობიექტი, ინფორმაცია არ არის ყოველთვის სანდო და სხვა. მასწავლებელს დისკუსიის შემაჯამებული შედეგები გადააქვს ცხრილში, რომელიც მანამდე აქვს დახაზული დაფაზე ან ფლიპჩარტზე, რაც საშუალებას მისცემს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დაინახონ სოციალური ქსელებით სარგებლობის უპირატესობები და ნაკლიც.

აქტივობა 10. საშინაო დავალება

დავალება 1. მოსწავლეები გაიხსენებენ საინტერესო და მათთვის მნიშვნელოვან სასკოლო ღონისძიებას, რომლის შესახებაც მოამზადებენ და გააფორმებენ საინფორმაციო ტექსტს, შემდეგ კი გაუზიარებენ რომელიმე ადგილობრივ მედიას.

დავალება 2. მოსწავლეები ზეპირი გამოკითხვის საშუალებით ადგენენ, თუ რომელი მედია საშუალება მუშაობს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე და ავსებენ ცხრილს.

რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევენ ერთ-ერთ დავალებას.

	დავალება 1. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ნათლად ჩამოაყალიბონ/გამოკვეთონ მნიშვნელოვანი საკითხი/საინფორმაციო ტექსტი და აქედან გამომდინარე შეარჩიონ ადრესატი, ის ადგილობრივი მედიასაშუალება, ვისთანაც შეიძლება ითანამშრომლონ. დავალება 2. მოსწავლეები აკეთებენ ზეპირ გამოკითხვას მოცემული სქემის დახმარებით და აკეთებენ ანალიზს, თუ რომელ მედიასაშუალებებს იყენებენ რესპოდენტები და რა საკითხებს აშუქებს ესა თუ ის მედიასაშუალება. საჭიროების შემთხვევაში რომელს შეიძლება მიმართონ. მოსწავლეებმა უნდა გამოიკითხოთ არანაკლებ 5-7 რესპოდენტისა, რათა მიიღონ დამუშავებისთვის საკმარისი, საჭირო ინფორმაცია, რის შემდეგაც შეაჯამებენ და კვლევის შედეგებს გააცნობენ კლასს. რუბრიკა: ცოტა რამ ისტორიიდან მოსწავლეები გაეცნობიან მედიის განვითარების ისტორიიდან საინტერესო ფაქტებს. კომპლექსური დავალების მზადების III ეტაპი: მასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს მოსწავლეთა მომზადებას კომპლექსური დავალების მე-3 ეტაპისათვის, რათა გააანალიზონ 1-ლი და მე-2 ეტაპის შედეგები, თუ ვინ, რა, როდის, როგორ მოამზადა. მოსწავლეებს მისცეს საშუალება, შეაფასონ მიღწევები, გამოკვეთონ ხარვეზები და მოემზადონ პრეზენტაციისთვის.	
--	--	--

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული წარმოდგენები			
	რესურსები: 1. სოციალური მედია და უფროსკლასელები http://mastsavlebeli.ge/?p=22785 2. საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია http://www.cso.ge/platform.php?slug=sagartvelos-djurnalisturi-etikis-qartia 3. განათლების საერთაშორისო ცენტრი https://cutt.ly/9yFQRZm		
	IV ეტაპი 5. საზოგადოებრივი ცენტრები პასუხობს საკვანძო კითხვებს: როგორ ფუნქციონირებენ საზოგადოებრივი ცენტრები და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება?		კომპლექსური დავალებები
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	
	საზოგადოებრივი ცენტრები - სოციალიზაცია - ინსტიტუცია, საზოგადოებრივი ცენტრი დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ხელმისაწვდომობა, თანასწორობა ინიციატივა - სათემო აქტივობები სამოქალაქო მონაწილეობა - საზოგადოებრივ ცენტრებთან თანამშრომლობა	• როგორ ფუნქციონირებენ საზოგადოებრივი ცენტრები და როგორ შეიძლება მათი შესაძლებლობების აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად გამოყენება? • როგორ ვითანამშრომლო პრობლემის გადასაჭრელად ან პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივ ცენტრებთან?	

სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) • ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; • აზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; • სერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ჰარმონიული ურთიერთობას; • აზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • ემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • ემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;	5. საზოგადოებრივი ცენტრები აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: • სად შეუძლიათ აქტიური საზოგადოების წევრებს შეკრება და სხვადასხვა საკითხის განხილვა? • სად და როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიციატივების წარდგენა და გავრცელება? რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები იწყებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას, იხსენებენ, თუ ჰქონიათ შეხება საზოგადოებრივ ცენტრებთან რაიმე საკითხზე, მასწავლებელი მათ მოსაზრებებს ჩაინიშნავს დაფაზე/ფლიფჩარტზე, რათა დაანახოს მოსწავლეებს, რომ გარკვეული ინიციატივების ხელშეწყობა სწორედ საზოგადოებრივი ცენტრების საშუალებით ხდება. აქტივობა 2. გუგას ისტორიის განხილვა იმსჯელე, რა დანიშნულების ყოფილა საზოგადოებრივი ცენტრი? რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები გაეცნობიან მათი თანატოლი გუგას ისტორიას, გაიაზრებენ, თუ რატომ შეექმნა გუგას მამას აღნიშნული პრობლემა.	კომპლექსური დავალება 2. მოიძიეთ თქვენს თემში არსებული საზოგადოებრივი ცენტრის შესახებ ინფორმაცია; ერთად იმსჯელეთ და მოიფიქრეთ, როგორ შეგიძლიათ ითანამშრომლოთ ამ ცენტრთან სხვადასხვა ინიციატივის განსახორციელებლად. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ცენტრს აქვს ისეთი სივრცე, სადაც შეიძლება სათემო აქტივობის მოწყობა, მაგალითად, მოიწვიოთ თქვენთვის საინტერესო პიროვნება (მწერალი, საზოგადომოდვაწე, მეწარმე, მსახიობი თუ სხვ.), მოაწყობთ პრეზენტაციები, განხილვები სამოქალაქო საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე. თქვენც შეგიძლიათ დაგეგმოთ რომელიმე სახის აქტივობა, ჩამოწეროთ იდეები, რის გაკეთებას ისურვებდით. არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული წინადადებით მიმართეთ საზოგადოებრივ ცენტრს (შეგიძლიათ - ონლაინ), გაარკვიეთ, რა პროცედურებია საჭირო თქვენი ინიციატივის განსახორციელებლად და მიჰყევით მათ მითითებებს. მოიწვიეთ ადგილობრივი მედია, რომელიც გააშუქებს თქვენ მიერ ორგანიზებულ აქტივობას. I ეტაპი - დავალების შესრულებამდე: ჯგუფურად განსაზღვრეთ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებთ, სახელდობრ: დეტალურად აღწერეთ დავალების შესრულების
---	--	---

- ემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) - ირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; - კაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; - ოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; - ადაწვევტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) - ემოკრატიული საზოგადოება არის	დაინახვეთ საზოგადოებრივი ცენტრების შექმნის საჭიროებას, რომ გარდა სერვისების მიღების ხელმისაწვდომობისა, საზოგადოებრივ ცენტრებში მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ არა მხოლოდ მათთვის საჭირო ინფორმაცია, არამედ გამოიყენონ ეს სივრცე, რათა ჩაერთონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. აქტივობა 3. საზოგადოებრივ ცენტრში გამართული ღონისძიების განხილვა (საინფორმაციო შეხვედრა გენდერულ თანასწორობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე) მოსწავლეები განიხილავენ ხუთ საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრების საკითხებს. მსჯელობენ შემდეგ კითხვებზე: • შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვან და საჭირო საკითხებს ეხებოდა ამ საზოგადოებრივ ცენტრებში გამართული საინფორმაციო ღონისძიება? პასუხი დაასაბუთე. • შენს თემში რა საკითხებს წამოწევდი წინ და რომელ არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართავდი ინიციატივით? რეკომენდაცია მასწავლებელს: საკითხზე მსჯელობისას მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ ცენტრში გამართული ღონისძიების აქტუალობა (აქტუალუ-	ეტაპები (რას შეასრულებთ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებთ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები და იმსჯელეთ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე. II ეტაპი - დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც შეასრულებთ კონკრეტულ დავალებას, თქვენ უნდა გაიხსენოთ და აღწეროთ (წერილობით ან ზეპირად) განვლილი გზა: რა გააკეთეთ რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეთ მუშაობისას? რა გაგიჭირდათ ან რა გაგიადვილდათ? რა მოგცათ ახალი ამ აქტივობამ? რას შეცვლიდით, თავიდან რომ დაგეწყოთ? მოსწავლის შეფასება • დავალების თითოეულ ეტაპი გამოყოფილია, აქტივობები სრულადაა დაგეგმილი; • დავალების შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი სტრატეგიები; • სრულადაა გაანალიზებული შესრულებელი სამუშაო და მისი გასაუმჯობესებელი გზები; • პრეზენტატორის მიერ აუდიტორიასთან უკუკავშირი სრულყოფილია, ამომწურავად
---	---	--

სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; - ქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; - ამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) - ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით;	რია: თემში ქალთა უფლებების დაცვა და ძალადობის მიუღებლობა); გაიაზრონ, რომ სხვადასხვა ღონისძიების გამართვისათვის ცენტრი სთავაზობს მოქალაქეებს შეკრებისა და სივრცის გამოყენების შესაძლებლობას; იმისათვის, რათა უფრო კარგად გაეცნონ შეთავაზებულ სერვისებს, მასწავლებელი წამოჭრის საკითხს/სთავაზობს მოსწავლეებს იფიქრონ, რაში მდგომარეობს - „ერთი ფანჯრის პრინციპის“ უპირატესობა. და ჯერ თავად ჩამოაყალიბებინებს მოსაზრებებს ამ საკითხზე. მეორე კითხვაზე მსჯელობისას მოსწავლეები დაფიქრდებიან, მათ თემში არსებულ აქტუალურ საკითხებზე და გამოყოფენ მათგან ისეთ იდეებს/თემებს, რომელზეც შეუძლიათ მიმართონ/ითანამშრომლონ საზოგადოებრივ ცენტრებთან და მათთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ თემისთვის/ საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრას. მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან (საზოგადოებრივ ცენტრთან) თანამშრომლობით პრობლემების გადაჭრა/იდეების განვითარება/ სამოქალაქო აქტიურობა უფრო ეფექტურადაა შესაძლებელი. აქტივობა 4: საზოგადოებრივი ცენტრების მიზნების, მისიისა და სერვისების გააზრება. ვიდეორგოლის ნახვა/განხილვა	სცემს პასუხს აუდიტორიის კითხვებს; ინიციატივის განხორციელების შემოთავაზებული გზა ახალი და ორიგინალურია. (მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“)
--	--	---

გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები ერთად უყურებენ ვიდეორგოლს, რისთვისაც მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს შესაბამისი რესურსები და განსაზღვროს ფოკუსირებული კითხვები, რათა მოსწავლეებმა ჩაინიშნონ საჭირო ინფორმაცია და გამოიყენონ შემდგომი მსჯელობებისათვის. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოებას საშუალება ეძლევა საზოგადოებრივი ცენტრი გამოიყენოს ადგილობრივ მოსახლეობასთან სასაუბროდ, მათთვის ახალი სერვისების, ინიციატივების, საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად და მოსახლეობისათვის სხვადასხვა ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გადასაცემად. შესაძლებელია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოიყენონ აღნიშნული სივრცე სხვადასხვა აქტივობისა თუ ინფორმაციების გასავრცელებლად. აქტივობა 5. საზოგადოებრივ ცენტრებთან სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა / პერსპექტივები. საინფორმაციო ტექსტისა და მაგალითების განხილვა რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები ეცნობიან წიგნში მოცემულ საინფორმაციო ტექსტს და გამოყოფენ შემდეგ საკითხებს: რა როლი შეუძლია შეასრულოს საზოგადოებრივმა ცენტრმა	
---	--	--

	პიროვნების სამოქალაქო მონაწილეობასა და აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში? მოსწავლეების მოსაზრებების მოსმენის შემდგომ კი განიხილავენ სათემო ცენტრების შექმნის ორ მაგალითს, მათში განხორციელებულ საქმიანობას და მსჯელობენ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და პროექტებზე. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ „ბერბუკის“ დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდა მოქალაქეთა პრობლემებსა თუ საჭიროებებს და განიხილონ, თუ როგორ შეიძლება მოიქცნენ ისინი პრობლემის გადასაჭრელად (ვის მიმართონ, როგორ განავითარონ თავიანთი ინიციატივები და ვისთან შეიძლება ითანამშრომლონ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. საკითხის შეჯამებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აქტიურობას, განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით გაავლონ პარალელი საკუთარ თემსა და მის საჭიროებებზე. გამოყონ მათ თემში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები/პრობლემები; იმსჯელონ, რა შეიძლება გააკეთონ და ვისთან ითანამშრომლონ იმისათვის, რათა განავითარონ სათემო ინიციატივები და იზრუნონ მათ გადაჭრაზე.	
--	---	--

	აქტივობა 6. უპასუხე კითხვებს: 1. რას ნიშნავს საზოგადოებრივი ცენტრი? 2. დამატებით რა ფუნქციას მიანიჭებდით საზოგადოებრივ ცენტრს? 3. რა პრობლემებს გამოყოფდით სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით თანამედროვე საქართველოში? რეკომენდაცია მასწავლებელს: აღნიშნული კითხვებით ხდება თემის შეჯამება და მასწავლებელი მოსწავლეთა პასუხებზე დაყრდნობით ადგენს, რამდენად კარგად გაიაზრეს საკითხი. პირველ კითხვაზე პასუხებში ყურადღებას ამახვილებენ იმ შესაძლებლობებზე (გარდა სერვისების შეთავაზებისა), რაც აღნიშნულ ცენტრებს გააჩნიათ. მეორე კითხვაზე პასუხში უნდა ჩანდეს, რომ მოსწავლეებს გააზრებული აქვთ საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციები და საჭიროებებიდან გამომდინარე შეუძლიათ განსაზღვრონ დამატებით ისეთი ფუნქციები, რომლებიც საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. მესამე კითხვაზე კი იმსჯელონ ზოგად პრობლემებზე, რასაც გამოყოფენ საზოგადოების განვითარების კუთხით (პასიურობა, საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომ-	
--	---	--

	ლობის გამოუცდელობა, ნაკლები ნდობა და სხვა). აქტივობა 7. იმუშავეთ ჯგუფებში: შექმენით პოსტერი, მოიფიქრეთ, კიდევ როგორი სერვისებით გაამდიდრებდით საზოგადოებრივი ცენტრების საქმიანობას. რეკომენდაცია მასწავლებელს: მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეახსენოს ჯგუფური მუშაობის წესები და მოსწავლეებმა თავად განსაზღვრონ ჯგუფის მუშაობის შეფასების კრიტერიუმები; ასევე, რადგან პოსტერებზე მუშაობას იწყებენ, ყველა საჭირო რესურსი წინასწარ უნდა მოამზადონ (ფურცლები, მარკერები, წებო, ფანქრები და სხვა). შემდეგ მოსწავლეები ნაწილდებიან ჯგუფებად (აქ შეიძლება გამოიყენოს ჯგუფებად გადანაწილების ნებისმიერი სტრატეგია). თითოეული ჯგუფი მოიფიქრებს იმ პრობლემას, რომელიც აქტუალურად მიაჩნიათ და განსაზღვრავენ ამ პრობლემის გადასაჭრელად არის თუ არა შესაბამისი სერვისები ცენტრებში. ამოარჩევენ ისეთ საკითხს, რომლის მომსახურების სერვისებიც ჯერ არაა განვითარებული და პოსტერზე აყალიბებენ ინიციატივის სახით. მოსწავლეები ქმნიან პოსტერს, რომლითაც მარტივად უხსნიან კლასს (მოსახლეობას), თუ რას	
--	---	--

	სთავაზობს საზოგადოებრივი ცენტრი მათ. პრეზენტაციის დროს ასაბუთებენ, თუ რა ედო საფუძვლად მათ მიერ შეთავაზებულ ინიციატივებს / სერვისებს. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნებს, რომ სახელმწიფო ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების საჭიროებებსა და ინტერესებზე და სხვადასხვა სერვისს ავითარებს, რომელთა მაგალითია საზოგადოებრივი ცენტრი. გაიაზრებენ, რომ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სხვადასხვა გზებისა და ფორმების გამონახვის გზით, თავადაც შეუძლიათ გადადგან ქმედითი ნაბიჯები. შეეცდებიან საკუთარი თუ თემის საჭიროებების მოგვარებას; დაინახავენ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში თითოეული მოქალაქის ჩართულობა და აქტიურობა მნიშვნელოვანია. აქტივობა 8. საშინაო დავალება: „ჩვენი საზოგადოება – საზოგადოებრივი ცხოვრება და საქმეები“ დაწერე მოკლე ესე. 1. შეადარე მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწის მიერ აღწერილი ვითარება დღევანდელობას. 2. დღეს, 21-ე საუკუნეში, შენ რას დაწერდი სტატიისათვის „ჩვენი საზოგადოება – საზოგადოებრივი ცხოვრება და საქმეები“? მოსწავლეები პარალელს გაავლებენ მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დღევანდელობას	
--	--	--

	შორის, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს თანამედროვე საზოგადოების შესახებ. შემაჯამებელი კომპლექსური დავალება პროექტის IV ეტაპი -პრეზენტაცია მასწავლებელი პრეზენტაციის წარმართვისათვის მოსწავლეებს სთავაზობს კითხვებს, რომელიც წარმოადგენს პროექტის რეფლექსიას. ეს კითხვებია: 1. როგორ დაიწყეთ პროექტზე მუშაობა? 2. რითია მნიშვნელოვანი ეს პროექტი? (წარმოაჩინეთ პროექტის აქტუალობა) 3. როგორ გადაინაწილეთ ფუნქციები - ვის რა წვლილი მიუძღვის პროექტის განხორციელებაში? 4. აღწერეთ პროექტის ეტაპები, აქტივობა/აქტივობები და მიღწეული შედეგები 5. რა სარგებელი მიიღეთ თქვენ და თქვენი თემის წევრებმა? 6. სად და როგორ გამოიყენებ მიღებულ ცოდნასა და უნარებს მომავალში? მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს საზოგადოებრივი ცენტრთან დაკავშირებაში, ასევე ადგილობრივი მედიის წარმომადგენლის მოწვევაში, ხოლო პროექტის ამსახველი მასალა განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე.	
--	--	--

	რესურსები: 1. საზოგადოებრივი ცენტრების სერვისები https://centri.gov.ge/ge/about-us/history 2. საზოგადოებრივი ცენტრი - ვიდეორგოლი https://www.facebook.com/watch/?v=633657637090261 3. ნიკო ავალიშვილი "ჩვენი საზოგადოება-საზოგადოებრივი ცხოვრება და საქმეები" (37-ე გვ.) https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5e1/da6/b06/5e1da6b06df99236398828.pdf	
შეფასების კრიტერიუმები / კრიტერიუმები თემისთვის - სამოქალაქო საზოგადოება მოსწავლემ უნდა შეძლოს: სოციალიზაცია • სოციალური აქტივობების დაგეგმვისას სამოქალაქო საზოგადოების (ადგილობრივი მედია, ეკონომიკური, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები და სხვ.) როლის განსაზღვრა და, საჭიროების შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაქსიმალურად ყველა ადამიანის ინტერესისა და უფლებების (გაერთიანების უფლება) გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,10,12,13); დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები • საზოგადოებრივი ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, დისკრიმინაციის აკრძალვა ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,4,10,11,12,13); ინიციატივა • საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება და საკუთარი ჩართულობით მათი დაკმაყოფილების გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13); სამოქალაქო მონაწილეობა • საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება (მოქ.საბ.2,6,8,9); მდგრადი განვითარება • საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,4,10,11,12,13).		

I თავი- სამოქალაქო საზოგადოება
(საათების გადანაწილება)

საკითხები: პარაგრაფები/კომპლექსური დავალება/პროექტი.	საათები
1. მოქალაქე დემოკრატიულ საზოგადოებაში	1
2. საზოგადოებრივი ინიციატივები	2
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის I ეტაპი	1
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის II ეტაპი	1
3. არასამთავრობო ორგანიზაციები	2
კომპლექსური დავალება - არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მოდელირება	1
4. მედია და საზოგადოება	2
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის III ეტაპი	1
5. საზოგადოებრივი ცენტრები	2
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის IV ეტაპი	1
სულ:	14 სთ.

თემა: ადგილობრივი თვითმმართველობა	საათების სავარაუდო რაოდენობა – 21
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: • ლოკალური პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის (და არა ცენტრალური ხელისუფლების) ფუნქციაა; • თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა შეიძლება; • მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩევნების, დასახლების საერთო კრების, საკრებულოს სხდომაზე დასწრების, პეტიციებისა და სხვა საშუალებით მონაწილეობენ; • საკრებულო და მერია/გამგეობა ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა წინაშე. •	
თემატური საკვანძო შეკითხვები • რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალუა მას? • რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად? • რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომაზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? • როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა? • რატომ უნდა იყვნენ თემში მცხოვრები ქალები და კაცები თვითმმართველობაში თანასწორად წარმოდგენილნი? •	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: 1. მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა 2. ცენტრალური ხელისუფლება თუ ადგილობრივი თვითმმართველობა 3. ადგილობრივი თვითმმართველობა - აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები - ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის ფუნქციები 4. თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს ფუნქციები 5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა 6. წარმომადგენლობითი მონაწილეობა - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 7. თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 8. ადრეული შეტყობინების სისტემა	

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	I ეტაპი 1. ადგილობრივი თვითმმართველობა 2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები პასუხობს საკვანძო კითხვას: რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალება მას?		კომპლექსური დავალებები	
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები		
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი;	მოქალაქე და ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალიზაცია - საზოგადოებრივი ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - თვითმმართველობა, ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები ინიციატივა - დაგეგმვა სამოქალაქო მონაწილეობა - აქტიური მოქალაქე მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება, გარემოზე ზრუნვა	რატომ არის საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობა? რა ევალება მას?		

• ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ურთიერთობის ურთიერთობას; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული,	1. ადგილობრივი თვითმმართველობა აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს თემისა და მისი წევრების ჩართულობას საერთო საზოგადოების მოგვარების საქმეში. შესაბამისად, დასვამს კითხვებს: • გაიხსენე, რომელ თვითმმართველობებს იცნობ? • შენი აზრით, რისთვის არის საჭირო თვითმმართველობა? სავარაუდო პასუხები: • მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ სკოლის თვითმმართველობა, რაზეც მე-7 კლასში ჰქონდათ საუბარი და ნაცნობია მათი სასკოლო ცხოვრებიდან. • თვითმმართველობა საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანს მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მართვაში. მასწავლებელს შეუძლია ჩაუღრმავდეს საკითხს და დასვას დამატებითი კითხვები, რათა გაააქტიუროს მოსწავლეთა პირადი გამოცდილება. • გაიხსენე, როგორ თანხმდება თემა საერთო ინტერესების დასაცავად? • რა როლი აკისრია რიგით მოქალაქეს სათემო მმართველობის განხორციელებაში? გაიხსენე კონკრეტული მაგალითები • ვინ და როგორ იღებს გადაწყვეტილებებს თემის საჭირობებზე? • რა საკითხებს ეხება ეს გადაწყვეტილებები? • ვინ ხელმძღვანელობს გადაწყვეტილებათა განხორციელებას? • ვინ ამოწმებს, შესაფერისად განხორციელდა თუ არა ყველაფერი?	შემაჯამებელი კომპლექსური დავალება - პროექტი - „ჩვენ და ჩვენი ქალაქი/დაბა/სოფელი“ პროექტის I ეტაპი შექმენით ბლოგი ან პორტფოლიო, რომელშიც განათავსებთ ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ამ თავის სწავლის დროს განახორციელებთ. ✓ მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ პროექტის გეგმა, დაყავით ეტაპებად და სახელმძღვანელოს საშუალებით მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ეტაპობრივად განახორციელებთ. ✓ იმოქმედეთ ნაბიჯ-ნაბიჯ და თანდათანობით ჩამოყალიბდებით აქტიურ მოქალაქეებად. ✓ ბლოგს/პორტფოლიოს უწოდეთ პროექტის სახელი, მაგ., „ჩვენ და ჩვენი ბათუმი/თბილისი/ქუთაისი/ოზურგეთი...“ (იმ ქალაქის, დაბისა თუ სოფლის სახელი, სადაც ცხოვრობ). ✓ თითოეულ მოსწავლეს შეუძლია მისთვის ყველაზე საინტერესო სფერო შეარჩიოს, მაგალითად, ზოგი ტექნოლოგიების მიმართულებით იმუშავებს: გადაიღებს და დაამონტაჟებს ვიდეოებს, გააკეთებს აუდიოჩანაწერებს, შექმნის ბლოგს/პორტფოლიოს დიზაინს და გააკონტროლებს
--	---	--

არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში ; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა , ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი	• გაიხსენეთ კონკრეტული ამბები, რასაც შესწრებიხართ ან გაგიგიათ, თავად გამოგიჩენიათ ინიციატივა ან სხვებთან ერთად გიზრუნიათ სკოლის ან თემის / ქალაქის/რეგიონის / დაბის/ სოფლის საჭირობო საკითხების მოგვარებისთვის. (მოსწავლეებმა ზედაპირულად იციან ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო უკეთ იცნობენ სასკოლო თვითმმართველობას, შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა გაახსენოს კონკრეტული ამბები, რაც მათ ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილებიდან ახსოვთ). აქტივობა 2. სოციალური ქსელის - Facebook-ის საშუალებით მოქალაქეების მიერ გამოთქმული პრობლემების განხილვა. მასწავლებელი კითხულობს ან აკითხებს მოსწავლეებს მოქალაქეების 3 „პოსტს“ და დასვამს კითხვებს: • შენ რა შეგიძლია თქვა შენი ქალაქის, სოფლის, დაბის შესახებ - რა გაკეთდა მოქალაქეებისთვის და რა პრობლემებია მოსაგვარებელი? • როგორ ფიქრობ, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე? სავარაუდო პასუხები: • მოსწავლეები გაიხსენებენ იმას, რაც გაკეთდა მათ ქალაქსა თუ სოფელში. • თუ მოსწავლეები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ მეორე კითხვაზე პასუხის გაცემას, მასწავლებელმა დამატებითი კითხვების საშუალებით უნდა მიიყვანოს სწორედ ამ დასკვნამდე: - ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თითოეულმა მოქალაქემ	მას, ზოგი „შეითავსებს“ ჟურნალისტის როლს ინტერვიუს ასაღებად, ზოგი მკვლევარი იქნება, ზოგს შეიძლება კარგად გამოსდის წერა, ზოგს კი - პრეზენტაცია და ა.შ. კლასში ჩატარებული დისკუსიები თუ როლური თამაშიც შეგიძლიათ გადაიღოთ და ატვირთოთ. ✓ თქვენს ფანტაზიას მიეცით გასაქანი. მთავარია, ყველამ მიიღოს მონაწილეობა და მისი წილი პასუხისმგებლობა იტვირთოს. ✓ გაითვალისწინეთ: თავის დასრულების შემდეგ სასკოლო საზოგადოების/პარალელური კლასების ან მოწვეული სტუმრების (შესაძლებელია, მუნიციპალიტეტის რომელიმე თვითმმართველი ორგანოდან მოიწვიოთ წარმომადგენელი) წინაშე გააკეთებთ თქვენი ბლოგის/პორტფოლიოსა და მასში განხილული საკითხების პრეზენტაციას. თქვენ უნდა გამოავლინოთ თქვენი მოქალაქეობრივი პოზიციები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. თავადვე ჩაერთეთ განხორციელებული საქმიანობების შეფასების რუბრიკების შექმნაში, რომ ბოლოს შეფასდეს თითოეული თქვენგანის ნაშრომი ცალ-ცალკე და პროექტი - მთლიანობაში. ✓ გაითვალისწინეთ ისიც, რომ პერიოდულად უნდა შეამოწმოთ მიმდინარე პროცესი, თუ რა ეტაპზეა პროექტი, სად, ვისი, რა ტიპის დახმარება
---	---	---

საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; • მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების	ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად. აქტივობა 3. ცნება „თვითმმართველობის“ განმარტება მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს სიტყვა „თვითმმართველობის“ აგებულებაზე და გამოათქმევინებს ვარაუდებს მის განმარტებაზე. მოისმენს ყველა მოსაზრებას, რის შემდეგაც სახელმძღვანელოში მოცემულ განმარტებას წააკითხებს და შეადარებინებს მათივე ვერსიებს. აქტივობა 4. მარიამის ნაამბობის განხილვა კლასი კითხულობს მარიამის მონათხრობს და გამოკვეთს მასში დასმულ პრობლემას/პრობლემებს. მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას იმის შესახებ, მარიამის რომელი უფლება ირღვევა. მასწავლებელი აქვე გაახსენებს მოსწავლეებს ადამიანის უფლებების დეკლარაციას. ამის შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ჯერ ინდივიდუალურად ჩამოწერონ თითო რჩევა მარიამისათვის, რის შემდეგაც ეს რჩევები მან უნდა გადაიტანოს დაფაზე/„ფლიფჩარტზე“, რასაც მოჰყვება ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვა. მასწავლებელმა საუბრით, მსჯელობით კლასი უნდა მიიყვანოს დასკვნამდე, რომ ამგვარი საკითხების/პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი არის ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა განსაზღვროს საჭიროებები, გამოხატოს თავისი პოზიცია და აქტიურად ითანამშრომლოს თვითმმართველობის ორგანოებთან. რეკომენდაცია მასწავლებელს: რამდენადაც მოსწავლეებმა ჯერ არ იციან, რომელ ორგანოებზეა საუბარი, მასწავლებელი მხოლოდ ვარაუდებს გამოათქმევინებს მათ იმის შესახებ, თუ	გჭირდებათ. პროექტის II ეტაპი: შერჩეული მასალის ბლოგზე ატვირთვა / პორტფოლიოში განთავსება. ალბათ უკვე შექმენით ბლოგი/პორტფოლიო და თქვენი ქალაქის/დაბის/სოფლის შესახებ ინფორმაციაც განათავსეთ მასზე. - წარუდგინეთ კლასს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო და მათთან ერთად იმსჯელეთ, რამდენად ინფორმაციული და ორიგინალურია თქვენი ბლოგი / პორტფოლიო. - ისაუბრეთ, რა გაგიჭირდათ, სად წააწყდით პრობლემას, რა იყო თქვენთვის საინტერესო, ვისგან რა დახმარება გჭირდებათ. როგორ ფიქრობთ გაგრძელებას, რას შეცვლიდით თქვენს ბლოგში. - კლასში განიხილეთ საშინაო დავალებად მოცემული და შექმნილი მასალები, შეარჩიეთ საუკეთესო ნამუშევრები და განათავსეთ ბლოგზე/მოათავსეთ პორტფოლიოში. შეგიძლიათ, მერისადმი მიწერილი რამდენიმე წერილი შეარჩიოთ, რათა ყველას სურვილი იქნას გათვალისწინებული.
--	---	---

გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ	რომელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. თან გააფრთხილებს, რომ მომავალში ამას უფრო დეტალურად შეისწავლიან. აქტივობა 5. კითხვა -პასუხის საშუალებით მსჯელობა: 1.ილიას სიტყვებზე: „ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს.“ რეკომენდაცია მასწავლებელს: დაეხმარეთ მოსწავლეებს ილიას ამ სიტყვების გაგება-გააზრებაში. აქცენტები გააკეთეთ და განამარტინეთ, რას ნიშნავს „რიგიანს წესზედ დამდგარი“ სახელმწიფო? რატომაა ადვილი ნაწილებად დაყოფილი ქვეყნის პატრონობა? სავარაუდო პასუხები: „რიგიანს წესზედ დამდგარი“ სახელმწიფო - განვითარებული სახელმწიფო. ნაწილებად დაყოფილი ქვეყნის მართვა და განვითარება უფრო მარტივია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დადგენა და ადგილზევე მოგვარება უკეთეს შედეგს იძლევა. პარაგრაფში განხილული საკითხების შესაჯამებლად, იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა თვითმმართველობის არსი, მასწავლებელი დასვამს კითხვებს: 2. რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრესი ფუნქცია? 3. შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მართვისთვის ადგილობრივი თვითმმართველობების არსებობა? 4. შენი აზრით, როგორ შეუძლია საზოგადოების	პროექტის III ეტაპი: კლასში ერთად განიხილეთ ბლოგზე ატვირთული ან პორტფოლიოში მოთავსებული მასალა დეტალურად. ისაუბრეთ, რა გაგიჭირდათ, სად წაწყდით პრობლემას, რა იყო თქვენთვის საინტერესო, ვისგან რა დახმარება გჭირდებოდათ. როგორ ფიქრობთ გაგრძელებას, რას შეცვლიდით თქვენს ბლოგში /პორტფოლიოში. პროექტის IV ეტაპი მომზადეთ პროექტის პრეზენტაცია, რომელშიც აღწერილი იქნება თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები და შედეგები. პროექტი წარუდგინეთ კლასს. პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე წარადგინეთ თქვენი შექმნილი ბლოგი. იხელმძღვანელებთ მოცემული კითხვარით და პრეზენტაცია წარმართეთ შემდეგი თანმიმდევრობით: პირველი პრეზენტატორი 1. როგორ დაიწყეთ პროექტზე მუშაობა?
---	---	---

ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების	თითოეულ წევრს ადგილობრივ თვითმმართველობაში თავისი წვლილის შეტანა? 5. რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს მოქალაქე ადგილობრივი პრობლემის მოგვარების პროცესში? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, თქვენს ქალაქში/სოფელში/დაბაში/უბანში თუ იყო მცდელობა მოქალაქეების მხრიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, პრობლემის მოგვარებისა. სავარაუდო პასუხები: 2. ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა, მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაა. 3. მცირე ტერიტორიების მართვა და პატრონობა უფრო მარტივია. 4. შეუძლია საჭიროებების დადგენა, პრობლემების გამოვლენა და მათი მოგვარებისთვის ინიციატივის გამოჩენა. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ თვითმმართველობის უმთავრესი ფუნქციაა მოქალაქეების უფლებების დაცვა; მათ უნდა მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატულებაა არსებული პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა. აქტივობა 6. დისკუსია რეპორტაჟის საფუძველზე: თბილისის	2. რითია მნიშვნელოვანი ეს პროექტი? (წარმოაჩინეთ პროექტის აქტუალობა) 3. როგორ გადაინაწილეთ ფუნქციები - ვის რა წვლილი მიუძღვის პროექტის შექმნაში? 4. რა მასალა განათავსეთ ბლოგზე? პრეზენტატორები თითოეულმა თქვენგანმა, ვისაც ბლოგის შექმნაში - მასალის შექმნასა და განთავსებაში - წვლილი მიუძღვის, თავისი პროდუქტი უნდა წარადგინოს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის დროს, სასურველია, დაიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: • აღწერეთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო; • ახსენით, რა რატომ გააკეთეთ; • შეაფასეთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო, მუშაობის პროცესი - რა იყო თქვენთვის საინტერესო, რა გაგიადვილდათ, რა გაგიჭირდათ, რას შეცვლიდით, რა დაგიტოვავთ ამ პროექტზე მუშაობამ. მოსწავლის შეფასება
---	--	---

წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	პრობლემები - გამოკითხვა http://www.tvpirveli.ge/?id=1921 მასწავლებელი ამზადებს პროექტორსა და კომპიუტერს, რომელშიც წინასწარ აქვს ჩამოტვირთული რეპორტაჟი. ჩვენებამდე და დისკუსიის წარმართვამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ რეპორტაჟში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით შეავსონ სქემა (სქემას ან დაურიგებს ან რვეულში/ფურცელზე დაახაზვინებს), ჩამოწერონ პრობლემები და მიუთითონ: რა არის ამ პრობლემების არსებობის მიზეზი? რა უშლის ხელს პრობლემების მოგვარებას? <table><tr><th>პრობლემები</th><th>ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაჭრელი</th></tr><tr><td></td><td></td></tr></table> რეკომენდაცია მასწავლებელს: დავალება შესაძლებელია შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში, ისე ჯგუფებში, რის შემდეგაც მათ უნდა მიეცეთ საშუალება გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები წარმოდგენილი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ. შესაძლოა, მოსწავლეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოჩნდეს, ასეთ დროს მასწავლებელი ვალდებულია, ყველა მოსაზრება გადაიტანოს დაფაზე, სათითაოდ განიხილოს და მიიყვანოს ისინი გარკვეულ დასკვნამდე. თუმცა, ისიც შეიძლება, რომ პასუხი ღია დატოვოს და აცნობოს კლასს, რომ	პრობლემები	ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაჭრელი			• მიზანი სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული შერჩეულ თემასთან კავშირში. • სამუშაო კარგადაა ორგანიზებული ეტაპების მიხედვით, მათ შორის არის ლოგიკური გადასვლები. • ბლოგისთვის მოძიებული მასალა აქტუალურია, ფაქტები და მასალები სანდოა. • ბლოგზე/პორტფოლიოში განთავსებული მასალები ახალია, ჩანს შემსრულებლის ორიგინალურობა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის • მასალები ვიზუალურად მრავალფეროვანია, კარგადაა გაფორმებული • ნათლადაა გადმოცემული შესრულებული პროექტის არსი, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს ყველა კითხვაზე სრულად • კარგადაა წარმოჩენილი პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან და გარემოსდაცვითი პრინციპი (მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“)
პრობლემები	ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაჭრელი					

	ამ საკითხებზე პასუხს თავად აღმოაჩენენ მომდევნო პარაგრაფში. აქტივობა 7. საშინაო დავალება ინსტრუქცია: დაიყავით წყვილებად და ჩაატარეთ მოსახლეობის გამოკითხვა თქვენს უბანში/ქალაქში/სოფელში/თემში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადასაჭრელი პრობლემების შესახებ. პრეზენტაცია გააკეთეთ კლასის წინაშე. წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა: მასწავლებელი საშინაო დავალების ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს დაიყონ წყვილებად და შეასრულონ შემდეგი დავალება: ✓ დაფიქრდით და განსაზღვრეთ მოქმედების ეტაპები, ✓ მოსაზრებები გაუზიარეთ ერთმანეთს - ვინ რას როდის გააკეთებს, ✓ შეარჩიეთ დავალების შესრულების საუკეთესო სტრატეგია, ✓ რა საშუალებით ჩაიწერთ ინტერვიუს (ვიდეო, აუდიო თუ წერილობითი ჩანაწერით)? შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა: მასწავლებელი წყვილებს გააფრთხილებს, რომ კლასის წინაშე პრეზენტაციის დროს, ჩაწერილი ინტერვიუს წარდგენის გარდა, დაფიქრდნენ და ისაუბრონ შემდეგი კითხვების მიხედვით: ✓ როგორ გაართვით თავი დავალებას? ✓ თქვენგან შერჩეულმა რომელმა სტრატეგიამ გაამართლა?	
--	--	--

	✓ როგორ შედგა მოსახლეობასთან ურთიერთობა? ✓ გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას ამ პრობლემების მოგვარება. რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ დავალებით მოსწავლეები რამდენიმე უნარს გამოიმუშავენ, კერძოდ, პრობლემის იდენტიფიცირების, კვლევის მეთოდების გამოყენების, მონაცემთა ანალიზის, საკუთარი მოსაზრებების გადმოცემის უნარებს. ამასთან ერთად, ისინი ჩაულრმავდებიან საკუთარ აზროვნებასა და შეიმუშავენ სწავლისა თუ დავალების შესრულების ხელსაყრელ სტრატეგიებს. მასწავლებელს შეუძლია კლასს შესთავაზოს ალტერნატიული დავალება: გამოკითხეთ თქვენი ოჯახის წევრებს, როგორ ფიქრობენ, რა პრობლემები არსებობს მათ ქალაქში/სოფელში/დაბაში და როგორ წარმოუდგენიათ მათი მოგვარების გზები. ჩამოწერეთ და გააცანით თქვენს თანაკლასელებს. შემაჯამებელი კომპლექსური დავალება - პროექტი I ეტაპი - წინამოსამზადებელი სამუშაო პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები, საკუთარი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეძლონ საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირება,	
--	---	--

	საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა, იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, ჯგუფში შეთანხმებულად, წესებისა და ღირებულებების დაცვით მოქმედება. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა თავიდანვე უნდა გაითვალისწინოს პროექტზე მუშაობის შემდეგი მახასიათებლები: . პროექტის მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე; . თანხმდებიან პროექტის მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე; . თავად შემოსაზღვრავენ დროით ჩარჩოს და ამ დროს სხვადასხვა აქტივობაზე ანაწილებენ; . თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე - შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს; . მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევენ ორივეს, ორივეს კრიტიკულად აფასებენ და ავითარებენ; . მოსწავლეებს უვითარდებათ თვითორგანიზაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; . აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას; . გრძნობენ მუშაობის პროცესში თავჩენილ პრობლემებს, დაძაბულობასა და კონფლიქტებს და ცდილობენ მათ	
--	--	--

	მოგვარებას; . მზად არიან სხვადასხვა სიტუაციაში ერთმანეთის დასახმარებლად, მაშინაც კი, როცა მათი ინდივიდუალური ინტერესი არ არის წინა პლანზე; . საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და საგნებთან; . მსჯელობენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც თავად აწყდებიან, ეძებენ მათი მოგვარების გზებს; . თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგს; . ხშირად იღებენ მათთვის გამოსადეგ პროდუქტს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აყალიბებს პროექტის, როგორც შემაჯამებელი დავალების, მიზნებსა და განხორციელების გზებს. კლასში მოსწავლეთა რაოდენობის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, პროექტისთვის ურჩევს ბლოგის ან პორტფოლიოს მომზადებას, რომელშიც განათავსებენ სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელებულ აქტივობებს. მოსწავლეები, საშინაო, საკლასო და კლასგარეშე დავალებების ბლოგსა თუ პორტფოლიოში განთავსებით, მკაფიოდ გამოხატავენ საკუთარ პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით; პროექტის დასასრულს კი გააკეთებენ თავიანთი პროდუქტის (ბლოგის ან პორტფოლიოს) პრეზენტაციას სასკოლო საზოგადოების წინაშე (კლასს შეუძლია მოიწვიოს სტუმარი თვითმმართველობის ორგანოებიდან).	
--	---	--

ბლოგი/პორტფოლიო შეუძლია გააკეთოს ჯგუფმა ან მთელმა კლასმა. თავიდანვე უნდა განისაზღვროს ყველას წილი საერთო საქმეში. მასწავლებელმა უნდა გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ ბლოგში/პორტფოლიოში მკაფიოდ გამოჩნდება თითოეული მოსწავლის ჩართულობის ხარისხი.

მოსწავლეების ჩართულობით თავიდანვე უნდა შეთანხმდნენ შეფასების კრიტერიუმებზე. (პროექტის შეფასების რუბრიკის ვერსია იხ. „შეფასების სქემები“ - 4.3.)

მასწავლებელმა უნდა შეუქმნას მოსწავლეებს განწყობა და სახელმძღვანელოში მოცემული ინსტრუქციით იხელმძღვანელოს. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს ბლოგის შექმნაში, მიუთითოს პორტალის მისამართი: **საგანმანათლებლო ტექნოლოგიები - ციფრული რესურსების პორტალი**

<http://www.ict.tpdg.ge/video/48?ch=161>

<http://www.ict.tpdg.ge/video/48?ch=162>

პროექტის I ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმარება ფუნქციების გადანაწილებაში. ამისათვის მიუთითებს:

- გამოყავით მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებიც შექმნიან ბლოგს, შეარჩევენ მის დიზაინს, გამოყოფენ რუბრიკებს.
- ბლოგზე განათავსეთ ინფორმაცია კლასის შესახებ, გააფორმეთ ფოტოებით.
- მოიძიეთ ან თავად დაწერეთ ესეები თქვენი ქალაქის/დაბის/სოფლის შესახებ, გადმოეცით მისი წარსული

	და აწმყო. პირველ ეტაპზე შესასრულებელი ეს აქტივობები ჯგუფებმა უნდა გადაინაწილონ. უნდა ჩამოწერონ, ვინ, რას, როდის გააკეთებს; განსაზღვრონ შესრულებული დავალებების (ბლოგის/პორტფოლიოს შექმნა და პირველადი მასალების განთავსება) შემოწმების ვადები. სახელმძღვანელოში მოცემულია ეტაპების პერიოდები, რომლითაც მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს, განსაზღვროს ვადები და შეუთანხმოს მოსწავლეებს.	
	რესურსები: 1. რეპორტაჟი: თბილისის პრობლემები - გამოკითხვა http://www.tvpirveli.ge/?id=1921 2. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები - ციფრული რესურსების პორტალი http://www.ict.tpdg.ge/video/48?ch=161 http://www.ict.tpdg.ge/video/48?ch=162 3. თელავის მერიის სტრუქტურა http://telavi.gov.ge/sites/default/files/struktura_0.pdf	

	2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს სკოლის თვითმმართველობის როლს სასკოლო ცხოვრებაში, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ინიციატივას სასკოლო თვითმმართველობის განხორციელებაში. ამას არკვევს შემდეგი კითხვების საშუალებით: • რა როლს თამაშობს მოსწავლეთა თვითმმართველობა სასკოლო ცხოვრებაში? • რა მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ინიციატივას სასკოლო თვითმმართველობის განხორციელებაში? სავარაუდო პასუხები: • მოსწავლეთა თვითმმართველობას უფლება აქვს სკოლის შინაგანაწესში შესატან ცვლილებებზე იმუშაოს, ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, შექმნას კლუბები სკოლაში და ხელი შეუწყოს ფორმალურ გარემოში არაფორმალური განათლებისა და აქტივობების განხორციელებას, ასევე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ მოპოვებული გრანტებისა და ფინანსების განკარგვაშიც კი. • თითოეული მოსწავლის ინიციატივით, ჩართულობით შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების საინტერესო მიმართულებით წარმართვა, ბევრი მნიშვნელოვანი	
--	---	--

	საქმის წამოწყება და თვითმმართველობის განხორციელება. აქტივობა 2. თეკლას მონათხრობის გაცნობა მოსწავლეები კითხულობენ თეკლას ნაამბობს და იწყებენ ფიქრს იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ერთნაირი ინტერესით ჩართული თვითმმართველობის საქმიანობაში ყველა მოსწავლე, რატომ არ იჩენენ ინიციატივას. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ისაუბრონ საკუთარ დამოკიდებულებაზე თვითმმართველობისადმი, გაიხსენონ, თუ გამოუჩენიათ რომელიმე მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისთვის ინიციატივა და რა შედეგი მოჰყოლია მას. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა საუბარი იმ მიმართულებით უნდა წაიყვანოს, რომ მოსწავლეებმა იგრძნონ საკუთარი პასუხისმგებლობა საერთო სასკოლო საქმეში; დაფიქრდნენ იმაზე, რომ სწორედ სკოლიდან იწყება აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება და ყველას ვალია თავისი წილი პასუხისმგებლობის აღება თვითმმართველობის განხორციელებაში. აქტივობა 3. ირაკლის მეგობრებისა და სოფელ თამარიანის საჯარო სკოლის მოსწავლეების ინიციატივის გაცნობა; მოსწავლეები ეცნობიან მათი თანატოლების მიერ წამოწყებულ ინიციატივას, თუ როგორ გადაჭრეს მათ პრობლემები არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით. ეს მაგალითები	
--	--	--

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) • ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ	მოსწავლეებს დააფიქრებს იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათ თანატოლებსაც არა მხოლოდ სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც მნიშვნელოვანი საქმეების კეთება. ირაკლის ნაამბობთან დაკავშირებით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე: რა მიზანს ემსახურება მოსწავლეთა ინიციატივა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ეს პროექტი? ასევე მათ უნდა შეაფასონ თამარიანის სკოლის მოსწავლეთა ინიციატივა. დასმული კითხვები: როგორ შეაფასებ სოფელ თამარიანის სკოლის მოსწავლეების ინიციატივას? რას ისახავდნენ მიზნად აქტიური მოსწავლეები? სავარაუდო პასუხები: ირაკლი და მისი მეგობრების ინიციატივა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საკუთარი სკოლის, არამედ საერთო საზოგადო, ყველასათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას, კერძოდ, ადგილობრივი ტყის კეთილმოწყობას, გარემოს დაცვას. მათი ზრახვები დაემთხვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნებს და დააჩქარა პროცესები, რადგან მოსწავლეთა ასეთი ინიციატივა განსაკუთრებული სტიმულის მიმცემი იქნებოდა შესაბამისი სამსახურებისთვის. სოფელ თამარიანის სკოლის მოსწავლეების ინიციატივაც საერთო საზოგადო საქმეს, უსაფრთხო გარემოს შექმნას ემსახურებოდა, კერძოდ, მათი მიზანი იყო სკოლისკენ მიმავალ გზაზე ხიდის ჯებირის შეკეთება. რეკომენდაცია მასწავლებელს: ირაკლის ნაამბობის გაცნობის	
---	--	--

განვითარებას უწყობს ხელს; • საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; • ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ურთიერთობას; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა	დროს მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ გარემოსადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე, თუ როგორ აწყობდნენ დასუფთავების დღეებს ტყეში, რომ გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება. ასევე მნიშვნელოვანია აქცენტების გაკეთება იმაზე, თუ როგორ შეიძლება გაჩნდეს იდეა და რა გზა უნდა გაიარონ მოსწავლეებმა თავიანთი იდეის განსახორციელებლად. კერძოდ, ვის მიმართეს თავდაპირველად, როგორ ჩართეს ამ საქმეში მოსწავლეთა თვითმმართველობა, რა როლი ითამაშა დამრიგებელმა, როგორ მიიღო ადგილობრივმა თვითმმართველობამ ეს ინიციატივა. მსჯელობით მოსწავლეებმა უნდა დაასკვნან, რომ აქტიური მოსწავლეები დასახულ მიზანს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით აღწევენ, რადგან მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაა. სწორედ ამის ნათელი მაგალითია სოფელ თამარიანის სკოლის მოსწავლეების ინიციატივაც. ამ ისტორიების გაცნობის მიზანია მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ როგორ შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა და სასიკეთო საქმის გაკეთება, რომ საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი. ამასთან ერთად, მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;	
--	--	--

მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში ; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა , ინკლუზიურობა, არაძალადობრივი	აქტივობა 4. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სასმელი წყლის სისტემის დამონტაჟების შესახებ ინფორმაციის წაკითხვა იმის დასტურად, რომ სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობაა ვალდებული, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მოაწესრიგოს და მართოს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საქმეები, მოსწავლეები უნდა გაეცნონ ინფორმაციას სოფელ ტინისხიდში სასმელი წყლის სისტემის დამონტაჟების შესახებ. რეკომენდაცია მასწავლებელს: პარაგრაფში მოცემული ისტორიების საშუალებით მასწავლებელმა მოსწავლეები ეტაპობრივად უნდა მიიყვანოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნების გაცნობიერებამდე. ამისთვის, უმჯობესია, ჯერ თავად მოსწავლეებმა გაიხსენონ მსგავსი ამბები და გამოიტანონ დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნების შესახებ. სასურველია, მოსწავლეთა ნაკარნახევი მასწავლებელმა ჩამოწეროს დაფაზე, შემდეგ თვითონ შეავსოს და ამ გზით გააცნოს მიზნების ორი ძირითადი მიმართულება. მასწავლებელს აქვე შეუძლია გაახსენოს დემოკრატიის მთავარი პრინციპები და მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ მოქალაქეების აქტიური ჩართულობის გარეშე ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია, რომ სწორედ ეს არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საფუძველი!	
---	--	--

მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) - პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; - მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; - მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება	აქტივობა 5. ლიკას ნაამბობის გაცნობა, გაანალიზება მოსწავლეები კითხულობენ ლიკას ისტორიას, რომელიც წუხს ბათუმში არსებული პრობლემის შესახებ. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ პრობლემების იდენტიფიცირება, კერძოდ, მიხვდნენ, რომ ქალაქში არსებობს სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებული პრობლემა. ლიკამ არ იცის, ვინ არის ამ პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი, ვის უნდა მიმართოს მოსახლეობამ. მოსწავლეები უკვე უნდა მიხვდნენ, რომ ამაზე ადგილობრივი თვითმმართველობაა პასუხისმგებელი და სწორედ მას ევალება ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომ მოქალაქეებმა თავად უნდა იაქტიურონ და ითანამშრომლონ შესაბამის სამსახურებთან ამგვარი პრობლემის მოსაგვარებლად. ამასთან ერთად, ამ ისტორიაში იკვეთება სოციალური პრობლემაც. „ბებომ ტაქსის ფულიც ვერ მომცა, მისი პენსია წამლებსაც არ ჰყოფნისო,“-ამბობს ლიკა. მასწავლებელმა უნდა დასვას კითხვა: როგორ ფიქრობთ, საპენსიო საკითხის მოგვარება რამდენად შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას? მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს საკითხი ვერ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაგვარებელი. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ამგვარი საკითხები ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, რომ ამას სიღრმისეულად მე-9 კლასში შეისწავლიან, მაგრამ ამთავითვე უნდა გაიაზრონ, რომ არსებობს პრობლემები, ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის და, მეორე მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების მოსაგვარებელი.	
--	---	--

გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; - გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) - დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; - აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით,	აქტივობა 6. რუბრიკა - უპასუხე კითხვებს - რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნები და რომელ სფეროებს მოიცავს იგი? - რა უდევს საფუძვლად მოქალაქეთა კონკრეტული ინიციატივის გამოვლენას? - როგორ შეუძლიათ აქტიურ მოქალაქეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას საერთო მიზნის მიღწევა? სავარაუდო პასუხები: - პირველ კითხვაზე პასუხი პარაგრაფში ექსპლიციტურად არის მოცემული. - პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების გამოკვეთა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია. - მოქალაქეებმა, საჭიროებებიდან გამომდინარე, უნდა მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო ეს უკანასკნელი დაგეგმავს, გამოყოფს თანხებს და იზრუნებს პრობლემის მოგვარებისთვის. აქტივობა 7. რუბრიკა - იმუშავე ინდივიდუალურად მოსწავლეები უნდა გაეცნონ ინფორმაციას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივითა და სამუშაო გეგმის მიხედვით, სოფელ პატარძელში, გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმში	
---	--	--

მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და	ახალგაზრდული ბანაკის მოწყობისა და მოსწავლეთა აქტივობის შესახებ. მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას: რა მიზანს ემსახურება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივა? ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ ცოცხალ მაგალითს, თუ როგორ ზრუნავს ადგილობრივი თვითმმართველობა ახალგაზრდების საგანმანათლებლო საკითხებზე. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიზნის იდენტიფიცირება. პასუხი: ამ ინიციატივის მიზანი იყო მოზარდების შესაძლებლობების განვითარება, მათი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და ხელშეწყობა. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ეს ინიციატივა წამოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურიდან, რომ მათ წინასწარ აქვთ შემუშავებული სამუშაო გეგმა და მსგავსი აქტივობები კვლავ იგეგმება. აქტივობა 8. რუბრიკა - იმუშავეთ წყვილებში ვენის დიაგრამის გამოყენებით მოსწავლეთა თვითმმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნების შედარება. მასწავლებელმა დაფაზე/ფლიფჩარტზე უნდა დახაზოს ვენის დიაგრამის გრაფიკული გამოსახულება, მოსწავლეებს სთხოვოს, გადაიხაზონ რვეულში და იმუშაონ წყვილებში, რის	
--	--	--

საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა,	შემდეგაც მათ ნაკარნახევს გადაიტანს დაფაზე. მოსწავლეები იმსჯელებენ და განიხილავენ ერთმანეთის ნააზრევს. საშინაო დავალება • მოიძიე ინფორმაცია რა კონკრეტული საქმეები/ აქტივობები აქვს განხორციელებული თქვენი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნის მიზნით. ამისთვის შეგიძლია ესტუმრო შენი მუნიციპალიტეტის ვებგვერდს. • დაფიქრდი, შენ რა ინიციატივით/ინიციატივებით მიმართავდი ადგილობრივ თვითმმართველობას თქვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებისათვის? ჩამოწერე სურვილები, იდეები. გააცანი ჯერ ოჯახის წევრებს და შემდეგ - თანაკლასელებს. ამ დავალების მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ მათი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, რათა უკეთ გაერკვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნებში, ფუნქციებსა და საქმიანობებში. ასევე ისინი უნდა დაფიქრდნენ იმ საჭიროებებზე, რაც მათ მუნიციპალიტეტში იკვეთება ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით და რა ტიპის ინიციატივით მიმართავდნენ ადგილობრივ თვითმმართველობას. სასურველია, მოსწავლემ ოჯახის წევრებთან ერთად განიხილოს ეს საკითხი, რათა მათთან კომუნიკაცია შესაძლოა ახალი იდეების საფუძველი	
--	--	--

პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).	გახდეს, ამასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას შეუწყობს ხელს. კლასში მასწავლებელმა ყველას მოსაზრებას უნდა მოუსმინოს და მოსწავლეებმა ერთობლივად განსაზღვრონ, რომელი ინიციატივის განხორციელებაა შესაძლებელი, რომ იფიქრონ მომავალში იდეის საქმედ ქცევაზე.				
	რესურსები: 1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში სასმელი წყლის სისტემა მონტაჟდება https://droa.ge/?p=73413 2. ახალგაზრდული ბანაკი - http://www.sagarejo.gov.ge/ge/axalgazrduli-banaki				
	II ეტაპი 3. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციები 4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციები პასუხობს საკვანძო კითხვას: რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად? <table><tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr><tr><td>ადგილობრივი თვითმმართველობა - აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები - მერია და საკრებულო სოციალიზაცია - სოციალური ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - არჩევითობა, წარმომადგენლობითი ორგანო</td><td> რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად? </td></tr></table>	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	ადგილობრივი თვითმმართველობა - აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები - მერია და საკრებულო სოციალიზაცია - სოციალური ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - არჩევითობა, წარმომადგენლობითი ორგანო	რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად?
საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები				
ადგილობრივი თვითმმართველობა - აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები - მერია და საკრებულო სოციალიზაცია - სოციალური ჯგუფები დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - არჩევითობა, წარმომადგენლობითი ორგანო	რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად?				

	ინიციატივა - ადამიანის უფლებები სამოქალაქო მონაწილეობა - დაგეგმვა, ანგარიშვალდებულება მდგრადი განვითარება - უსაფრთხო გარემო, სამოქალაქო უსაფრთხოება	
3. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციები აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მოსწავლეებს მე-7 კლასში ნასწავლი საკითხი სკოლის თვითმმართველობასთან დაკავშირებით. მათ იციან, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა გაერთიანება, რომელიც უფლებამოსილია სკოლაში დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომ სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სკოლის სამეურვეო საბჭო. თვითმმართველობას ირჩევენ. სკოლის თვითმმართველობის ამ მოდელის გახსენებით მოსწავლე უფრო ადვილად გაიაზრებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციას. სწორედ ამ მიზნით მასწავლებელი დასვამს კითხვებს: • შენი აზრით, რითი შეიძლება ჰგავდეს სკოლის თვითმმართველობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობას? • შენი აზრით, როგორ ხდება წინა პარაგრაფებში განხილული პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე და მათ მოსაგვარებლად რა რესურსებია საჭირო?		

	• მუნიციპალიტეტში რომელ სახელმწიფო სტრუქტურას (დაწესებულებას ან სამსახურს) აქვს ეს რესურსები? მოსწავლეების პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე. მასწავლებელმა მოსმენილი მოსაზრებების გაშლა ისე უნდა მოახერხოს, რომ მივიდეს ასეთ პასუხებამდე: ზემოთ ხსენებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა: • საკანონმდებლო ბაზა (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გადაწყვეტილებები/დადგენილებები) • ფინანსები, • ადამიანური რესურსი, • ტექნიკური საშუალებები. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ფინანსები, ადამიანური რესურსი და ტექნიკური საშუალებები გააჩნია მუნიციპალიტეტის მერიას, გამგეობებს. ქალაქის მერი ან/და მუნიციპალიტეტის გამგებელი ქმნის შესაბამის სამსახურებს, რათა შესაძლებელი გახდეს იმ ფუნქციების/პასუხისმგებლობების შესრულება, რაც ადგილობრივი დონის პრობლემების გადასაწყვეტად არის საჭირო და რაც კანონით არის განსაზღვრული ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. აქტივობა 2. ინტერნეტგაზეთის ინფორმაციების გაცნობა და დასკვნების გამოტანა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ინტერნეტ-გაზეთებიდან ამოღებულ ინფორმაციას რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ჩატარებული სხვადასხვა ტიპის სამუშაოების შესახებ. მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ და	
--	---	--

სამიზნე ცნებები და მათთან	ამოიცნონ, თუ ვინ აგვარებს მუნიციპალიტეტში ადგილობრივ საკითხებს, ამ ინფორმაციების საფუძველზე ჩამოწერონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები და ჩამოთვალონ, სხვა ყველა ის საკითხი, რისი მოგვარებაც, მათი აზრით, ევალება ამ ორგანოებს. მასწავლებელი ეხმარება მათ კითხვების საშუალებით. • რა ყოფილა ადგილობრივი თვითმმართველობის მოვალეობები? • როგორ ფიქრობ, კიდევ რა საკითხების მოგვარება აკისრია მას? გაიხსენე წინა პარაგრაფებიდან მიღებული ინფორმაცია და ჩამოთვალე ყველა შესაძლო ვარიანტი. • შენი აზრით, რა უდევს საფუძვლად ყველა ამ საქმიანობას? რა არის საჭირო ამ საქმიანობების განხორციელებისათვის? ბოლო კითხვის სავარაუდო პასუხი: მერიის საქმიანობას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების მიერ თავისი წარმომადგენლებით - არჩეული დეპუტატებით დაკომპლექტებული საკრებულოს გადაწყვეტილებები, ხოლო ამ გადაწყვეტილებების მიღებისას საკრებულო მოსახლეობის საჭიროებებს ითვალისწინებს. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებისათვის პარაგრაფის თემის მრავალფეროვნად განხილვისათვისა და მუნიციპალიტეტის მერიის უფლებებისა და მოვალეობების სრულად გასააზრებლად, სასურველია, მასწავლებელი გაეცნოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლს „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები“. (იხ. დანართი 1 - ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან“) აქტივობა 3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების	
----------------------------------	--	--

დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) • ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; • საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; • ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს	- საკრებულოსა და მერიის - გაცნობა. მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეთოდით აცნობს მოსწავლეებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია საკრებულო და მერია, რომ საკრებულო არჩევითი ანუ წარმომადგენლობითი ორგანოა, ხოლო მერია - აღმასრულებელი ორგანო. სიტყვებზე დაკვირვებით მასწავლებელს მოსწავლეები მიჰყავს ამ ორგანოების მსგავსება-განსხვავების გააზრებამდე, თუ რას ნიშნავს წარმომადგენლობითი და რას - აღმასრულებელი, როგორ იქმნება სტრუქტურული ერთეულები. მაგრამ მასწავლებელმა არ უნდა ჩამოუთვალოს ეს სამსახურები, არამედ მოსწავლეები თავად უნდა მიხვდნენ, საჭიროებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, რომელი სამსახურებისგან შეიძლება იყოს დაკომპლექტებული მერია. ეს ცოდნა დაეხმარებათ მომავალ მოქალაქეებს, სამოქალაქო მონაწილეობის დროს სწორად განსაზღვრონ მოქმედების არეალი და მიმართულებები. აქტივობა 4. ჯგუფური მუშაობა მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ ჯგუფებში და შექმნან მერიის/გამგეობის სტრუქტურა; გამოთქვან ვარაუდები, თუ რა სამსახურებია საჭირო იმისთვის, რომ ადგილობრივი საკითხები მოგვარდეს მუნიციპალიტეტში. პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი პროექტორის საშუალებით აჩვენებს თელავის მერიის სტრუქტურას და დაეხმარება მოსწავლეებს მათ ნამუშევარში კორექტირების შეტანაში. http://telavi.gov.ge/sites/default/files/struktura_0.pdf მოსწავლეებს, სავარაუდოდ, არ ეცოდინებათ გარკვეული სამსახურების არსებობის შესახებ და დამოუკიდებლად ვერც შეძლებენ მათი სახელწოდებების დასახელებას. ეს პრობლემა	
--	--	--

პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში	არ არის. მასწავლებლის მიზანი ამის დამახსოვრება არ არის, მთავარია, მოსწავლეები მიხვდნენ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილია ყველა ის სამსახური, რომელიც მოსახლეობის ინტერესებს იცავს და აღასრულებს მის დაკვეთას. მოქალაქემ კი საჭიროების შემთხვევაში უნდა იცოდეს, ვის მიმართოს და რა ფორმით. (მიმართვის ფორმებზე ქვემოთ გვექნება საუბარი). აქტივობა 5. თანოს მონათხრობის განხილვა მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ თანოს მონათხრობ ამბავს დეიდა ქეთოზე. მასში რამდენიმე საკითხი იკვეთება. კერძოდ: სოციალური დახმარების პროგრამა (სოციალურად დაუცველია და პენსიას იღებს), პენსიის სიმცირე, რომელიც ისე მცირეა, ზამთარში შეშისთვის არ ყოფნის, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნიჰილიზმი ან საკუთარი უფლებების უცოდინრობა („ჩემი მშობლები ურჩევდნენ, მერიისთვის მიემართა და გადაუხურავდნენ, მაგრამ არ სჯეროდა“), მერის არჩევითობა („აბა, რისთვის ავირჩიეთ, თუ ჩვენთვის არ იზრუნებენო“), მოქალაქის აქტიურობა/ჩართულობა პრობლემის მოგვარებისთვის („ადგა მამაჩემი და თვითონ წავიდა მერიაში. განცხადება დააწერინეს ქეთო დეიდას“), მერიის სამსახურის საქმიანობა („მალევე მივიდნენ სახლის სანახავად, აზომეს, ფოტოები გადაუღეს, დაითვალებს რაღაცები და ერთ თვეში სახლი გადაუხურეს“). ეს ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციაა და მასწავლებელი კითხვების საშუალებით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ტექსტში ამ საკითხების მოძიებაში. ამის გარდა, მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეებმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაიაზრონ შემდეგი კითხვების საშუალებით: მოქალაქის როგორი მონაწილეობა იკვეთება ამ ამბავში? რატომ	
---	---	--

; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი	გადაუხურა დეიდა ქეთოს მერიამ სახლი? შენი აზრით, მერიის რომელ სამსახურს ევალებოდა სახლის გადახურვა? რა ედო საფუძვლად მერიას ამ მოქმედებაში? რა სახსრებით შეძლო მერიამ სახლის გადახურვა? მოსწავლეები უნდა მიხვდნენ (თუნდაც თელავის მერიის სტრუქტურის სქემის დახმარებით), რომ სახლის გადახურვა დაევალებოდა მერიის შესაბამის სამსახურს და ამგვარი სამუშაოებისთვის თავიდანვე გამოყოფილი იქნებოდა ფინანსური სახსრები. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა აქცენტები უნდა გააკეთოს მოქალაქეთა ჩართულობაზე, მათ წვლილზე პრობლემების მოგვარებაში და მერიის სამსახურებზე, მათ ფუნქციებზე, რათა მოსწავლეებს ეტაპობრივად ჩამოუყალიბდეთ მკვიდრი წარმოდგენა იმაზე, რომ თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით შეიძლება ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა. მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილებიდან - ქალაქში/უბანში/დაბაში/სოფელში გაგონილი, ნანახი ანალოგიური ფაქტები და იმსჯელონ მათ შესახებ. აქტივობა 6. რუბრიკა უპასუხე კითხვებს: 1. რატომ ეწოდება მერიას აღმასრულებელი ორგანო? 2. რა საქმიანობებს ახორციელებს მერია? დაასახელე შენს ქალაქში/დაბაში/სოფელში მერიის მიერ ჩატარებული საქმიანობები. 3. რატომ არის შექმნილი მერიაში დარგობრივი სამსახურები? 4. საჭიროა თუ არა ჰქონდეს მოქალაქეს სრული ინფორმაცია მერიის სამსახურებისა და მათი ფუნქციების შესახებ?	
--	--	--

ინიციატივის საფუძველია; • მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება.	პასუხი დაასაბუთე. 5. შენი აზრით, მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობებიდან რომელი ემსახურება მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას? საგარეუდო პასუხები: 1. მერია ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და აღასრულებს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს 2. მერია ზრუნავს ქალაქის კეთილმოწყობაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაზე და სხვ. 3. მერიაში დარგობრივი სამსახურები შექმნილია კონკრეტული საკითხების უმოკლეს ვადაში ეფექტურად გადასაწყვეტად. 4. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რათა საჭიროებისამებრ მიმართოს მერიის შესაბამის სამსახურებს. 5. თელავის მერის 2018 წლის ანგარიშიდან ამონარიდში ვკითხულობთ, რომ თელავის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას და მიზნად ისახავს 2020 წლისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ეკონომიკის განვითარებას, რომელიც არ აბინძურებს და ზიანს არ აყენებს გარემოს. რეკომენდაცია მასწავლებელს: აქცენტი გააკეთეთ ტერმინზე - მდგრადი განვითარება. ამ ტერმინის განმარტება ლექსიკონშია მოცემული, სთხოვეთ ბავშვებს, ყურადღებით გაეცნონ ტერმინის განმარტებას და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით	
---	---	--

სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან,	განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებიდან შეარჩიონ შესაბამისი პასუხი. აქტივობა 7. წყვილებში მუშაობა მოსწავლეები კლასშივე უნდა გაეცნონ თელავის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და იმსჯელონ შემდეგი კითხვების საშუალებით: • როგორ ფიქრობთ, ადგილობრივი თვითმმართველობის რომელი ფუნქციის განხორციელებაში მიიღეს მონაწილეობა სოფელ გულგულის სკოლის მოსწავლეებმა? (პასუხი: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა) • თქვენი აზრით, თელავის მერიის რომელ სამსახურთან ითანამშრომლეს მათ? (პასუხი: ძეგლთა დაცვის სამსახური) • რა მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ გათხრებში მოსწავლეების მონაწილეობას? (პასუხი: მომავალი თაობის ღირებულებითი სისტემისა და მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება) აქტივობა 8. საშინაო დავალება მოსწავლეები უნდა გაეცნონ ინტერნეტით მოცემულ ინფორმაციას, შეაჯამონ პარაგრაფში სხვადასხვა სახით მოწოდებული მერიის საქმიანობა, ჩამოწერონ ყველა ის სფერო, რომელსაც ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის ეს ორგანო. სავარაუდო პასუხები: სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა; ნარჩენების მართვა; წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;	
---	--	--

საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების	ტრანსპორტი; მუნიციპალიტეტის ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწა) განკარგვა; სოციალური საკითხები; საბავშვო ბაღისა თუ სკოლების მშენებლობები; მელიორაციის განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. რესურსი: 1. სოფელ ურაველში ახალი სპორტული მოედანი ეწყობა https://droa.ge/?p=61352 2. შეხვედრა მყარი ნარჩენების მართვის საკითხებზე http://www.senaki.gov.ge/index.php?id=2265&lang=geo 3. ახმეტის მუნიციპალიტეტი https://cutt.ly/7yX74KI 4. ავტობუსები თბილისში https://f.ls/KEHqm 5. თელავის მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე განთავსებულ ინფორმაცია https://f.ls/NYtyx 6. თელავის მერიის სტრუქტურა http://telavi.gov.ge/sites/default/files/struktura_0.pdf 7. გარდაბნის მუნიციპალიტეტში https://cutt.ly/ayX5suW 8. ახალშობილ ბავშვთა ოჯახებისთვის http://telavi.gov.ge/ge/axalshobil-bavshvta-ojaxebistvis 9. აღთაკლია https://f.ls/O2Iet 10. სენაკის მუნიციპალიტეტი	
--	---	--

მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	https://f.ls/AkMv9 11. სამტრედიის მერიის ორგანიზებით გასართობი ღონისძიება - „მერის ნაძვის ხე“ https://cutt.ly/tyX5ten 12. მარტვილის მუნიციპალიტეტი https://f.ls/rrQ52	
	4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციები აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი კონტექსტი, კერძოდ, სკოლაში დაგეგმილი პროექტები, მათთვის განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვა და მასწავლებლების მხრიდან პროცესის მონიტორინგი. ამისათვის მასწავლებელი დასვამს კითხვებს: • სასკოლო პროექტისთვის წინასწარ ადგენთ თუ არა სამოქმედო გეგმას და ხარჯთაღრიცხვას? • როგორ ფიქრობ, სასკოლო პროექტის განხორციელების პროცესს აკვირდებიან თუ არა უფროსები (მასწავლებლები/ადმინისტრაცია)? როგორ? რატომ? აქტივობა 2. ინტერნეტგაზეთის ინფორმაციის გაცნობა და დასკვნების გამოტანა მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ამონარიდს ინტერნეტგაზეთიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.	

	მოსწავლეებმა უნდა გამოკვეთონ რამდენიმე საკითხი, თუ ვინ ესწრებოდა ამ სხდომას და რატომ. მათ პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს: რა მიზნით მოეწყო მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა? რატომ მოიწვიეს ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, არასამთავრობო სექტორის, მედიის წარმომადგენლები და ასევე სხვა დაინტერესებული პირები? საკრებულოს წარმომადგენლები? მასწავლებელმა მათი მსჯელობა ისე უნდა წარმართოს, რომ მოსწავლეებმა გამოიტანონ შემდეგი დასკვნა: მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების გამოვლენა მოქალაქეთა ჩართულობით უნდა მოხდეს, აქედან გამომდინარე, ასევე მოქალაქეთა ჩართულობით უნდა მოხდეს მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა და ამისათვის საჭირო ფინანსური რესურსების დაგეგმვა. აქტივობა 3. დასკვნების შეჯამება მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს მოსწავლეების მიერ გამოტანილი დასკვნა და მოკლედ ჩამოაყალიბოს მერიისა და საკრებულოს ფუნქციები. რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეებისათვის პარაგრაფის თემის მრავალფეროვნად განხილვისათვისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებებისა და მოვალეობების სრულად გასააზრებლად, სასურველია, მასწავლებელი გაეცნოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მუხლი 23 და მუხლი 24-ით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს.	
--	--	--

	(იხ. დანართი 1 - ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან“) აქტივობა 4. ნიკას ამბის განხილვა მოსწავლეები კითხულობენ ნიკას მონათხრობს და გამოკვეთენ მნიშვნელოვან საკითხებს, მსჯელობენ მოცემული კითხვების საფუძველზე: რა ეტაპების გავლაა საჭირო გარკვეული პრობლემის მოსაგვარებლად? რამდენად აუცილებელია სწორედ ამგვარი გზის გავლა? მერიის რომელ სამსახურს დაევალებოდა ამ პრობლემის მოგვარება? როგორ შეუძლიათ შენს თანატოლებს ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება? შენი მოსაზრებები დაასაბუთე. ამ მსჯელობით მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ პრობლემების მოგვარებაში მათაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, რომ გარკვეული ეტაპებია გასავლელი და მერიას წლიური სტრატეგიული გეგმა და განსაზღვრული ბიუჯეტი აქვს, რომ ნებისმიერი საქმიანობა წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ საკრებულო და მერია, მიუხედავად განსხვავებული ფუნქციებისა, პასუხისმგებლები არიან მოქალაქეების კეთილდღეობის შექმნაში, რომ თვითმმართველობასთან მოქალაქეების აქტიური თანამშრომლობით ადგილობრივი პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა შეიძლება. მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მოსწავლეებს დედაქალაქის მერის, კახი კალაძის, 2020 წელს განსახორციელებელი მსხვილი პროექტების პრეზენტაცია	
--	--	--

<https://www.facebook.com/CityHallofTbilisi/videos/226222431718165/>

5/

აქტივობა 5. უპასუხე კითხვებს:

- რატომ ადგენს მერია ყოველი წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმას და ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ დოკუმენტს - ბიუჯეტის პროექტს?
- ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვაში? რატომ?
- რისი საშუალებით იგებს მოსახლეობა ინფორმაციას მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ?
- რატომაა მერია ვალდებული საკრებულოს ყოველი წლის ბოლოს წარუდგინოს გასული წლის ანგარიში?
- რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად? პასუხი დაასაბუთე.

ამ კითხვების საშუალებით მოსწავლეები გაარკვევენ, თუ რამდენად გაიგეს პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია. ბოლო კითხვა მათგან მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს, კერძოდ, იმის გააზრებას, თუ რატომ იყოფა მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებად. მათ უნდა გააცნობიერონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეების არაპირდაპირი (წარმომადგენლობითი) მონაწილეობა და რომ მათ მიერ საკრებულოში არჩეული წარმომადგენლების - საკრებუ-

ლოს დეპუტატების საშუალებით ისინი ახორციელებენ კონტროლს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის საქმიანობასა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად ხარჯვაზე. თუ არ იარსებებდა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები ცალ-ცალკე, მაშინ მოქალაქეებს არ ექნებოდათ არც თვითმმართველობაში მონაწილეობის და არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის საშუალება, ეს კი დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

აქტივობა 6. ჯგუფური მუშაობა

მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ხაშურისა და მესტიის მუნიციპალიტეტების საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლების ანგარიშები მოსახლეობისთვის. მათ უნდა დაასკვნან, რომ მერია ვალდებულია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს წარუდგინოს გასული წლის ანგარიში, ხოლო საკრებულო, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია თავისი ამომრჩევლების წინაშე და მათ წარუდგენს ანგარიშს. ე.ი. მერია და საკრებულო ორივე ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული მოქალაქეების წინაშე.

აქტივობა 7. საშინაო დავალებია

ინტერნეტის საშუალებით მოიძიე ინფორმაცია შენი ქალაქის/რაიონის/დაბის მუნიციპალიტეტის მიმდინარე ან გასული წლის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმისა და

	ბიუჯეტის შესახებ, გაეცანი მერის ანგარიშს და იმსჯელე: ჩატარებული სამუშაოები რამდენად შეესაბამება რეალურად არსებულ საჭიროებებს? რა განხორციელდა მართლაც და კიდევ რის განხორციელებას ისურვებდი შენ? მისწერე წერილი მერს შენი სურვილების შესახებ. მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ მოტანილი დავალებები (მომიებული მასალა, საკუთარი სურვილები და წერილი მერს) კლასში უნდა განიხილონ და იმსჯელონ მათ შესახებ. შემაჯამებელი კომპლექსური დავალების პროექტის II ეტაპისთვის მზადება: შერჩეული მასალის ბლოგზე ატვირთვა / პორტფოლიოში განთავსება. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ბლოგი / პორტფოლიო და განიხილონ როგორც მისი დიზაინი, ასევე შინაარსობრივი მხარეც. შეაფასონ, რამდენად ინფორმაციული და ორიგინალურია. ყველა მოსწავლემ საკუთარი წვლილი, ნამუშევარი უნდა წარმოადგინოს, ჯგუფმა კი - რა, რატომ, როგორ შეარჩია გამოსაქვეყნებლად. ამასთან ერთად, მათ უნდა ისაუბრონ იმის შესახებ, თუ ამ პროცესში რა გაუჭირდათ, სად წააწყდნენ პრობლემას, რა იყო მათთვის საინტერესო, რა სახის დახმარება სჭირდებათ ამ ეტაპზე, როგორ ფიქრობენ გაგრძელებას, რამეს ხომ არ შეცვლიან. ამის გარდა მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ განვლილ	
--	---	--

	გაკვეთილებზე შექმნილი მასალა ბლოგზე ასატვირთად / პორტფოლიოში ჩასადებად. რეკომენდაცია მასწავლებელს: ბლოგის შექმნისა და მასალის ატვირთვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები და შესაბამისი რეკომენდაციები მისცეს მოსწავლეებს. ვინაიდან ფოტო და ვიდეო გამოსახულება წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, მათი გასაჯაროებისას უნდა გვახსოვდეს, რომ არასრულწლოვნის მონაცემების ინტერნეტში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გასაჯაროებამ შესაძლოა არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე (გახდეს ბულინგის ან სხვა სახის არასასურველი მოპყრობის ობიექტი). შესაბამისად, ბლოგზე და ნებისმიერ საჯარო სივრცეში მასალის განთავსებისას პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოთ ბავშვების მონაცემების, ფოტოების გასაჯაროებას და იმოქმედოთ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (მიიღეთ თანხმობა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისგან). ზრდასრულ ადამიანთა შემთხვევაში კი აუცილებელია პირის თანხმობა მასალის გამოქვეყნების თაობაზე. რესურსები: 1. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში https://f.ls/jynMy 2. ნიკო ნიკოლაძე https://f.ls/gxM9S	
--	--	--

	3. ხაშურის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშით წარსდგნენ https://f.ls/vhHOH 4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო https://f.ls/NPaLQ 5. დედაქალაქის მერის, კახი კალაძის, 2020 წელს განსახორციელებელი მსხვილი პროექტების პრეზენტაცია https://f.ls/5LfEi					
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	III ეტაპი 5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა 6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს, რომლებიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოქალაქეთა თანამშრომლობისა და მონაწილეობის საკითხებს.					
	<table><tr><td>საკითხი და ქვეცნებები</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები</td></tr><tr><td>თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა</td><td> - რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? - როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა? </td></tr></table>	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა	- რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? - როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?	
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები				
თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა	- რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? - როგორ შემიძლია ჩემს თემში არსებული პრობლემების (მაგ., საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიის) გადასაჭრელად ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა?					
სოციალიზაცია - დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები ინიციატივა - საინიციატივო ჯგუფი სამოქალაქო მონაწილეობა - პირდაპირი მონაწილეობა, არაპირდაპირი მონაწილეობა,						

	ადვოკატირება, მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება რატომ უნდა იყვნენ თემში მცხოვრები ქალები და კაცები თვითმმართველობაში თანასწორად წარმოდგენილნი?	
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; - ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალუმი ჰარმონიულ ურთიერთობას; - საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13)	5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: იმისთვის, რომ მოცემული საკითხის გააზრება შეძლონ მოსწავლეებმა, მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მათ დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობა დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. იგი დასვამს შემდეგ კითხვებს: - რატომ არის საჭირო მოქალაქეების მონაწილეობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში? - როგორ შეგიძლია მონაწილეობა მიიღო შენი ქალაქის/დაბის/სოფლის ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში? სავარაუდო პასუხები: - მოქალაქეებმა თავად იციან საკუთარი პრობლემები და საჭიროებები, შესაბამისად, უნდა მიმართონ მათ მიერვე არჩეულ საკრებულოს დეპუტატებს, ან ქალაქის მერს, რომლებიც ვალდებული არიან, მოაგვარონ ადგილობრივი პრობლემები.	კომპლექსური დავალება 1. იმსჯელეთ კლასში და შეარჩიეთ თქვენს ქალაქში/თემში ისეთი აქტუალური საკითხი, რომლის გადაჭრა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის გადასაწყვეტია. გთავაზობთ სამ დავალებას. თქვენი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეარჩიეთ ერთ-ერთი. ალტერნატიული დავალება 1. კლასი გაიყავით ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს პირობითად დაარქვით „სამოქალაქო საზოგადოება“,

• დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის	• მოსწავლეებს შეუძლიათ სრულწლოვანის დახმარებით მიმართონ მერიას, პრობლემიდან გამომდინარე, შესაბამის სამსახურს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რაც მასწავლებელმა ფლიფჩარტზე უნდა ჩამოწეროს, მაგრამ ეტყვის კლასს, რომ პასუხს ამ პარაგრაფის საშუალებით მიიღებენ. რეკომენდაცია მასწავლებელს: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების მრავალფეროვნად განსახილველად, სასურველია, მასწავლებელი გაეცნოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მუხლებს 85, 85'2, 85'3, 85'4, 85'5, 86, 86', 87 და 88. (იხ. დანართი 1 - ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან“) აქტივობა 2. ახალგაზრდების პრობლემების განხილვა მოსწავლეები კითხულობენ ინფორმაციას თელავში საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემაზე. მოახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას და დაიწყებენ ფიქრს იმაზე, თუ ამ პრობლემის მოგვარებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის რომელ ორგანოს (მერიას თუ საკრებულოს) უნდა მიმართონ ახალგაზრდებმა. სწორი პასუხი უნდა იყოს ამგვარი: ახალგაზრდებმა უნდა მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს: დაეხმარეთ მათ წერილის/განცხადების შედგენაში, ურჩიეთ, კონკრეტულად როგორ მოიქცნენ. გამოათქმევინებს აზრს, თუ როგორ შეძლებს ამ ინიციატივის	მეორეს - „ქალაქის მერიის სამსახურების წარმომადგენლები“ / „ქალაქის მერია“. I ეტაპი: „სამოქალაქო საზოგადოება“ მსჯელობს უკვე შერჩეული პრობლემის აქტუალობის შესახებ და ამზადებს პეტიციის ტექსტს მერიაში წარსადგენად. ტექსტში უნდა აღწეროთ პრობლემა, დაასაბუთოთ მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. „მერია“, რომელსაც უკვე აქვს ინფორმაცია, თუ რა პრობლემას განიხილავს „სამოქალაქო საზოგადოება“ მერიაში წარსადგენად, მსჯელობს მისი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე, მერიაში არსებულ ფინანსურსა და ადამიანურ რესურსებზე. II ეტაპი: „სამოქალაქო საზოგადოება“ „მერიის“ წინაშე გააკეთებს პრეზენტაციას და წარუდგენს პეტიციას. „მერია“ ყურადღებით ისმენს, აანალიზებს პრობლემის აქტუალობას და, თავის მხრივ, აკეთებს პრეზენტაციას ამ პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. III ეტაპი: „სამოქალაქო საზოგადოება“ აფასებს „მერიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.
--	---	--

საფუძველია; • მკავიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით,	დაკმაყოფილებას თელავის თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო? მისცენ მასაც რჩევა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს კლასს, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამისთვის საჭიროა პრობლემის შესწავლა და შეფასება, მისი აქტუალურობის დადგენა და საჭირო ფინანსების გამოყოფა. აქტივობა 3. მოქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობაში პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მოქალაქეს კანონით აქვს უფლება ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობისა როგორც პირდაპირ - უშუალო ჩართულობით, ასევე არაპირდაპირ - წარმომადგენლების საშუალებით. თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი, მოსწავლეები ამოიკითხავენ მოცემულ სქემაში, მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, განუმარტავს მათ. აქტივობა 4. ადგილობრივ თვითმმართველობასთან პირდაპირი ჩართულობის ფორმების გაცნობა მოსწავლეები ხელვაჩაურისა და სოფელ ჭყონაგორას მოსახლეობის მიერ პრობლემის მოგვარების შესახებ ინფორმაციის გაცნობის საშუალებით გაიგებენ, რომ არსებობს თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის შემდეგი ფორმები: პეტიცია, დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და სხვ. სასურველია, მოსწავლეებმა ჩამოწერონ, ჭყონაგორას სოფლის მოსახლეობამ პრობლემის მოგვარებისთვის რა გზა განვლო. პასუხი: მოსახლეობამ გამოყო საინიციატივო ჯგუფი, მოიწვიეს დასახლების საერთო კრება,	მოსწავლის შეფასება • პეტიციის ტექსტში აღწერილი პრობლემა დასაბუთებულია, კარგად ჩანს მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. • პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები დასაბუთებულია და ეფექტურია. • მერიაში არსებულ ფინანსურსა და ადამიანურ რესურსებზე მსჯელობა დამაჯერებელია/რეალურია. • „მერიის“ მიერ წარდგენილი პრეზენტაციაში სრულად გაანალიზებულია პრობლემის აქტუალურობა, შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. • „სამოქალაქო საზოგადოება“ არგუმენტირებულად აფასებს „მერიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ალტერნატიული დავალება 2. განხილული პრობლემის საფუძველზე, შექმენი პოსტერი-პეტიცია და წარადგინე კლასის წინაშე.
--	--	---

მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით,	მიმართეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საიდანაც 3 დღის ვადაში უნდა მიეღოთ პასუხი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაარღვია კანონი. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება სოფლის მოსახლეობამ. მათ ხაზი უნდა გაუსვან იმას, რომ მოსახლეობამ/საინიციატივო ჯგუფმა არ იცის კანონმდებლობა, რა უფლებები აქვთ მათ. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ აქ ირღვევა ადამიანთა უფლებები და თავად გამოხატონ საკუთარი აზრი ამგვარ სიტუაციაში პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით. მასწავლებელს შეუძლია, მიანიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში, სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა. მოსწავლეები განიხილავენ რეკომენდაციებს პეტიციის დაწერის თაობაზე, გაეცნობიან პეტიციის ნიმუშს, დააკვირდებიან მის შინაარსობრივ და სტრუქტურულ მხარეებს. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა უნდა განიხილოს საკრებულოში მოქალაქეთა მიღების შესახებ მოცემული ინფორმაცია. მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, უნდა მიხვდნენ, რომ სამშენებლო საკითხებზე საკრებულო მოქალაქეებს უშუამდგომლობდა მერიის შესაბამის სამსახურთან. ხაზი უნდა გაუსვას იმ ფაქტს, რომ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მოქალაქეებისთვის გასაცნობად აუცილებელია მოეწყოს საჯარო განხილვები. მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ, თუ რა საშუალებებითაა	პრობლემა და გადაჭრის გზები შეგიძლია გადმოსცე ნახატების ან ფოტოების საშუალებით. შეარჩიეთ 1 საინტერესოდ / სრულყოფილად ჩამოაყალიბებული პეტიცია და რადგან მოზარდებს ოფიციალურად პეტიციის წარდგენის უფლება არ აქვთ, ამიტომ მასწავლებლის დახმარებით, მიმართეთ საკრებულოს წარმომადგენელს პეტიციაში აღნიშნული რეალურად არსებული პრობლემის გადაჭრის ინიციატივით. მოსწავლის შეფასება • პოსტერი - პეტიცია შექმნილია რეალურად არსებული პრობლემის საფუძველზე, წარდგენლია კლასის წინაშე. • პრობლემა და გადაჭრის გზები გადმოცემულია სრულად ასევე ნახატების და ფოტოების საშუალებით. • დაგეგმილია საკრებულოს წარმომადგენელთან შეხვედრა. • შეხვედრის ორგანიზებაში სრულად გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიღების პროცედურები. • განხორციელდა საკრებულოს წარმომადგენელთან შეხვედრა, მოხდა რეალურად არსებული პრობლემის განხილვა.
---	---	--

ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).	შესაძლებელი ინფორმაციის გასაჯაროება. მასწავლებელს შეუძლია გააცნოს მოსწავლეებს ოქსფორდში 1907 წელს შექმნილი პეტიცია, რომელსაც 3000 ქართველი რუსული ანექსიის წინააღმდეგ აწერს ხელს. https://ajaratv.ge/article/29667 აქტივობა 5. საკითხის შეჯამება კითხვა-პასუხით იმისთვის, რომ მასწავლებელმა შეაჯამოს პარაგრაფის საშუალებით გაცნობილი ინფორმაცია, მოსწავლეებს უნდა დაუსვას შემდეგი კითხვები: 1. რას გულისხმობს მოქალაქეების პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში? 2. რატომ აქვს მოსახლეობას საკრებულოს სხდომებზე დასწრების უფლება? 3. რატომ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება? 4. რომელი საკანონმდებლო დოკუმენტებითაა დაცული ადამიანის უფლება - მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში / თვითმმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში? 5. სინამდვილეში როგორია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში? რამდენად იცნობენ ისინი საკუთარ უფლებებს? სავარაუდო პასუხები: 1. პირდაპირი - საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების	ალტერნატიული დავალება 3. შექმენი კომიქსი, რომელზეც ასახული იქნება სამოქალაქო საზოგადოების მიერ აღმოჩენილი პრობლემის მოგვარების პროცესი და მისი ურთიერთობა მერიასთან. შენი ნამუშევარი წარადგინე კლასის წინაშე. მოსწავლის შეფასება • კომიქსში ხდება საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება. • კომიქსში ჩანს მოსწავლის როლი/ ჩართულობა პრობლემის გადაჭრაში. • მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა. • მოსწავლე სრულად იაზრებს ლოკალური პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციას. • მოსწავლეს გააზრებული აქვს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა პეტიციებისა და სხვა საშუალებით. (მოცემული კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები იხ. თავში „შეფასების სქემები“)
--	--	---

	სხდომებში მონაწილეობის უფლება; მერიაში/საკრებულოში სხვადასხვა პრობლემის მოგვარების მიზნით დასახლების საერთო კრების მოწვევის, პეტიციის წარდგენის უფლება. არაპირდაპირი მონაწილეობა - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება არჩევნების გზით: საკრებულოში მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლების - საკრებულოს დეპუტატების საშუალებით; აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის - მერის საშუალებით. 2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ანგარიშვალდებულია ამ მუნიციპალიტეტის მოქალაქეების წინაშე, მოქალაქეებს უფლება აქვთ გაეცნონ არჩეული მერისა და საკრებულოს მუშაობას, შესაბამისად, მათ აქვთ უფლება დაესწრონ საკრებულოს სხდომებს. 3. დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტის აქტიური ჩართულობისათვის. საერთო კრება განიხილავს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად ამზადებს შესაბამისი წინადადებებს; 4. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ, შესაბამისად, ნაკლებად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. აქტივობა 6. Radio Wey FM101.1-ის გადაცემა: „მე და სახელმწიფო - თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობის“ მოსმენა და განხილვა.	
--	--	--

	მასწავლებელს შეუძლია ტელეფონის/კომპიუტერის საშუალებით მოძებნოს გადაცემა ბმულის საშუალებით (იხ. რესურსებში). ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით მოასმენინოს მოსწავლეებს გადაცემა და მისცეს საშუალება იმსჯელონ მასში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ და გამოიტანონ დასკვნა. კითხვა ასე უნდა დასვას: რაში ხედავ პრობლემას? რას და როგორ შეცვლიდი შენ? პასუხი დაასაბუთე. აქტივობა 7. საშინაო დავალების მიცემა მასწავლებელი აცნობს კლასს საშინაო დავალების პირობას, მიუთუთებს პორტალს, სადაც მოსწავლეებმა უნდა ნახონ პეტიციები (პეტიციები განთავსებულია შემდეგ ბმულებზე): https://ichange.gov.ge/ http://manifest.ge/ ინსტრუქცია: შეარჩიე ერთი, შენი აზრით, ყველაზე აქტუალური პეტიცია და წარუდგინე კლასს. დაასაბუთე შენი არჩევანი. კომპლექსური დავალებისთვის მზადება: კლასში უნდა მოეწყოს მოსწავლეების მიერ შერჩეული პეტიციების განხილვა. კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეები გაიხსენებენ თვითმმართველი ორგანოების ფუნქციებს, მოქალაქეების მონაწილეობის ფორმებს, პეტიციის შექმნის წესებს და შეარჩევენ შეთავაზებული კომპლექსური დავალებებიდან ერთ-ერთს. პირველი დავალების შესრულებისთვის მიჰყვებიან მოსწავლის	
--	---	--

წიგნში მოცემულ ინსტრუქციებს და გაითამაშებენ/გააკეთებენ მოდელირებას - „სამოქალაქო საზოგადოება მერიაში“. (შეფასებს სქემა იხ. „შეფასების სქემები“-4.3.) მეორე დავალებისთვის მოსწავლეები შეარჩევენ მუნიციპალიტეტში რეალურად არსებულ პრობლემებს და ქმნიან პოსტერ-პეტიციებს, რომელსაც წარადგენენ კლასის წინაშე. მათგან შეარჩევენ ერთ ყველაზე აქტუალურს. მოემზადებიან პეტიციაში ჩამოყალიბებული რეალურად არსებული პრობლემის გადაჭრის ინიციატივის საკრებულოს წარმომადგენელთან წარსადგენად. მასწავლებელი თავის მხრივ, წინასწარ დაგეგმავს საკრებულოში ვიზიტს.	კომპლექსური დავალება 2. ჯგუფებმა ჩაატარეთ კვლევა არჩევნების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ. გააკეთეთ დასკვნები და წარადგინეთ კლასის წინაშე. მონაცემები ატვირთეთ პროექტის ბლოგზე. გამოკითხვის ფურცელი 1. ხმის მიცემაში არმონაწილე შეკითხვა 1. თქვენი ასაკობრივი ჯგუფი? (პასუხის გაცემა არ არის სავალდებულო) <table><tr><td></td><td>25 წ.მდე</td><td>25-40</td><td>40-60</td><td>60 წ. ზევით</td><td>არ უპასუხა</td></tr><tr><td>ქალები</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr><tr><td>მამაკაცები</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr></table> შეკითხვა 2. რატომ არ მიეცით ხმა ბოლო არჩევნებში? მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი პასუხი <table><tr><td>ა) ვთვლიდი, რომ ჩემი ხმა არ მოახდენდა გავლენას არჩევნების შედეგებზე</td><td></td></tr><tr><td>ბ) კანდიდატებიდან არც ერთი არ აღძრავდა ჩემში სიმპატიებს</td><td></td></tr><tr><td>გ) არ ვეთანხმებოდი არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამას</td><td></td></tr><tr><td>დ) ჩემთვის სულერთი იყო</td><td></td></tr><tr><td>ე) სხვა მიზეზები (მიუთითეთ)</td><td></td></tr></table>		25 წ.მდე	25-40	40-60	60 წ. ზევით	არ უპასუხა	ქალები						მამაკაცები						ა) ვთვლიდი, რომ ჩემი ხმა არ მოახდენდა გავლენას არჩევნების შედეგებზე		ბ) კანდიდატებიდან არც ერთი არ აღძრავდა ჩემში სიმპატიებს		გ) არ ვეთანხმებოდი არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამას		დ) ჩემთვის სულერთი იყო		ე) სხვა მიზეზები (მიუთითეთ)	
	25 წ.მდე	25-40	40-60	60 წ. ზევით	არ უპასუხა																								
ქალები																													
მამაკაცები																													
ა) ვთვლიდი, რომ ჩემი ხმა არ მოახდენდა გავლენას არჩევნების შედეგებზე																													
ბ) კანდიდატებიდან არც ერთი არ აღძრავდა ჩემში სიმპატიებს																													
გ) არ ვეთანხმებოდი არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამას																													
დ) ჩემთვის სულერთი იყო																													
ე) სხვა მიზეზები (მიუთითეთ)																													
რესურსი: 1. თელავში ახალგაზრდები საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ https://droa.ge/?p=58435 2. მოსახლეობამ ხელვაჩაურის საკრებულოს პეტიციით მიმართა https://droa.ge/?p=16356 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყონაგორას http://www.darbazi.org.ge/index.php/ka/2014-12-11-15-32-49/118-2017-01-23-06-53-05 4. Radio Wey FM101.1-ის გადაცემა: „მე და სახელმწიფო - თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობის“ მოსმენა და განხილვა. https://cutt.ly/9yL6dXw 5. ოქსფორდში 1907 წელს შექმნილი პეტიცია აღმოაჩინეს - 3000 ქართველი რუსული ანექსიის წინააღმდეგ (26 მაისი 2018)																													

<https://ajaratv.ge/article/29667>

6. პეტიციები

<https://ichange.gov.ge/>

<http://manifest.ge/>

6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს სკოლის თვითმმართველობის არჩევნებს, თუ როგორ და რატომ ტარდება ის, რათა შემდგომ გაიაზრონ არჩევნების პროცედურები და მნიშვნელობა. შესაბამისად, დასვამს კითხვებს:

- გაიხსენე სკოლის თვითმმართველობის არჩევნები, როგორ და რატომ ატარებთ მას?
- შენი აზრით, რა პასუხისმგებლობას იღებს ამომრჩეველი არჩევნების დროს?

რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელმა უნდა გააცნობიერებინოს მოსწავლეებს ის, რომ საკუთარი ქვეყნის მართვაში თითოეულ მოქალაქეს თავისი პასუხისმგებლობა აკისრია, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი უფლება და ვალდებულებაა, მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერისა და წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში. იგი აცნობს კლასს კონსტიტუციის 24-ე მუხლს და განუმარტავს პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლებებისა და ფარული

გამოკითხვის ფურცელი 2. ხმის მიცემის მონაწილე შეკითხვა 1. თქვენი ასაკობრივი ჯგუფი? (პასუხის გაცემა არ არის სავალდებულო)

	25 წ.მდე	25-40	40-60	60 წ. ზევით	არ უპასუხა
ქალები					
მამაკაცები					

შეკითხვა 2. რატომ მიიღეთ მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში ბოლო თვითმმართველობის არჩევნებზე?

ა) ვთვლი, რომ ეს არის ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა	
ბ) მინდოდა ხმა მიმეცა... (კანდიდატისთვის)	
გ) მინდოდა ხმა მიმეცა... (პარტიისთვის)	
დ) არ მინდოდა გაემარჯვა ვინმე სხვას (სხვა კანდიდატი/სხვა პარტია)	
ე) სხვა მიზეზი (მიუთითეთ)	

რეკომენდაციები ანალიზისთვის:

გამოკითხვის დასრულების შემდეგ შევსებული ცხრილის საშუალებით შეაჯამეთ მონაცემები:

1. გამოკითხულთაგან რამდენმა მიიღო მონაწილეობა

	კენჭისყრის მნიშვნელობებს. აქტივობა 2. სანდროს მონათხრობის განხილვა მოსწავლეები კითხულობენ სანდროს მონათხრობს და განიხილავენ მათი თანატოლის თვალთ დახედული არჩევნების პროცესებს. ამ ამბიდან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა გაუაქტიუროს მოსწავლეებს მათი გამოცდილება, გაახსენოს, თავად რა იციან, უნახავთ, გაუგიათ არჩევნების შესახებ, როგორ იქცევიან მათი ოჯახის წევრები, როგორ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ ამ პროცესების მიმართ. მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ საარჩევნო აქტივობები, იმსჯელონ - როგორია სანდროს დამოკიდებულება არჩევნებისადმი; აქვე ახსნან საკუთარი დამოკიდებულება, რა განაპირობებს მის ამგვარ დამოკიდებულებას; მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ კითხვებზე: რაში ხედავს სანდროს მამა ამომრჩევლის პასუხისმგებლობას? შენი აზრით, როგორია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქე? ამ კითხვების საშუალებით მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქე არის ის, ვინც არა მხოლოდ საკუთარი ნაჭუჭიდან იყურება, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს, არამედ მისი მზერა და საქმე სახელმწიფოს კეთილდღეობისკენ არის მიმართული. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი ღირებულებების მქონე კანონმორჩილი პიროვნებაა, რომელიც გადაწყვეტილებებს შეგნებულად ღებულობს, თავისი პირადი ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე ხალხის და სახელმწიფოს სასარგებლოდ. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ჯონ კენედიმ მიმართა ამერიკელ ხალხს: „ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა იმაზე, რას	ბოლოს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში? - როგორ გადანაწილდა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა მეორე შეკითხვის პასუხებში? დაალაგეთ პასუხები კლების მიხედვით და გააკეთეთ დასკვნები. 2. გამოკითხულთაგან რამდენმა არ მიიღო მონაწილეობა ბოლოს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში? - როგორ გადანაწილდა მეორე შეკითხვის პასუხებში იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ? დაალაგეთ პასუხები კლების მიხედვით და გააკეთეთ დასკვნები. მოსწავლის შეფასება • ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა სრულია. • კვლევის მონაცემები ეფექტურადაა წარდგენილი კლასის წინაშე, მონაცემები ატვირთულია ბლოგზე. • კვლევის ანალიზი სწორადაა გაკეთებული. • გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნა, რომ მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩევნების საშუალებით მონაწილეობენ. • დასკვნებში არგუმენტირებულია, რომ თვითმმართველობაში თანასწორად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი თემში მცხოვრები ქალები და კაცები.
--	--	--

	გვაძლევს ჩვენ ამერიკა, არამედ რას ვაძლევთ ჩვენ მას“. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ სწორედ ეს ახალგაზრდები არიან მომავალი მოქალაქეები, რომელთაც უნდა იზრუნონ ქვეყნის აღმშენებლობაზე. აქტივობა 3. არჩევნების ეტაპები მასწავლებელმა კითხვა-პასუხით უნდა მიიყვანოს მოსწავლეები დასკვნამდე, რომ არჩევნების პროცესი სამი ეტაპისგან შედგება: 1. წინასაარჩევნო კამპანია, როდესაც მოქალაქეები ეცნობიან ასარჩევ კანდიდატთა პროგრამებს, 2. არჩევნების დღე - მოქალაქეები ხმას აძლევენ მისთვის სასურველ კანდიდატს, 3. შედეგების შეჯამება და მოქალაქეებისთვის გაცნობა. აქტივობა 4. საქართველოს საარჩევნო კოდექსის გაცნობა მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საარჩევნო კოდექსიდან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, თუ ვინ შეიძლება აირჩეს საკრებულოს წევრად და მერად. რეკომენდაცია მასწავლებელს: გააცანით მოსწავლეებს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 134 და მუხლი 135. განუმარტეთ მათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ვადები. (იხ. დანართი 2 - ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-დან). აქვე მოსწავლეები ეცნობიან გენდერულ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას: „გამოწვევა და შესაძლებლობა“, რომლის მიხედვითაც საქართველოში გენდერული ბალანსის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა. ამასთან ერთად, მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა უნდა	ალტერნატიული დავალება 2. დაწერე ესე: „მე რომ სრულწლოვანი გაგხდები...“ ესეში გამოხატე შენი პოზიცია: როცა სრულწლოვანი გახდები, როგორი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მოეკიდები არჩევნების საკითხს. როგორ გააკეთებ არჩევანს? რას მიანიჭებ უპირატესობას? მოსწავლის შეფასება • ნამუშევარი სრულად პასუხობს დავალების პირობას და გააზრებულია სიღრმისეულად. • მსჯელობა დამაჯერებლად, ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასასაბუთებლად მოყვანილია სათანადო არგუმენტები თუ როგორ გააკეთებს არჩევანს? რას მიანიჭებს უპირატესობას? • მსჯელობა თანმიმდევრულია, აზრდები ლოგიკურადაა გამოყოფილი. ნამუშევარი კარგადაა ორგანიზებული: გამოკვეთილია შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); შესავალში მიზნის შესაბამისად მკაფიოდ და საინტერესოდ არის დასმული საკითხი, მსჯელობა თანმიმდევრულია, • ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, / საკითხისადმი შემოქმედებითი, ორიგინალური მიდგომა. • ნათლად ჩანს მოსწავლის მოქალაქეობრივი პოზიცია, არჩევნების მიმართ.
--	--	--

	ნახონ 2017 წელს გადაღებული პირველი არხის რეპორტაჟი - „ქალი ქალაქის მერად - საქართველოში ერთადერთი ქალი მერისყოველდღიურობა“ https://www.youtube.com/watch?v=VPaKdwkn42A) და იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს გენდერულ უთანასწორობას საქართველოში. აქტივობა 5. დისკუსია (ცალკე საათი უნდა დაეთმოს დისკუსიას) მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს 2019 წლის 29 ოქტომბერს ჟენევაში გაეროს რეგიონულ შეხვედრაზე ექვსი ქართველი ქალის ვიდეომიმართვას, რითიც გაიხსნა ეს შეხვედრა (https://www.youtube.com/watch?v=HCjOpPMno4g), რომელშიც ქალმა პოლიტიკოსებმა, სამოქალაქო აქტივისტებმა, მეცნიერებმა და მსახიობებმა ერთხმად ისაუბრეს გენდერული თანასწორობის გამოწვევებზე საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში, მათ გამოხატეს თავიანთი ურყევი პოზიცია გენდერული თანასწორობის მიღწევასა და სტერეოტიპების მსხვერველთან დაკავშირებით. ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ მასწავლებელი უნდა მოემზადოს დისკუსიისთვის თემაზე: უნდა იყვნენ თუ არა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები და კაცები თვით-მმართველობის ორგანოებში თანასწორად წარმოდგენილნი? დისკუსიის წარსამართავად საჭიროა შემდეგი ეტაპების გათვალისწინება: I. დისკუსიის დაწყებამდე, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შექმნას ან გაახსენოს უკვე შექმნილი დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და წესები. II. დისკუსიის მოსამზადებლად მასწავლებელმა უნდა დაურიგოს მოსწავლეებს სქემა, რომელშიც ჩამოწერენ 3-3	(მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“)
--	---	---

არგუმენტს ორი სხვადასხვა დამოკიდებულების დასამტკიცებლად.

დიახ	სადისკუსიო საკითხი	არა
	უნდა იყვნენ თუ არა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები და კაცები თვითმმართველობის ორგანოებში თანასწორად წარმოდგენილნი?	

III. მოცემული სქემის ინდივიდუალურად შევსების შემდეგ მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, რომ გაიყონ 2 ჯგუფად - ერთი, რომლებიც თანასწორობის მომხრენი არიან, და მეორე - რომლებიც თვლიან, რომ არ არის აუცილებელი (არათანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ მნიშვნელოვანია, მათ ისწავლონ პოზიციის დაცვა, რომ უნდა იცოდნენ ოპონენტის არგუმენტები და მზად იყვნენ მოსაზრების დასაცავად).

IV. დისკუსიის წარმართვა: ორი ჯგუფი ერთმანეთის პირისპირ უნდა იჯდეს და რიგრიგობით არგუმენტირებულად ასაბუთებდეს საკუთარ მოსაზრებას. მასწავლებელმა მედიატორის როლი უნდა ითავოს და დისკუსია წარმართოს ისე, რომ ყველას ჰქონდეს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

V. დისკუსიის შეჯამება: არგუმენტების სიმყარის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა გამოიტანოს დასკვნა და შეაჯამოს მოსაზრებები. მან მოსწავლეებს არა პირდაპირი

	მითითებით, არამედ მსჯელობითა და მყარი არგუმენტებით უნდა დაანახოს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამის გასამყარებლად შეუძლია გაახსენოს მოსწავლეებს დიდი ქართველი ქალი მოღვაწეები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქვეყნის აღმშენებლობაში. დისკუსიის შეფასება მოსწავლე ✓ უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს; ✓ მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს; ✓ ეფექტურად აღიქვამს და იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით); ✓ მსჯელობს არგუმენტირებულად, მოსაზრებები ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. აკეთებს დასკვნებს; ✓ კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს. აქტივობა 6. ჯგუფური მუშაობა ჯგუფში იმსჯელოთ, რა თვისებებით, როგორი ღირებულებებით უნდა გამოირჩეოდეს ხალხის მიერ შერჩეული წარმომადგენელი? სწორი არჩევანის გასაკეთებლად რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასოს მოქალაქემ კანდიდატი? ჩამოწერეთ კრიტერიუმები და გააცანით კლასს. რეკომენდაცია მასწავლებელს:	
--	---	--

	მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ისაუბრონ იმ ღირსებებზე, რითიც უნდა გამოირჩეოდეს ხალხის რჩეული. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გამოკვეთონ ღირებულებითი სისტემა პიროვნებისა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ხალხის წარმომადგენელი იქნება. ეს თვისებები შეიძლება იყოს: საქმისადმი ერთგულება, თავდადება, პატიოსნება, კომუნიკაბელობა და სხვ. შემაჯამებელი კომპლექსური დავალების პროექტის III ეტაპი მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, პროექტის მიმდინარეობის განხილვა-შეფასებაში. კლასში ერთად დეტალურად უნდა განიხილონ ბლოგზე ატვირთული ან პორტფოლიოში მოთავსებული მასალა. ისაუბრონ, რა გაუჭირდათ, სად წააწყდნენ პრობლემას, რა იყო მათთვის საინტერესო, ვისგან რა დახმარება სჭირდებათ, როგორ ფიქრობენ გაგრძელებას, რას შეცვლიდნენ ბლოგში /პორტფოლიოში. რეკომენდაცია მასწავლებელს: სასურველია, მასწავლებელმა თაბახის ფურცელზე დაბეჭდოს მოცემული კითხვები და მოსწავლეებმა საერთო განხილვამდე, წერილობით გასცენ პასუხი, რათა მეტად იყვნენ კონცენტრირებულნი საკუთარ სააზროვნო პროცესებზე.	
--	---	--

	რესურსები: 1. გამოწვევა და შესაძლებლობა https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/gender-equality.html 2. 2019 წლის 29 ოქტომბერს ჟენევაში გაეროს რეგიონული შეხვედრა https://www.youtube.com/watch?v=HCjOpPMno4g 3. „ქალი ქალაქის მერად - საქართველოში ერთადერთი ქალი მერის ყოველდღიურობა“ https://www.youtube.com/watch?v=VPaKdwkn42A	
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	IV ეტაპი	
	7. გამჭვირვალობა და საჯაროობა	
	პასუხობს საკვანძო კითხვას: როგორ შემიძლია თვალყური ვადევნო თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას და მოვითხოვო საჯარო ინფორმაცია?	
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები
	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობა და საჯაროობა - სოციალიზაცია - საჯარო ინფორმაცია დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები -ადამიანის უფლებები, გამჭვირვალობა, საჯაროობა	• როგორ შემიძლია თვალყური ვადევნო თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას და მოვითხოვო საჯარო ინფორმაცია?

	ინიციატივა - დაგეგმვა, თანამშრომლობა სამოქალაქო მონაწილეობა - სამოქალაქო პოზიცია, ადვოკატირება მდგრადი განვითარება - სამოქალაქო უსაფრთხოება		
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) - ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთობა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; - საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; - ასერტულობა, ემოციების და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალუმი კარმონიულ ურთიერთობას; - საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) - დემოკრატიული	7. გამჭვირვალობა და საჯაროობა აქტივობა 1. საკითხის გაცნობამდე უპასუხე შეკითხვებს: მასწავლებელმა უნდა გაახსენოს მოსწავლეებს თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში და დაუსვას შემდეგი კითხვები: - რა შემთხვევაში ჩათვლიდი წარმატებულად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას? - როგორ ფიქრობ, რა საშუალებებით შეუძლიათ თვითმმართველობის ორგანოებს გამჭვირვალე გახადონ თავიანთი საქმიანობა? სავარაუდო პასუხები: - წარმატებულად ჩაითვლება ის საქმე, რომელიც თვალნათლივ ჩანს და ხედავს მოსახლეობა. მაგ., სკვერი, გზები, აშენებული ან რესტავრირებული სახლები, საბავშვო ბაღები, დასუფთავებული ქუჩები, სოფლებში დადგმული ნაგვის ბუნკერები, მოწესრიგებული მელიორაციული სისტემა, განათება და ა.შ.		

მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აყალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არამალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;	• თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა საშუალებით (პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი) თავიანთ საქმიანობას, მიმდინარე პროცესებს უნდა აცნობდეს მოსახლეობას. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ კონკრეტული მაგალითები საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებიდან, იმსჯელონ მათ შესახებ. რეკომენდაცია მასწავლებელს: გაეცანით და იხელმძღვანელოთ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მუხლი 85“-ით (იხ. დანართი 1 - ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან“) აქტივობა 2. სალომეს მონათხრობის განხილვა მოსწავლეები წაიკითხავენ სალომეს მონათხრობს, მასწავლებლის დახმარებით ისინი მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და შეაფასებენ სალომეს მამის საქციელს, გამოხატავენ საკუთარ პოზიციას, თუ თავად როგორ მოიქცეოდნენ ამგვარ შემთხვევაში. მასწავლებელმა უნდა მიანიშნოს ფრაზაზე: „ჩართეს რაღაც ორგანიზაციები“ და დასვას კითხვა, თუ რომელი ორგანიზაციები იგულისხმება, იმედია, მოსწავლეები მიხვდებიან, რომ საუბარია არასამთავრობო ორგანიზაციებზე, კერძოდ, ბუნების დაცვის ორგანიზაციაზე. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ უნდა გაიაზრონ ამ ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა, იმსჯელონ პრობლემის მოგვარების გზებზე და საკუთარ როლზე ამ საქმეში, იმაზეც თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ შემთხვევაში მოქალაქეთა დაუდევრობას, საზოგადო საქმისადმი გულგრილობას. მასწავლებელმა შეჯამების სახით ხაზი უნდა გაუსვას იმას, თუ რას ნიშნავს აქტიური მოქალაქეობა, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივად	
---	--	--

• მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; • გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) • დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; • აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი	მოაზროვნე მოქალაქე. აქტივობა 3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულების განხილვა მასწავლებელი თავდაპირველად ახსენებს, რომ თითოეული მოქალაქის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა თვითმმართველობის საქმიანობაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობა, მაგრამ აქვე დასვამს კითხვას: იცის კი მოსახლეობამ, რომ მას აქვს უფლება ოფიციალურად გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა პროცესის შესახებ? ამის გასარკვევად იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ერთ-ერთი ორგანიზაციის („საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსგან“) მიერ ჩატარებული კვლევიდან ამონარიდს, დიაგრამებს და გამოიტანონ დასკვნა, მოახდინონ პრობლემების იდეტიფიცირება, გაარკვიონ, თუ რამდენად არიან ინფორმირებული მოქალაქეები საკუთარი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ; რა შეიძლება გაკეთდეს მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებისთვის? აქტივობა 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოსახლეობის ინფორმირების საშუალებების მიმოხილვა მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საშუალებებს, რომლითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გამჭვირვალეს ხდიან თავიანთ საქმიანობას, კერძოდ, ვებგვერდებს, სოციალურ ქსელს, მედიასაშუალებებს. აქვე	
--	---	--

საქმიანობით, ადვოკატობით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; • სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) • ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი	ეკითხება, თუ შეუძლიათ კიდევ სხვა საშუალებების დასახელება. ყოველივე ამის ნათელსაყოფად, მოსწავლეები კითხულობენ გიგას ამბავს. მასწავლებელი კი ყურადღებას ამახვილებინებს ისეთ დეტალებზე, როგორიცაა მოსახლეობის ინიციატივა, მერიის წარმომადგენლის მოსახლეობასთან ურთიერთობა და ინფორმირება სტადიონის მშენებლობისთვის განსაზღვრული თანხებისა თუ სამშენებლო კომპანიის შესახებ; ასევე აცნობს ინფორმაციას, რომ ყველა მიმდინარე პროექტი განთავსებულია მერიის ვებგვერდზე. მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ მერიის საქმიანობა და გაიხსენონ, მათ უბანში თუ განხორციელებულა სასიკეთო საქმე მოქალაქეთა ინიციატივით. აქვე მასწავლებელი გააცნობს კლასს საჯარო ინფორმაციის მოპოვების შესახებ მოქალაქეთა უფლებებს და ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ ისტორიას რუბრიკით „ცოტა რამ ისტორიიდან“. (იმისათვის, რომ მასწავლებელმა სიღრმისეულად გაიაზროს, თუ რა გზა გაიარა ინფორმაციის მიღების უფლებამ, შეუძლია გაეცნოს სტატიას „ღია და დემოკრატიული მმართველობა საქართველოში - გამოწვევები ევროინტეგრაციის გზაზე“ - იხ. რესურსი 2.) აქტივობა 5. უპასუხე კითხვებს პარაგრაფში გაცნობილი საკითხების შეჯამების მიზნით, მასწავლებელი დასვამს კითხვებს: 1. რა შემთხვევაში შეიძლება გამოითხოვოს მოქალაქემ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან ინფორმაცია?	
---	--	--

მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; • გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერტილენის პარკზე უარის თქმა).	2. რა საშუალებებით ავრცელებენ საჯარო ინფორმაციას თვითმმართველი ორგანოები? 3. როგორ შეუძლია მოქალაქეს, მოიპოვოს საჯარო ინფორმაცია? 4. რატომ არის მნიშვნელოვანი, მოქალაქე ფლობდეს ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ? ბოლო კითხვაზე პასუხი დაახლოებით ამგვარი უნდა იყოს: მოქალაქე უნდა ფლობდეს ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ, რადგან უნდა ერკვეოდეს, მუშაობს თუ არ თვითმმართველობა მისთვის და საზოგადოებისთვის აქტუალური, მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებასა და პრობლემების გადაჭრაზე. ასევე უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რამდენად მიზნობრივად ხდება საბიუჯეტო თანხების განსაზღვრა. რა პერსპექტივა აქვს მუნიციპალიტეტს მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. აქტივობა 6. ჯგუფებში მუშაობა სანდროს მონათხრობის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები უნდა „დაეხმარონ“ ახალგაზრდებს - ურჩიონ, რა შეიძლება გააკეთონ სანდრომ და მისმა მეგობრებმა ოცნების ასრულებისთვის; ჩამოაყალიბონ ის ეტაპები, რომლის გავლაც მოუწევთ მათ ამ ინიციატივის განხორციელებისთვის. მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრებები პრეზენტაცია გააკეთონ (ფორმატის ქაღალდის გამოყენებით) კლასის წინაშე. რჩევა ამგვარი შეიძლება იყოს:	
--	--	--

გასავლელი ეტაპები: პირველ რიგში, უნდა მოიძიონ ინფორმაცია შენობის მესაკუთრის შესახებ; ამისათვის მათ განცხადებით უნდა მიმართონ მერიის შესაბამის სამსახურს; თუ დადგინდა, რომ ეს შენობა ჯერ კიდევ არის სახელმწიფო საკუთრებაში, უნდა შეადგინონ პეტიცია და შევიდნენ ინიციატივით საკრებულოში, რომ მოხდეს ამ შენობის რეაბილიტაცია და მიეცეს ახალგაზრდული თეატრის ფუნქცია. პეტიციაში არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ ქალაქში ახალგაზრდული თეატრის არსებობის მნიშვნელობა.

აქტივობა 7. ინდივიდუალური მუშაობა იმის გასარკვევად, თუ რა სახის ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლიათ მოქალაქეებს.

მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ცხრილი, აღნიშნონ მხოლოდ ის, რომელი ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია მოქალაქეს. მათ უნდა დაასაბუთონ პასუხი.

ვინ აშენებს სასტუმროს ჩვენს ქუჩაზე?	✓
რამდენი აქვს შემოსავალი ბანკის (მაგ., „ტერაბანკი“) მფლობელს?	
რამდენი ლარი გამოიყო საახალწლო დღესასწაულებისთვის ქალაქის განათებაზე?	✓
რამდენ სამხედრო თვითმფრინავს ფლობს საქართველოს თავდაცვა?	
რა ედო საფუძვლად საჯარო სამსახურიდან ჩემს დათხოვნას?	✓

რეკომენდაცია მასწავლებელს:

	მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, მოქალაქეს შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობასა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებაზე გამოყოფილი თანხების შესახებ, რადგან მუნიციპალიტეტის ორგანოები ანგარიშვალდებული არიან თითოეული მოქალაქის წინაშე. მოქალაქეს შეუძლია საჯარო სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლის გამოთხოვა, მაგრამ მას არ შეუძლია სახელმწიფო, პირადი და კომერციული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა. აქტივობა 8. საშინაო დავალების მიცემა მასწავლებელი საშინაო დავალების მიცემამდე მოსწავლეებს გააცნობს განცხადების ჩარჩოს და კლასის დახმარებით შეავსებს ნიმუშს. ამის შემდეგ სთავაზობს დავალების 2 ვარიანტს, რათა შეარჩიონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. დავალება 1. ინტერნეტის საშუალებით მოიძიე შენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტები; შეარჩიე ისეთი, რომელიც დაგაინტერესებს; დამატებითი ინფორმაციისთვის წერილობით მიმართე მერიას/საკრებულოს. დაწერე განცხადება და წარუდგინე კლასს. დავალება 2. შეგიძლიათ, მასწავლებლის ან სკოლის ადმინისტრაციის	
--	--	--

	დახმარებით, სკოლაში/კლასში მოიწვიოთ საკრებულოს/მერიის წარმომადგენელი და მასთან პირადი ურთიერთობით, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღოთ ინფორმაცია თქვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების შესახებ. რეკომენდაცია მასწავლებელს: მართალია, მეორე დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მასწავლებელმა უნდა აიღოს და მთელ რიგ პროცედურებთან არის დაკავშირებული მისი განხორციელება, მაგრამ ეს აქტივობა ძალიან ბევრის მიმცემი იქნება მოსწავლეებისთვის, ისინი პირადი ურთიერთობით გაცილებით მეტს შეიტყობენ აქამდე ნასწავლი საკითხების შესახებ; კონკრეტული მაგალითები დაეხმარება მათ იმის გაცნობიერებაში, რომ საკრებულო და მერია (გამგეობა) ანგარიშვალდებულია მოქალაქეთა წინაშე.	
	რესურსები: 1. კვლევა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსგან“ - რას ფიქრობენ მოქალაქეები თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაზე? https://transparency.ge/ge/blog/ras-pikroben-mokalakeebi-adgilobrivi-tvitmmartvelobis-organoebis-mushaobaze 2. ცოტა რამ ისტორიიდან - ღია და დემოკრატიული მმართველობა საქართველოში - გამოწვევები ევროინტეგრაციის გზაზე https://idfi.ge/ge/open-and-democratic-governance-in-georgia%E2%80%93challenges-on-the-path-of-european-integration	

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	V ეტაპი 8. ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს, რომლებიც ეხება ეკოლოგიურ პრობლემებსა და საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე რისკების შესამცირებლად მოქალაქეთა თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან.	
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები
	ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის - სოციალიზაცია - თანამშრომლობა, საერთო ინტერესები, ინფორმაციის გავრცელება დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები - ადამიანის უფლებები სამოქალაქო მონაწილეობა მდგრადი განვითარება - ადრეული შეტყობინების სისტემა, პრევენცია, მიტიგაცია	- რა არის ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზები? - როგორ უნდა იმოქმედოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე რისკების შესამცირებლად? - როგორ შემიძლია ვითანამშრომლო ადგილობრივ თვითმმართველობასთან ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად?
სოციალიზაცია (შედეგები: 1, 2) ინდივიდს მრავალ სოციალურ ჯგუფთან და ინსტიტუციასთან უხდება ურთიერთო-	8. ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება მასწავლებელმა უნდა გაახსენოს კლასს, თუ რა სმენიათ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით ან უნახავთ თავიანთი	კომპლექსური დავალება 3. აქტიური მოქალაქე ვალდებულია, გულისყურით მოეკიდოს მის რეგიონში არსებულ ყველა პრობლემას, რადგან მოსალოდნელი შედეგების

ბა, რაც მის პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს; • საზოგადოების წევრებს აქვთ საერთო ინტერესი და საზრუნავი; • ასერტულობა, ემოციუზის და ქცევების მართვა ხელს უწყობს პიროვნების და სოციალური ურთიერთობის განვითარებას; • საზოგადოების წევრები თანხმდებიან ქცევის წესებსა და ღირებულებებზე. დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები (შედეგები: 3, 4, 13) • დემოკრატიული მმართველობის დროს საზოგადოება, მოქალაქეები არა მხოლოდ არჩევნების გზით აცალიბებენ ხელისუფლებას, რომელიც სამ შტოდ არის დანაწილებული, არამედ მონაწილეობენ მმართველობის განხორციელებაში; • დემოკრატიის დროს ადამიანის უფლებები უმთავრესი	თვალთ. ამასთან ერთად, დააფიქროს და მისცეს საშუალება გამოთქვან მოსაზრებები, როგორ შეიძლება ბუნებრივი კატასტროფებისგან თავის დაცვა. ამისათვის იგი სვამს კითხვებს: • რომელ სტიქიურ მოვლენებს მოუტანია დიდი ზარალი საქართველოს მოსახლეობისთვის? დაასახელე, რაც კი გსმენია ან გინახავს. • შენი აზრით, როგორ შეიძლება ბუნებრივი კატასტროფებისგან მიყენებული ზარალის თავიდან აცილება? რეკომენდაცია მასწავლებელს: იმის გარდა, რასაც მოსწავლეები გაიხსენებენ, მასწავლებელი იხსენებს რაჭაში მომხდარ მიწისძვრას, თბილისის 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიას და საუბრობს იმ მსხვერპლზე, ზიანზე, რასაც იწვევს სტიქიური მოვლენები. აქტივობა 2. კონსტიტუციის მუხლების გაცნობა მასწავლებელმა უნდა წააკითხოს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემული კონსტიტუციის 29-ე მუხლი და ყურადღებას გაამახვილებინოს ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებზე, რომ ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მოვალეობაა მუნიციპალიტეტებში შექმნილი ლოკალური გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა.	წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება კი შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გთავაზობს აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით. ქვემოთ მოცემული სათაურის საშუალებით ინტერნეტში მოიძიე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდი, გაეცანი მოცემულ ინფორმაციას, მიჰყევი მითითებებს, დარეგისტრირდი და გახდი აქტიური მოქალაქე. მანამდე მოამზადე მასალა შეტყობინებისთვის, განიხილეთ კლასში, მიიღე რჩევები თანაკლასელებისგან და იმოქმედე მითითებებისამებრ.
---	--	--

დირეზულება; • დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა). ინიციატივა (შედეგები: 5, 6, 7) • პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; • მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა; • მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;	რეკომენდაცია მასწავლებელს: გააცანით მოსწავლეებს „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ მუხლი 6 და მუხლი 7, იმსჯელეთ ამ მუხლების კონსტიტუციის 29-ე მუხლთან შესაბამისობაზე, მოქალაქის პასუხისმგებლობაზე გარემოს დაცვის საკითხებში. (იხ. დანართი 3 - ამონარიდი საქართველოს კანონიდან „გარემოს დაცვის შესახებ“). აქტივობა 3. ქეთევან ვანაძის ნაამბობის გაცნობა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში არსებული ვითარება, საზოგადოების დამოკიდებულება არსებული პრობლემისადმი და ხელისუფლების ხელშეწყობით ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მოსახლეობის უსაფრთხოების საქმეში, ისინი გაეცნობიან ორლოვკის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის ნაამბობს. მის გასააზრებლად დასმულია კითხვები: • ქეთევანის მონათხრობის მიხედვით, რომელი ბუნებრივი კატასტროფის საშიშროების წინაშე დგას ზემო აჭარა? • როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება არსებული პრობლემის მიმართ? • რა შედეგები მოჰყვა ზემო აჭარაში ქეთევანის მიერ აღწერილ პრობლემას? • ქეთევანის მონათხრობიდან გამომდინარე, ვინ და როგორ ზრუნავს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე? • რაში ხედავს ქეთევანი ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და რა გზას სთავაზობს იგი ხელისუფლებას მის მოსაგვარებლად? შენ რას შესთავაზებდი?	 გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი შეტყობინებები კანონდარღვევის შესახებ თუ გახდით გარემოსდაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტის მოწმე, გთხოვთ, მოგვწეროთ ამის შესახებ. თქვენ მიერ გამოგზავნილი ელექტრონული შეტყობინება დაუყოვნებლად გადაეგზავნება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს მას და მოახდენს შესაბამის რეაგირებას. იმისთვის, რომ მოხდეს თქვენ მიერ მოწოდებულ დარღვევაზე ოპერატიული რეაგირება, აუცილებელია, შეძლებისდაგვარად ზუსტად მიუთითოთ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და აღწეროთ შესაბამისი სამართალდარღვევა. თუ გსურთ, რომ კონფიდენციალურობა იყოს დაცული, მონიშნეთ შესაბამისი ველი. შეგახსენებთ, ანონიმურ შეტყობინებაზე რეაგირება სავალდებულო არ არის! ასევე შეგახსენებთ, რომ შეგიძლიათ 24 საათის განმავლობაში დარეკოთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე - 153 (ზარი უფასოა). ერთად გამოვავლინოთ გარემოსდაცვითი სამართალდარღვევები! გმადლობთ თანამშრომლობისთვის! http://eiec.gov.ge/MenuCenter/ElectMess.aspx http://ajaratv.ge/video/7534?fbclid=IwAR0opUQRjGZ-dfqZvBlNypreU UEDIX3YknN1vG14Cqve3W3p80Y QIBIcz4
---	---	--

- გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება. სამოქალაქო მონაწილეობა (შედეგები: 8, 9, 12, 13) - დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; - აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;	მოსწავლეები დაინახავენ, რომ მთიანი აჭარის სოფლებში არსებობს ზვავის საშიშროება, რის გამოც მოსახლეობა დიდი საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობენ თვალი დაუხუჭონ პრობლემას, უჭირთ სახლების დატოვება. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავენ როგორც საფრთხის შეტყობინებაზე, ასევე მათ ევაკუაციაზე, სხვა რეგიონში გადასახლებაზე. ქეთევანი კარგად ხედავს, რომ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი ხეების ჭრაა, მაგრამ აქვე აფასებს ტყეების გაჩეხვის მიზეზებსაც და გამოსავალს სთავაზობს ხელისუფლებას. ყოველივე ამის ამოკითხვა და მათ შესახებ მსჯელობა უნდა შეძლონ მოსწავლეებმა; სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ ანალოგიურ სიტუაციებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ შეიძლება აქ დასმული პრობლემების მოგვარება. რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს აჩვენოს აჭარის ტელევიზიის მიერ 2017 წელს მომზადებული გადაცემა - ადრეული შეტყობინების სისტემა http://ajaratv.ge/video/4564 აქტივობა 4. უცხოეთის გამოცდილებისა და საქართველოში ადრეული შეტყობინების სისტემის გაცნობა მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს უცხოეთის გამოცდილებას და უხსნის, თუ როგორ შემუშავდა და დაინერგა ადრეული შეტყობინების სისტემა საქართველოში. მას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ინტერნეტრესურსი ამ თემასთან	მოსწავლის შეფასება - მოსწავლეს სწორად შეუძლია საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიკაცია. - მოსწავლე ახდენს საკუთარი ჩართულობით საერთო საჭიროებების დაკმაყოფილების გზებისა და საჭირო რესურსების დაგეგმვას; - მოსწავლე აცნობიერებს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობას. - მოსწავლე ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას, მდგრადი განვითარების პრინციპებს. (მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა იხ. თავში „შეფასების სქემები“) მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს ალტერნატიული დავალება: ამოიცანით თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული ეკოლოგიური პრობლემა, შექმენით მისი მოგვარების
---	--	--

- სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება. მდგრადი განვითარება (შედეგები: 7, 10, 11) - ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადამუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით; - გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა,	დაკავშირებით. მათ შორის, საინტერესოა, შვიდწლიანი პროექტი „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, მის შესახებ შეუძლია ნახოს: რისკების შემცირება და ადრეული შეტყობინების სისტემა: 7 წლიანი პროექტი მედიას გააცნეს- https://urlzs.com/VHPTA ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებისთვის საქართველო \$70 მილიონს დახარჯავს http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=99332&lang=geo „მეწყერების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემის შექმნა“ . https://urlzs.com/vfDR4 „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა - გადაცემა „დამზადებულია საქართველოში“ https://www.youtube.com/watch?v=PaIRju_Fpp4 სტიქიით გამოწვეული ზარალისა და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ მოსწავლეების ინფორმირებას ემსახურება ამონარიდი ინტერნეტგაზეთის სტატიიდან: იმერეთში სტიქიით მიყენებულმა ზარალმა ორ მილიონ ლარს გადააჭარბა. მისი გაცნობით მოსწავლეები დაფიქრდებიან ზარალის ოდენობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებზე. მისი გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გაიხსენონ	მოთხოვნით პეტიცია და გაუგზავნეთ ადგილობრივ თვითმმართველობას. პეტიციაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: - ეკოლოგიური პრობლემის აქტუალურობა და მისი მოგვარების აუცილებლობის დასაბუთება; - თქვენეული ხედვა ამ პრობლემის მოგვარების ეტაპების თაობაზე; - რესურსები, რომელიც პრობლემის გადაჭრას დასჭირდება, მათი დაახლოებითი რაოდენობა; - საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ეკოლოგიური პრობლემის წარმატებით მოგვარებას მოჰყვება.
---	--	---

პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა).	ანალოგიური შემთხვევები. აქტივობა 5. UNDP-ის ხელშეწყობით, 2019 წლის 20 დეკემბერს გამართული სათემო ფორუმის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და მასზე მსჯელობა მოსწავლეები წაიკითხავენ ამონარიდს ინტერნეტგაზეთიდან: კლიმატურ საფრთხეებთან ბრძოლაში საქართველოს მუნიციპალიტეტები ჩაერთვებიან, რის შემდეგაც ისაუბრებენ ადრეული შეტყობინების სისტემის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ბუნებრივი კატასტროფები არ არის მხოლოდ ლოკალური პრობლემა, რომ ეს საერთო მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა. მასწავლებელმა უნდა წაუკითხოს მოსწავლეებს UNDP-ის ხელმძღვანელის, ლუიზა ვინტონის, სიტყვები: „ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვა მხოლოდ დედაქალაქში არსებული ცენტრალური სტრუქტურების პასუხისმგებლობაა... ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობა, რა თქმა უნდა, საკვანძოა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის როლი ასევე მეტად მნიშვნელოვანია როგორც პრევენციის, ასევე კატასტროფებზე რეაგირების თვალსაზრისით“. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ ამ სიტყვების მნიშვნელობა და საკუთარი როლი ამ საქმეში. აქტივობა 6. კითხვა-პასუხი შეჯამების მიზნით, მასწავლებელი დასვამს კითხვებს: 1. რა მნიშვნელობა აქვს ადრეული შეტყობინების სისტემას მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისთვის?	
--	--	--

	2. როგორ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობის უსაფრთხოებას ადრეული შეტყობინების სისტემის საშუალებით? 3. რა როლი აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვაში? სავარაუდო პასუხები: 1. ადრეული შეტყობინების საშუალებით მუნიციპალიტეტის ორგანოებს ეძლევა საშუალება მიიღოს პრევენციული ზომები, რითაც დაიცავს გარემოსა და შეამცირებს სოფლის მეურნეობისათვის ბუნებრივი კატასტროფების მიერ მიყენებულ ზიანს. მაგ., წინასწარ შეტყობინების საფუძველზე, ვენახის სეტყვისგან დასაცავად იყენებენ სპეციალურ დანადგარებს, რითიც ამცირებენ ეკონომიკურ ზარალს. 2. მოსახლეობას ატყობინებს სტიქიის მოახლოებას, ატარებს ღონისძიებებს, მაგ., მოსალოდნელი წყალდიდობების შემთხვევაში ამაგრებს მდინარეების ჯებირებს, ტერიტორიიდან გაჰყავს მოსახლეობა. 3. საერთაშორისო ორგანიზაციები გამოცდილებას უზიარებენ საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობას, თან უწევენ ფინანსურ დახმარებას. აქტივობა 7. ჯგუფური მუშაობა - მზადება კომპლექსური დავალებისთვის მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ან ახაზვინებს რვეულში	
--	--	--

სქემას, რომელშიც უნდა ჩაწერონ ის ეკოლოგიური პრობლემები, რასაც მათ საცხოვრებელ გარემოში ხედავენ. განსაზღვრონ მათი გამომწვევი მიზეზები და დასახონ გამოსწორების გზები - რა შეუძლიათ, ადგილობრივ დონეზე შეცვალონ კატასტროფების თავიდან ასაცილებლად? მოსაზრებები უნდა წარმოადგინონ **პოსტერის** სახით. ინფორმაციის ორგანიზებისთვის შეუძლიათ ისარგებლონ მოცემული სქემით.

პრობლემა	გამომწვევი მიზეზები	გამოსწორების გზები

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ აქტივობის შესრულების შემდეგ, მოსწავლეები განიხილავენ ჯგუფების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს მოცემულ საკითხთან მიმართებით, ხოლო მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს მათ პასუხისმგებლობაზე, თუ რამდენად მიშენელოვანია თითოეული ადამიანის, მოქალაქის როლი ეკოლოგიური საკითხების მოგვარებაში, რადგან ბუნებაში ადამიანის არასწორი ჩარევა იწვევს მთელ რიგ სტიქიურ მოვლენებს. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობას და ამზადებს მის შესასრულებლად.

მეტაკოგნიტური პაუზა

თემის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა, სასურველია, იზრუნოს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე და შესთავაზოს **კითხვები**

	თვითშეფასებისთვის, რომლითაც მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესებს, შესაძლებლობებს, უნარებს, მისწრაფებებსა და ინტერესებს. მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ წერილობით. თვითშეფასება: ახლა კი დადგა დრო, შეაჯამო ის, რაც გააკეთე ამ ხნის განმავლობაში, გაიხსენო ყველა საკითხი, რაც ისწავლე, რაზეც გისაუბრიათ. ჩაულრმავდი საკუთარ თავს და გამართე დიალოგი მასთან. დაფიქრდი ქვემოთ მოცემულ კითხვებზე და გულწრფელად გაეცი პასუხი, რომ ამით მოგეცეს წინსვლის, განვითარების საშუალება. შეაფასე საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები, რომ მომდევნო ნაბიჯები უფრო მყარად გადადგა. 1. განვლილი საკითხებიდან ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესა? რატომ? 2. რომელ საკითხზე/საკითხებზე იმუშავე ხალისით? რამ განაპირობა შენი ამგვარი დამოკიდებულება? 3. რა აღმოაჩინე ახალი, რაც მანამდე არ იცოდი? 4. რაზე მუშაობამ ან რომელმა საკითხმა არ გამოიწვია შენში ინტერესი? რატომ? 5. რა დარჩა შენთვის ბუნდოვანი, გაუგებარი? რაზე ისურვებდი პასუხის გაცემას? 6. რისი კეთება ან გაგება გაგიჭირდა ამ ხნის განმავლობაში? 7. სწავლის რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაგეხმარა საკითხის/საკითხების უკეთ გაგება-გააზრებასა თუ დავალების შესრულებაში? 8. სასურველი შედეგის მიღწევისთვის უპირატესობას ჯგუფში თანამშრომლობას ანიჭებ თუ ინდივიდუალურ მუშაობას?	
--	---	--

	9. როგორ ფიქრობ, ამ თავის საშუალებით მიღებული გამოცდილებიდან რას და როგორ გამოიყენებ ცხოვრებაში? 10. რას შეცვლიდი, თავიდან რომ დაგეწყო რომელიმე საკითხზე, კომპლექსურ დავალებასა თუ პროექტზე მუშაობა? რესურსი: 1. აჭარის ტელევიზიის მიერ 2017 წელს მომზადებული გადაცემა - ადრეული შეტყობინების სისტემა http://ajaratv.ge/video/4564 2. რისკების შემცირება და ადრეული შეტყობინების სისტემა: 7 წლიანი პროექტი მედიას გააცნეს- https://urlzs.com/VHPTA 3. ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებისთვის საქართველო \$70 მილიონს დახარჯავს http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=99332&lang=geo 4. „მეწყობის მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ეკონომიური ტელემეტრული სისტემის შექმნა“ . https://f.ls/PeSsr 5. „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა - გადაცემა 'დამზადებულია საქართველოში' https://www.youtube.com/watch?v=PaIRju_Fpp4 6. საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 7. იმერეთში სტიქიით მიყენებულმა ზარალმა ორ მილიონ ლარს გადააჭარბა https://f.ls/K5vfl 8. კლიმატურ საფრთხეებთან ბრძოლაში საქართველოს მუნიციპალიტეტები ჩაერთვებიან https://urlzs.com/g3bsi	
--	---	--

	9. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდი: http://eiec.gov.ge/MenuCenter/ElectMess.aspx 10. გაეროს განვითარების პროგრამის მიმდინარე და განხორციელებული პროექტები https://f.ls/CYQvy	
შეფასების კრიტერიუმები / კრიტერიუმები თემისთვის - ადგილობრივი თვითმმართველობა მოსწავლემ უნდა შეძლოს: სოციალიზაცია • სათემო აქტივობების დაგეგმვისას მუნიციპალური (წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი) ორგანოების როლის განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობა (საჯარო ინფორმაციის მოპოვება); თემში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესისა და უფლებების გათვალისწინება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,8,9,10,12,13); დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები • ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასებისას/მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას დემოკრატიის პრინციპების (მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,4,10,11,12,13). ინიციატივა • მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვა (მოქ.საბ.1,2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13); სამოქალაქო მონაწილეობა • ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება (მოქ.საბ.2,6,8,9); მდგრადი განვითარება • ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შეფასებისას/მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება (მოქ.საბ.1,3,10,11,12,13).		

II თავი - ადგილობრივი თვითმმართველობა

(საათების განაწილება)

საკითხები: პარაგრაფები/კომპლექსური დავალება/პროექტი	საათები
1. ადგილობრივი თვითმმართველობა	1
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის I ეტაპი	1
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნები	2
3. მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციები	2
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციები	1
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის II ეტაპი	1
5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მნიშვნელობა	2
კომპლექსური დავალება 1	1
6. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	2
კომპლექსური დავალება 2	1
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის III ეტაპი	1
7. გამჭვირვალობა და საჯაროობა	1
8. ადრეული შეტყობინების სისტემა სამოქალაქო უსაფრთხოებისათვის	2
კომპლექსური დავალება 3	1
შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/პროექტის IV ეტაპი	1

4. სწავლებისა და შეფასების მეთოდური რეკომენდაციები

4.1 სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის თავისებურებანი*

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის სწორად გააზრება. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს დემოკრატიულად მოაზროვნე თავისუფალი პიროვნების თავისუფალ სივრცეში აღზრდას, რაც თავისთავად მოითხოვს გარკვეული თეორიული საფუძვლების ცოდნას. სახელმძღვანელოს დახმარებით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს უპასუხოს „მოსწავლე-სუბიექტის“ პარადიგმის მოთხოვნებს. ეს პარადიგმა წამყვან საგანმანათლებლო პლატფორმად გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იქცა.

„მოსწავლე სუბიექტის“ პარადიგმაში ორი განშტოება შეიძლება გამოიყოს - **ჰუმანისტური და კონსტრუქტივისტული**. რას წარმოადგენს ჰუმანისტური პედაგოგიკური ხედვა? იგი აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა.

ჰუმანისტები მიიჩნევენ, რომ მოზარდმა თავად იცის, რა სჭირდება პიროვნული ზრდისათვის, ამიტომ პედაგოგმა მაქსიმალურად მდიდარი და შინაარსიანი საგანმანათლებლო გარემო უნდა შექმნას, რათა მოსწავლეს მიეცეს იმ ტიპის აქტივობების შერჩევის საშუალება, რომლებიც მის მიდრეკილებებსა და ინტერესებს შეეფერება. სამაგიეროდ, პედაგოგმა ყოველმხრივ უნდა აარიდოს თავი პირდაპირ ჩარევებს, ინტერვენციებს ცოდნის შეძენის პროცესში, რათა არ დააბრკოლოს, არ შეაფერხოს მოსწავლის განვითარება. ამ აზრით, ჰუმანისტური პედაგოგიკა არაინტერვენციულია. პედაგოგის უმთავრესი როლია პოზიტიური, მამოტივირებელი გარემოს შექმნა, დადებითი თვითგანცდის გამოწვევა, რათა მოსწავლის საქმიანობა ძლიერ შინაგან მოტივაციას დაეფუძნოს. ასეთ კონტექსტში მოზარდი უკიდურესად აქტიურია, იგი თავად ირჩევს სასწავლო ამოცანებსა და აქტივობებს, რომლებიც შინაარსიან, ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე კომპლექსურ დავალებებს უკავშირდება.

ამიტომ მასწავლებელმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ალტერნატიული დავალებები და დაუკავშიროს ისინი მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. მასწავლებელს ასევე შეუძლია თავად შექმნას და მოსწავლეებს შესთავაზოს კონკრეტული კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი დავალებები და აქტივობები, მისცეს მათ არჩევანის საშუალება, ხელი შეუწყოს შინაგანი ძალების გააქტიურებას.

„მოსწავლე სუბიექტი“ პარადიგმის მეორე განშტოებაა **კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პარადიგმა**. კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა

* გამოყენებული ლიტერატურა: „კურიკულუმი - პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური გზამკვლევი“, ავტორები: თამარ ჯაყელი, ნიკო სილაგაძე, 2018 წ.

სწავლისას მიმდინარე გონებრივ პროცესებზე დაკვირვება და იმ მექანიზმებისა და პირობების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მყარ და სისტემურ ცოდნად გარდაქმნას.

ამ პარადიგმაში ერთიანდება სწავლა-სწავლებისა და განვითარების ყველა თეორია, რომელიც აღიარებს ორ უმთავრესს პრინციპს:

- მოსწავლე სწავლა-სწავლების სუბიექტია;
- სწავლა ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია.

ჰუმანისტური პედაგოგიკისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტული პედაგოგიკა ინტერვენციული ხასიათისაა. პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ცოდნისა და კოგნიტური სისტემის კონსტრუირების პროცესში.

- 1) **ცოდნის აქტიური კონსტრუირება** - ნებისმიერ შემსწავლელს, რა ასაკისაც უნდა იყოს იგი და რასაც უნდა სწავლობდეს, გარედან მიღებული ყველა ინფორმაციის „ფოტოკოპირება“ არ შეუძლია. ამიტომ იგი იძულებულია, ინფორმაცია გადაარჩიოს. რა ინფორმაციას გადაარჩევს და რას შეითვისებს შემსწავლელი, ამას **მისი წინარე ცოდნა და გამოცდილება** განსაზღვრავს.
- 2) **წინარე ცოდნის მნიშვნელობა** - გაგების აქტი რომ განხორციელდეს, კავშირი უნდა დამყარდეს ახალ ინფორმაციასა და მეხსიერებაში არსებულ ცოდნას შორის. ახალი მასალის სწავლებამდე აუცილებელია მასწავლებელმა გაარკვიოს, მოსწავლეებს აქვთ თუ არა ხანგრძლივ მეხსიერებაში ახალი ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო ცოდნის სტრუქტურები.
- 3) **სტრატეგიების გააზრებულად გამოყენების მნიშვნელობა (სწავლის სწავლა)**- მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე მეტად ზრდის და განავითარებს სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მათი ეფექტიანად მართვის სწავლა. სწავლაში მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ცოდნის განვითარების საშუალებებს ეუფლება.
- 4) **ცოდნის ორგანიზების მნიშვნელობა** - გონებაში ცოდნის ორგანიზების ფორმებს აზრობრივ სქემებს უწოდებენ. რაც უფრო ორგანიზებულად და იერარქიზებულად უკავშირდება ერთმანეთს აზრობრივი სქემები, მით უფრო ძლიერდება სააზროვნო რესურსები და დამახსოვრების უნარები. მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების ხელშეწყობაზე სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.
- 5) **დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენა ცოდნის სამგვარი კატეგორიის დაუფლებას გულისხმობს** - ერთი კატეგორია არის სტატიკური ცოდნა, დეკლარატიული და პასუხობს კითხვას - რა ვიცი? მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია წესების, ან განსაზღვრების ზეპირად თქმა - ეს დეკლარატიული ცოდნაა, მაგრამ წესებისა თუ განსაზღვრებების ზეპირად ცოდნა არაფერს გვეუბნება იმაზე, გააზრებული აქვს თუ არა მოსწავლეს წესის არსი, განსაზღვრების არსი და შეუძლია თუ არა მას ამ ცოდნის გამოყენება.

სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპები:

- სწავლა აქტიური პროცესია. მოსწავლე აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე. სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი აზრის

ჩამოყალიბებაში. მოსწავლე ყველაზე უკეთ მაშინ ითვისებს, როდესაც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით წყვეტს პრობლემას;

- სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლის მიზანია, ისე წარმართოს სასწავლო აქტივობები, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ.
- სწავლა სოციალური ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალება თანამშრომლობითი სწავლების გამოყენებაა, მაგ. ჯგუფური მუშაობები დისკუსიები...
- სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია განვლილს უკავშირდება.

მოსწავლის წიგნის ყოველი პარაგრაფი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით, მოსწავლეთა ცხოვრებისეული კონტექსტის გაცოცხლებით, რაზეც უნდა აიგოს ახალი ცოდნა. პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ცოდნისა და კოგნიტური სისტემის კონსტრუირების პროცესში. იგი ეხმარება მას ძველი და ახალი ცოდნის დაკავშირებაში, ეფექტიანი სტრატეგიების შერჩევასა და დაუფლებაში, მართებული წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. ყოველივე ამის შესაძლებლობას მას აძლევს სახელმძღვანელო, სადაც ყოველი თემა და საკითხი განხილულია რეალური ისტორიების/ამბების საფუძველზე.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია შინაარსიანი აქტივობები და კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს კონსტრუქტივისტული მიდგომის პრინციპებს,

- „არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მოდელირება“
- ჟურნალისტის როლის მორგება
- არჩევნების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა,
- სხვადასხვა ინიციატივის განხორციელება
- სიმულაცია, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა.
- მოდელირება - „სამოქალაქო საზოგადოება“ და „ქალაქის მერიის სამსახურების წარმომადგენლები“ / „ქალაქის მერია“
- და სხვ.

ამგვარ დავალებათა შესრულების პროცესში მოსწავლე ეუფლება ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას და, ასევე, სააზროვნო პროცესის კომპლექსურად მართვას.

4.2 მოსწავლის შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მებხიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
 - ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
 - გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
 - დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
 - ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

შეფასება შეიძლება იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;	ცოდნათა ურთიერთდაკავშირები ს უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.

	ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

დიმიტრი უზნაძე, ნაშრომში „ბავშვის ფსიქოლოგია“, სასწავლო პროცესიდან ციფრების განდევნის მომხრე იყო, რადგან თვლიდა, რომ ციფრებით შეფასება, როგორც წესი, სუბიექტურ ხასიათს ატარებდა, რაც ხშირად ხელს უშლიდა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. „ბავშვის გულიც და ცნობიერებაც ღია უნდა იყოს იმისთვის, რაც ბავშვს მიეწოდება“, – ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ნდობის მოპოვების გზაზე ბევრი წინააღმდეგობაა, ნიშნის სუბიექტურობა კი ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა ცნებების, საკითხების თეორიულ სწავლებას, არამედ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მათ ინიციატივების წახალისებას, იდეების გენერირებას, მოტივაციის გაზრდას. შეფასების კომპონენტში მასწავლებელი ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცეს, რომ ფორმალური შეფასებით არ ჩაახშოს მოსწავლის ინიციატივები. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაააქტიუროს მოსწავლის თვითშეფასება. მოსწავლეთა თვითშეფასება კი არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობებისადმი, პიროვნული თვისებებისადმი, გარეგნობისადმი. ნებისმიერ ჩვენგანს გარკვეული თვითშეფასება აქვს და ჩვენი ქცევა ძირითადად ჩვენივე თვითშეფასებით არის ნაკარნახევი.

თვითშეფასება პიროვნების ცენტრალური წარმონაქმნია და მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წმოდგენს. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნების ფორმირებას, თვითშეფასებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის, თუ როგორი პიროვნება დადგება ამა თუ იმ ბავშვისგან მომავალში, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, როგორი თვითშეფასება გამოუმუშავდება მას. ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ და უვითარდებათ თვითშეფასება – საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მათ ქცევას.

რა უნარებით უნდა აღვჭურვოთ მოსწავლეები იმისათვის, რომ მათ შეძლონ თანამედროვე, კონკურენტუნარიან გარემოსთან ეფექტურად ადაპტირება?

როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და განვითარების მოტივაცია?

ითვლება, რომ მოსწავლეს, რომელსაც კარგად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, შეუძლია დაგეგმოს, აწარმოოს მონიტორინგი და შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში კი, მუშაობის დროს გამოყენებული სტრატეგიები შეცვალოს ან მათი მოდიფიცირება მოახდინოს, უფრო ეფექტურად შეუძლია გარემოსთან ადაპტირება. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ მეტაკოგნიცია შედეგზე ორიენტირებული სწავლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, განვითაროს თვითშემეცნების, საკუთარი აზროვნების მართვის, დამოუკიდებლად სწავლის, პრობლემების ეფექტურად გადაჭრისა და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც არა მარტო სწავლაში, არამედ სხვა საქმიანობებშიც მაღალი შედეგების მიღწევას განაპირობებს.

4.3. შეფასების სქემები

გთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკების სარეკომენდაციო სქემებს, რომელიც სასურველია განავითაროთ და სრულყოთ თქვენი კლასის მოსწავლეთა საჭიროებების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შესაბამისი კომპლექსური დავალებების კვალდაკვალ.

გაითვალისწინეთ, როდესაც შეფასების სქემაში მაქსიმალური ქულა აღემატება 10-ს, ფორმულის საშუალებით შესაძლებელია მისი გადაყვანა 10-ქულიან სისტემაზე. ნიშნის გამოყვანის ფორმულა ასეთია: ნამუშევარში მიღებული ქულების ჯამს ვამრავლებთ 10-ზე და ვყოფთ შეფასების სქემით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულაზე.

I თავი: სამოქალაქო საზოგადოება

- კომპლექსური დავალება: „ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მოდელირება“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმი	არ შეესაბამება 1	ნაწილობრივ 2	სრულად 3	მაქსიმალური შეფასება 15
1	მოდელირებული არასამთავრობო ორგანიზაციის პრიორიტეტების განსაზღვრა	არასამთავრობო ორგანიზაციის პრიორიტეტი/პრიორიტეტები არ გამომდინარეობს თემის/ კლასის/ სკოლის აქტუალური საჭიროებიდან.	არასამთავრობო ორგანიზაციის პრიორიტეტი/პრიორიტეტები ნაწილობრივ გამომდინარეობს თემის/ კლასის/ სკოლის აქტუალური საჭიროებიდან.	არასამთავრობო ორგანიზაციის პრიორიტეტი/პრიორიტეტები გამომდინარეობს თემის/ კლასის/ სკოლის აქტუალური საჭიროებიდან..	
2	ორგანიზაციის მიზნების ჩამოყალიბება	ორგანიზაციის მიზნები არ უკავშირდება შერჩეულ პრიორიტეტებს.	ორგანიზაციის მიზნები ნაწილობრივ უკავშირდება შერჩეულ პრიორიტეტებს.	ორგანიზაციის მიზნები სრულად უკავშირდება შერჩეულ პრიორიტეტებს.	
3	მოდელირებული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობები	საქმიანობები არ იძლევა მიზნის მიღწევის საშუალებას..	საქმიანობები ნაწილობრივ იძლევა მიზნის მიღწევის საშუალებას.	საქმიანობები სრულად იძლევა მიზნის მიღწევის საშუალებას.	
4	ორგანიზაციის წევრების როლი და ფუნქციების განსაზღვრა	არასწორადაა/არაა გადანაწილებული არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს შორის როლი და ფუნქციები.	ნაწილობრივ გადანაწილებულია ორგანიზაციის წევრების როლი და ფუნქციები.	სრულყოფილად გადანაწილებულია მისი წევრების როლი და ფუნქციები.	

5	ორგანიზაციის სახელწოდებისა და ლოგოს კავშირი ორგანიზაციის პრიორიტეტებთან	ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგო არ უკავშირდება ორგანიზაციის პრიორიტეტებს და მის საქმიანობას.	ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგო ნაწილობრივ უკავშირდება ორგანიზაციის პრიორიტეტებს და მის საქმიანობას.	ორგანიზაციის სახელწოდება და ლოგო სრულად უკავშირდება ორგანიზაციის პრიორიტეტებს და მის საქმიანობას.	
---	---	---	---	---	--

კომპლექსური დავალება: „საზოგადოებრივ ცენტრთან თანამშრომლობა“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქსიმალური შეფასება 15
1	დავალების დაგეგმვა - I-II-III ეტაპი	დავალების თითოეულ ეტაპზე აქტივობები გაუზრებლად/არასრულადაა დაგეგმილი	დავალების თითოეული ეტაპი გამოყოფილია, აქტივობები ნაწილობრივაა დაგეგმილი	დავალების თითოეული ეტაპი გამოყოფილია, აქტივობები სრულადაა დაგეგმილი	
2	დავალების შესასრულებლად შერჩეული სტრატეგიები	დავალების შესასრულებლად არაა განსაზღვრული სტრატეგიები	დავალების შესასრულებლად ნაწილობრივადაა განსაზღვრული სტრატეგიები	დავალების შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი სტრატეგიები, ჩანს რატომაა არჩეული შესაბამისი გზა	
3	შესრულებული დავალების ანალიზი (რეფლექსია)	არაა გაანალიზებული შესრულებელი სამუშაო და მისი გასაუმჯობესებელი გზები	ნაწილობრივაა გაანალიზებული შესრულებელი სამუშაო და მისი გასაუმჯობესებელი გზები	სრულადაა გაანალიზებული შესრულებელი სამუშაო და მისი გასაუმჯობესებელი გზები	
4	აუდიტორიასთან უკუკავშირი დავალების წარდგენისას	პრეზენტატორი ვერ ამყარებს აუდიტორიასთან უკუკავშირს, ვერ /არაზუსტად	პრეზენტატორი ამყარებს აუდიტორიასთან უკუკავშირს, ნაწილობრივ	პრეზენტატორის მიერ აუდიტორიასთან უკუკავშირი სრულყოფილია,	

		პასუხობს აუდიტორიის კითხვებს	სცემს პასუხს აუდიტორიის კითხვებს	ამომწურავად სცემს პასუხს აუდიტორიის კითხვებს	
5	შემოქმედების თბილისი და ორიგინალური ობა	არ ჩანს ინიციატივის განხორციელების ახალი და ორიგინალური გზა	ინიციატივის განხორციელების შემოთავაზებული გზა ნაწილობრივ ახალია	ინიციატივის განხორციელების შემოთავაზებული გზა ახალი და ორიგინალურია	

**შემაჯამებელი კომპლექსური დავალება: პროექტი - „ჩვენი ინიციატივები
ცვლილებებისთვის“**

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქსიმალური ქულა 27
1	საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება	საინიციატივო ჯგუფი არაა ჩამოყალიბებულია საერთო ინტერესების გათვალისწინებით.	საინიციატივო ჯგუფი ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია საერთო ინტერესების გათვალისწინებით.	საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბებულია საერთო ინტერესების გათვალისწინებით.	
2	საპროექტო ინიციატივის აქტუალურობა და დასაბუთება	შერჩეული ინიციატივა არაა აქტუალური და დასაბუთებული.	შერჩეული ინიციატივა ნაკლებ აქტუალურია არადაამაჯერებლად აა დასაბუთებული.	შერჩეული ინიციატივა აქტუალურია და ცხადად დასაბუთებული.	
3	პროექტის მიზანი	მიზანი არაა დაკონკრეტებული – გაზომვადი.	მიზანი ბუნდოვანია ნაკლებად გაზომვადია.	მიზანი კონკრეტულია, მიღწევადი და გაზომვადია.	
4	პროექტის	აქტივობები არ შეესაბამება	ზოგიერთი აქტივობა არ	თითოეული აქტივობა	

	აქტივობები	პროექტის მიზანს.	შეესაბამება პროექტის მიზანს.	შეესაბამება პროექტის მიზანს.	
5	განხორციელების გზები	განხორციელების გზები ვერ უზრუნველყოფდეს მიზნის მიღწევას.	განხორციელების გზები ნაწილობრივ უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას.	განხორციელების გზები რაციონალურია და უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას.	
6	აქტივობების განხორციელების ვადები	აქტივობების განხორციელების ვადები არა რეალურია.	ზოგიერთი აქტივობების განხორციელების ვადები ნაკლებად რეალურია.	აქტივობების განხორციელების ვადები რეალურია.	
7	ფუნქციების გადანაწილება ჯგუფში	ფუნქციები არაა გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის.	ფუნქციები ზერედედაა გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის.	ფუნქციები ზუსტად გადანაწილებულია ჯგუფის წევრებს შორის.	
8	მიღწეული შედეგი	შედეგები არაა მიღწეული.	ზოგი შედეგი არაა მიღწეული და ნაწილობრივ შეესაბამება მიზანს.	შედეგები რეალურად მიღწევულია და შეესაბამება მიზანს.	
9	რესურსები (ადამიანური და ფინანსური)	რესურსები პროექტით გათვალისწინებულ ი აქტივობების განსახორციელებლ ად არაა ზუსტად განსაზღვრული.	რესურსები (ადამიანური და ფინანსური) პროექტით გათვალისწინებულ ი აქტივობების განსახორციელებლ ად ნაწილობრივაა განსაზღვრული.	რესურსები (ადამიანური და ფინანსური) – პროექტით გათვალისწინებულ ი აქტივობების განსახორციელებლ ად ზუსტადაა განსაზღვრული.	

II თავი: ადგილობრივი თვითმმართველობა

კომპლექსური დავალება 1.

ალტერნატიული დავალება 1 – „სამოქალაქო საზოგადოების პეტიცია მერიაში“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს. ქულა 15
1	პეტიციაში გამოკვეთილი პრობლემის აქტუალობა	პეტიციის ტექსტში აღწერილი პრობლემა არაა აქტუალური, არ ჩანს მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.	პეტიციის ტექსტში აღწერილი პრობლემა ნაკლებად აქტუალურია, ზერელედაა დასაბუთებული მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.	პეტიციის ტექსტში აღწერილი პრობლემა დასაბუთებულია, კარგად ჩანს მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.	
2	პრობლემის გადაჭრის გზები	პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები არაა დასაბუთებული, არაეფექტურია.	პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები არაა სრულყოფილად დასაბუთებული.	პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები დასაბუთებულია და ეფექტურია.	
3	რესურსები	მერიაში არსებულ ფინანსურ და ადამიანური რესურსებზე არაა მსჯელობა.	მერიაში არსებულ ფინანსურსა და ადამიანურ რესურსებზე მსჯელობა არაა დამაჯერებელი.	მერიაში არსებულ ფინანსურსა და ადამიანურ რესურსებზე მსჯელობა დამაჯერებელია/ რეალურია.	
4	„მერიის“ მიერ წარდგენილი პრეზენტაცია	„მერიის“ მიერ წარდგენილი პრეზენტაციაში არაა გაანალიზებული	„მერიის“ მიერ წარდგენილი პრეზენტაციაში გაანალიზებულია პრობლემის	„მერიის“ მიერ წარდგენილი პრეზენტაციაში სრულად გაანალიზებულია	

		პრობლემის აქტუალურობა, არაა შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.	აქტუალურობა, შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის ერთი გზა და საშუალება.	პრობლემის აქტუალურობა, შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.	
5	„სამოქალაქო საზოგადოების“ მიერ „მერიის“ გადაწყვეტილებების შეფასება	„სამოქალაქო საზოგადოება“ ვერ აფასებს „მერიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.	„სამოქალაქო საზოგადოება“ ზედაპირულად აფასებს „მერიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.	„სამოქალაქო საზოგადოება“ არგუმენტირებულად აფასებს „მერიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.	

ალტერნატიული დავალება 2 - „პოსტერი - პეტიცია“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს. ქულა 15
1	პოსტერი - პეტიციის წარდგენა კლასის წინაშე	პოსტერი-პეტიცია არაა შექმნილი განხილული პრობლემის საფუძველზე, ზედაპირულადაა წარდგენილი კლასის წინაშე.	პოსტერი-პეტიცია ნაწილობრივ შექმნილია პრობლემის საფუძველზე, წარდგენილია კლასის წინაშე.	პოსტერი - პეტიცია შექმნილია ზუსტად პრობლემის საფუძველზე, წარდგენილია კლასის წინაშე.	
2	პრობლემის გადაჭრის გზები	პრობლემა და გადაჭრის გზები გადმოცემულია სქემატურად არაა წარმოდგენილი ნახატებით ან ფოტოებით	პრობლემა და გადაჭრის გზები გადმოცემულია ნაწილობრივ, გადმოცემულია ნახატების ან ფოტოების საშუალებით.	პრობლემა და გადაჭრის გზები გადმოცემულია სრულად ასევე ნახატების და ფოტოების საშუალებით.	

3	საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრის ორგანიზება	არაა დაგეგმილი საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა და პეტიციის წარდგენა.	დაგეგმილია არასრულად საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა და პეტიციის წარდგენა.	დაგეგმილია საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა და პეტიციის წარდგენა.	
4	მოქალაქეთა მიღების პროცედურების დაცვა	შეხვედრის ორგანიზებაში არაა გათვალისწინებული მოქალაქეთა მიღების პროცედურები.	შეხვედრის ორგანიზებაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიღების პროცედურები.	შეხვედრის ორგანიზებაში სრულად გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიღების პროცედურები	
5	საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა	ვერ განხორციელდა საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა.	განხორციელდა საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა, მოხდა პეტიციის გადაცემა .	განხორციელდა საკრებულოს წარმომადგენელთა ან შეხვედრა, მოხდა პეტიციის სრულად განხილვა.	

ალტერნატიული დავალება 3 - კომიქსი „პრობლემის მოგვარების პროცესი“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს . ქულა 15
1	შექმნილ კომიქსში საჭიროებების იდენტიფიცირება	კომიქსში არ ხდება საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	კომიქსში ნაწილობრივ ხდება საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	კომიქსში ხდება საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	
2	პრობლემის გადაჭრაში	კომიქსში არ ჩანს მოსწავლის	კომიქსში ნაწილობრივ ჩანს	კომიქსში ჩანს მოსწავლის როლი/	

	ჩართულობა	როლი/ ჩართულობა პრობლემის გადაჭრაში.	მოსწავლის როლი/ ჩართულობა პრობლემის გადაჭრაში.	ჩართულობა პრობლემის გადაჭრაში.	
3	საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა	მოსწავლეს არა აქვს გაცნობიერებულ ი საზოგადოებრივ ი ინსტიტუციების მიერ განხორციე- ლებულ სოციალურ აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა.	მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციე- ლებულ სოციალურ აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა.	მოსწავლეს გაცნობიერებული აქვს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციე- ლებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა.	
4	თვითმმართველობ ის ფუნქციების გააზრება	მოსწავლე ვერ იაზრებს ლოკალური პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობ ის ფუნქციას.	მოსწავლე ნაწილობრივ იაზრებს ლოკალური პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობ ის ფუნქციას.	მოსწავლე სრულად იაზრებს ლოკალური პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობ ის ფუნქციას.	
5	თვითმმართველობ ასთან თანამშრომლობის გზების გააზრება	მოსწავლეს ვერ იაზრებს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობ ასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას პეტიციებისა და სხვა საშუალებით.	მოსწავლეს ნაწილობრივ გააზრებული აქვს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობ ასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა პეტიციებისა და სხვა საშუალებით.	მოსწავლეს გააზრებული აქვს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში თვითმმართველობ ასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა პეტიციებისა და სხვა საშუალებით.	

კომპლექსური დავალება 2.

ალტერნატიული დავალება 1. „არჩევნების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს. ქულა 15
1	ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა (არჩევნების მიმართ დამოკიდებულების კვლევა)	ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა არასრულია.	ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა ნაწილობრივია შესრულებული.	ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა სრულია.	
2	კვლევის მონაცემების წარდგენა	კვლევის მონაცემები ზედაპირულადაა წარდგენილი კლასის წინაშე, მონაცემები არაა ატვირთული ბლოგზე.	კვლევის მონაცემები ნაწილობრივ წარდგენილია კლასის წინაშე, მონაცემები არასრულადაა ატვირთული ბლოგზე.	კვლევის მონაცემები ეფექტურადაა წარდგენილი კლასის წინაშე, მონაცემები ატვირთულია ბლოგზე.	
3	კვლევის ანალიზი	კვლევის ანალიზი არასწორადაა/არაა გაკეთებული .	კვლევის ანალიზი ზედაპირულადაა გაკეთებული.	კვლევის ანალიზი სწორადაა გაკეთებული.	
4	კვლევის დასკვნა (თვითმმართველობაში მონაწილობა)	გაკეთებულია არასწორი დასკვნა მოქალაქეების თვითმმართველობაში მონაწილობაზე	გაკეთებულია დასკვნა, რომ მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში	გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნა, რომ მოქალაქეები ადგილობრივ თვითმმართველობაში	

			არჩევნების, საშუალებით მონაწილეობენ .	არჩევნების საშუალებით მონაწილეობენ.	
5	კვლევის დასკვნა (თვითმმართველობაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორად წარმოდგენა)	დასკვნებში არ ჩანს, რომ თვითმმართველობაში თანასწორად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი თემში მცხოვრები ქალები და კაცები.	დასკვნებში ჩანს, რომ თვითმმართველობაში თანასწორად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი თემში მცხოვრები ქალები და კაცები.	დასკვნებში არგუმენტირებულია, რომ თვითმმართველობაში თანასწორად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი თემში მცხოვრები ქალები და კაცები.	

**ალტერნატიული დავალება 2. ესე - „მე რომ სრულწლოვანი გავხდები...“
შეფასების რუბრიკა**

#	კრიტერიუმი	ქულები			მაქს. ქულა 12
		1	2	3	
1.	პირობასთან შესაბამისობა	ნამუშევარი არ პასუხობს დავალების პირობას.	ნამუშევარი ნაწილობრივ პასუხობს დავალების პირობას და ჩანს საკითხის ზედაპირული გააზრება.	ნამუშევარი სრულად პასუხობს დავალების პირობას და გააზრებულია სიღრმისეულად.	
2.	არგუმენტირებული მსჯელობა და დასაბუთება	მსჯელობა არადამაჯერებელია, არ არის გამყარებული არგუმენტებით, თუ როგორ გააკეთებს არჩევანს? რას მიანიჭებს უპირატესობას?	მსჯელობას ნაწილობრივ დამაჯერებელია, მოყვანილია არასაკმარისი არგუმენტები, თუ როგორ გააკეთებს არჩევანს? რას მიანიჭებს უპირატესობას?	მსჯელობა დამაჯერებელია, ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასაბუთებლად მოყვანილია სათანადო არგუმენტები თუ	

				როგორ გააკეთებს არჩევანს? რას მიაწვდის უპირატესობას?	
3.	ნამუშევრის სტრუქტურა და ორგანიზება	ნამუშევარი არ არის სწორად ორგანიზებული: არ არის გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე).	ნამუშევარი ნაწილობრივაა ორგანიზებული: მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); მსჯელობას აკლია თანმიმდევრულობა, აბზაცები ლოგიკურადაა გამოყოფილი.	მსჯელობა თანმიმდევრულია, აბზაცები ლოგიკურადაა გამოყოფილი. ნამუშევარი კარგადაა ორგანიზებული: გამოკვეთილია შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); შესავალში მიზნის შესაბამისად მკაფიოდ და საინტერესოდ არის დასმული საკითხი, მსჯელობა თანმიმდევრულია,	
4.	დამოუკიდებელი აზროვნება	არ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება.	ზოგჯერ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება; მსჯელობა შაბლონურია.	ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, / საკითხისადმი შემოქმედებითი, ორიგინალური მიდგომა.	

კომპლექსური დავალება 3. „გახდი აქტიური მოქალაქე“

შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს. ქულა 12
1	საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება	მოსწავლეს არ/ არასწორად შეუძლია საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	მოსწავლეს ნაწილობრივ შეუძლია საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	მოსწავლეს სწორად შეუძლია საერთო საზოგადოებრივი საჭიროებების იდენტიფიცირება.	

		ცირება.			
2	ჩართულობა და საჭირო რესურსების დაგეგმვა	მოსწავლე ვერ/არასწორად ახდენს საკუთარი ჩართულობით საერთო საჭიროებების დაკმაყოფილების გზებისა და საჭირო რესურსების დაგეგმვას;	მოსწავლე ნაწილობრივ ახდენს საკუთარი ჩართულობით საერთო საჭიროებების დაკმაყოფილების გზებისა და საჭირო რესურსების დაგეგმვას;	მოსწავლე ახდენს საკუთარი ჩართულობით საერთო საჭიროებების დაკმაყოფილების გზებისა და საჭირო რესურსების დაგეგმვას;	
3	საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება	მოსწავლე ვერ აცნობიერებს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობას.	მოსწავლე არასრულად აცნობიერებს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობას.	მოსწავლე აცნობიერებს საზოგადოებრივი ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ სოციალური აქტივობებში საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობას.	
4	მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება	მოსწავლე ვერ/არასწორად ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას, მდგრადი განვითარების პრინციპებს	მოსწავლე ნაწილობრივ ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას, მდგრადი განვითარების პრინციპებს.	მოსწავლე ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისას, მათი საქმიანობის შეფასებისას ან/და მისთვის რეკომენდაციების შემუშავებისას, მდგრადი განვითარების პრინციპებს.	

**შემაჯამებელი კომპლექსური დავალება 2. - პროექტი - „ჩვენ და ჩვენი
ქალაქი/დაბა/სოფელი“ (ბლოგის შექმნა)**

პროექტი მრავალკომპონენტია. მე-2 თავის სწავლის პროცესში მოსწავლეების მიერ განხორციელებული დავალებები, აქტივობები უნდა აიტვირთოს ბლოგზე, რომელშიც გამოჩნდება მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პოზიციები, მკვიდრი წარმოდგენები, მიღებული ცოდნის ტრანსფერი, მათი პასუხისმგებლობები. ეს მიიღწევა ისეთი დავალებებით, როგორიცაა: ესეები, მოსახლეობის გამოკითხვა, პრობლემების იდენტიფიცირება და მისი შეფასება, კომიქსები, გამოხმაურებები სხვადასხვა საკითხზე, წერილები მერს, რჩევები თანატოლებს, პეტიციები, კვლევები არჩევნებთან დაკავშირებით და სხვა. მოსწავლეები ეტაპობრივად აფასებენ მათ მიერვე შესრულებულ დავალებებს, გადაარჩევენ მათ და ტვირთავენ ბლოგზე. საბოლოოდ უნდა მოხდეს ბლოგის პრეზენტაცია მთელი იმ მასალის ჩვენებით, რაც მეორე თავის სწავლების განმავლობაში შეასრულეს მოსწავლეებმა. პრეზენტაციების პროცედურები მოცემულია მოსწავლის წიგნში. მასწავლებლის წიგნში გთავაზობთ პრეზენტაციის, მსჯელობის, ესეს, ინტერვიუს და ბლოგის შეფასების რუბრიკებს.

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება - პროექტი „ჩვენ და ჩვენი ქალაქი/დაბა/სოფელი“

შეფასების რუბრიკა

#	კრიტერიუმი	ქულები			მაქს. ქულა
		1 არასრულყოფილი	2 კარგი	3 სრულყოფილი/მაღლიან კარგი	21
1	პროექტის მიზანი	მიზანი არაა/არასრულყოფილად აა ჩამოყალიბებული შერჩეულ თემასთან კავშირში.	მიზანი ჩამოყალიბებულია , თუმცა არასრულად ჩანს შერჩეულ თემასთან კავშირი.	მიზანი სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული შერჩეულ თემასთან კავშირში.	
2	სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო არაა თანმიმდევრულად ორგანიზებული ეტაპების მიხედვით, მათ შორის გაუგებარია გადასვლები.	სამუშაო ორგანიზებულია ეტაპების მიხედვით, შეიმჩნევა ლოგიკური გადასვლები.	სამუშაო კარგადაა ორგანიზებული ეტაპების მიხედვით, მათ შორის არის ლოგიკური გადასვლები.	
3	შინაარსის კორექტულობა და სანდოობა	ბლოგისთვის მოძიებული მასალა შეუსაბამოა, ფაქტები და მასალების	ბლოგისთვის მოძიებული მასალა ძირითადად აქტუალურია,	ბლოგისთვის მოძიებული მასალა აქტუალურია, ფაქტები და	

		სანდოობის შემოწმება ვერ ხერხდება.	ფაქტები და მასალები სანდოა.	მასალები სანდოა.	
4	შემოქმედებითობა	ბლოგზე/პორტფოლიოში განთავსებულია მხოლოდ ფაქტები, არ ჩანს შემსრულებლის ორიგინალურობა	ბლოგზე/პორტფოლიოში განთავსებულ მასალებში შეინიშნება შემსრულებლის ორიგინალური აზრები	ბლოგზე/პორტფოლიოში განთავსებული მასალები ახალია, ჩანს შემსრულებლის ორიგინალურობა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის	
5	თვალსაჩინოება	მასალები მწირია ვიზუალურად, არაა გაფორმებული	მასალები ვიზუალურად საკმარისი, გაფორმებულია	მასალები ვიზუალურად მრავალფეროვანია , კარგადაა გაფორმებული	
6	პრეზენტაცია	არაა წარმოჩენილი შესრულებული პროექტის არსი, არ იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს კითხვებზე ზედაპირულად/არა სწორად	ბუნდოვნადაა წარმოჩენილი პროექტის არსი, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს ზოგიერთ კითხვაზე	ნათლადაა გადმოცემული შესრულებული პროექტის არსი, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს ყველა კითხვაზე სრულად	
7	პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება	არ ჩანს პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან/მიზნებთან და გარემოსდაცვითი პრინციპი	ნაწილობრივ წარმოჩენილი პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან და გარემოსდაცვითი პრინციპი	კარგადაა წარმოჩენილი პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზანთან და გარემოსდაცვითი პრინციპი	

ბლოგის შეფასების რუბრიკა

#	კრიტერიუმები	1	2	3	მაქს. ქულა 12
1	შინაარსობრივი გამართულობა და ინფორმაციის სანდოობა	ბლოგი მოიცავს მოკლე, არაარსებით ინფორმაციას.	ბლოგი მოიცავს ზოგად ინფორმაციას და მოსწავლეთა მიერ დამუშავებულ დავალებებს აკლია კონკრეტულობა .	ბლოგი მოიცავს ვრცელ, განზოგადებულ, ასევე კონკრეტულ, არსებით ინფორმაციას მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების/აქტივობების შესახებ.	
2	მოქალაქეობრივი ინიციატივების გამოჩენა	ბლოგში არ ჩანს მოსწავლის მოქალაქეობრივი ინიციატივები - პრობლემის იდენტიფიცირება, საზოგადოებრივ ჯგუფთან ურთიერთობები.	ბლოგში აღწერილი მოსწავლის მოქმედებები ყოველთვის არ წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივას, ბუნდოვანია საზოგადოებრივ ჯგუფებთან ურთიერთობის მიზნები და/ან არ ჩანს პრობლემის ადეკვატურად იდენტიფიცირება / დემოკრატიული პრინციპების დაცვა.	ბლოგში ჩანს მოსწავლის მოქალაქეობრივი ინიციატივები - პრობლემის იდენტიფიცირება, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთან ურთიერთობები და/ან პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისად მოქმედება საკუთარი თემის/მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, დემოკრატიული პრინციპებით მოქმედება.	
3	ბლოგის ორგანიზება	ბლოგს არ გააჩნია საწყისი გვერდი; რთულია ბლოგზე ნავიგაცია და ინფორმაციის	ბლოგს აქვს საწყისი გვერდი; წარმოდგენილია ჰიპერტექსტური ბმულები	ბლოგი კარგად არის ორგანიზებული. საწყის გვერდზე აღწერილია ბლოგის მიზანი და შინაარსი, ასევე	

		მოძიება.	საიტზე გა- დაადგილე- ბისათვის, მაგრამ საიტის შინაარსი, მისი მიზნები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული .	წარმოდგენილია ჰიპერტექსტური ბმულები საიტზე ნავიგაციისთვის.	
4	გრაფიკული ელემენტების გამოყენება	ბლოგი თითქმის მთლიანად ტექსტურია; ან გამოყენებულია გრაფიკული გამოსახულებები და ვებგვერდის სხვა ელემენტები, რომლებიც ხელს უშლის ან აბნევს მომხმარებლებს, გაიაზროს და გაიგოს ავტორის/ბლოგი ს მიზნები	ბლოგზე გამოყენებულია გრაფიკული გამოსახულებებ ი და ვებგვერდის სხვა ელემენტები, მაგრამ ზოგჯერ ისინი შეუსაბამოა ან ხელს უშლის ავტორის/ბლოგ ის მიზნების გამოხატვას.	ბლოგზე გამოყენებულია მრავალფეროვანი გრაფიკული გამოსახულებები და ვებ-გვერდის სხვა ელემენტები, რაც ვებ-გვერდს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად, ასევე კარგად გადმოსცემს ავტორის სათქმელს.	

დისკუსიის შეფასების სქემა

#	კრიტერი უმი	1	2	3	მაქს. ქულ ა 15
1	მოსმენა	არ/ან ზერელედ უსმენს ორატორს.	ზოგჯერ უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს.	ბოლომდე უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს.	
2	საუბარი	ვერ მეტყველებს მკაფიოდ, ზოგჯერ ვერ ამყარებს კონტაქტს მსმენელთან.	მეტყველებს გასაგებად, ზოგჯერ ამყარებს კონტაქტს მსმენელთან.	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს.	
3	არავერბა ლური	ვერ იყენებს არავერბალური კომუნიკაციის	ზოგჯერ იყენებს არავერბალური კომუნიკაციის	ეფექტურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის	

	კომუნიკაცია	ფორმებს (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით).	ფორმებს (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ფორმებს (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	
4	მოსაზრებების არგუმენტირება	მოსაზრებები არაა გამყარებული ფაქტებით, ცნებებით. არ არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრებები არგუმენტირებულია და ზოგჯერ გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. ზოგჯერ არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრებები ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	
5	თანამშრომლობა	არ თანამშრომლობს თანაკლასელებთან, არ აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და უჭირს დისკუსიის წესების დაცვა	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ არ აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და ნაწილობრივ იცავს დისკუსიის წესებს	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	

მსჯელობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	1	2	3	მაქს. ქულა 15
1.აქტიური მონაწილეობა	იშვიათად / არ მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში.	მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში.	აქტიურად მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში.	
2.გამართული და სწორი მეტყველება	არ მეტყველებს გამართულად, აქვს მწირი ლექსიკა.	მეტყველებს გამართულად, ლექსიკა ზომიერია.	მეტყველებს გამართულად; აქვს მდიდარი ლექსიკა.	
3.საკუთარი აზრის დასაბუთება	თავის მოსაზრებას ვერ აყალიბებს დამაჯერებლად და არგუმენტირებულად	თავის მოსაზრებას წარმოადგენს, თუმცა არასრულყოფილად ააგონებს არგუმენტირებული	დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას.	

4. დასკვნების გამოტანა	მსჯელობის საფუძველზე ვერ გამოაქვს ადეკვატური დასკვნები.	მსჯელობის საფუძველზე უმეტესწილად გამოაქვს ადეკვატური დასკვნები.	მსჯელობის საფუძველზე გამოაქვს ადეკვატური დასკვნები.	
5.სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება	არ ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას მაშინ, როცა არ ეთანხმება მას.	უმეტესწილად ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას მაშინაც, როცა არ ეთანხმება მას.	ყოველთვის ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას მაშინაც, როცა არ ეთანხმება მას.	

შეფასების რუბრიკა - ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია

კრიტერიუმი	ქულა	
თემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი მხარე		
სტრუქტურულად გამართულია (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	1- 0	
შინაარსობრივად პასუხობს მითითებულ პირობას და ინფორმაცია წარმოდგენილია სრულყოფილად/საინტერესოდ.	1- 0	
საკითხები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.	1- 0	
გამდიდრებულია ვიზუალური და/ან აუდიო მასალით.	1- 0	
ზეპირი გამოსვლისთვის საჭირო უნარები		
თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს მეტყველების სტილს.	1- 0	
შეფერხებების გარეშე, მკაფიოდ და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს.	1- 0	
იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ საშუალებებს.	1- 0	
შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას.	1- 0	
მიზნის შესაბამისად იყენებს მეტყველების ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს (ხმის ტემბრი, ინტონაცია, ჟესტები, მიმიკა და სხვ.); აუდიტორიასთან ამყარებს მხედველობით კონტაქტს.	1 - 0	
იცავს დროის ლიმიტს.	1- 0	
მაქსიმალური ქულა:	10	

არგუმენტირებული ესეს შეფასების რუბრიკა

#	კრიტერიუმი	ქულები			მაქს. ქულა:
		1	2	3	12
1.	პირობასთან შესაბამისობა	ნამუშევარი არ პასუხობს დავალების პირობას.	ნამუშევარი ნაწილობრივ პასუხობს დავალების პირობას და ჩანს საკითხის ზედაპირული გააზრება.	ნამუშევარი სრულად პასუხობს დავალების პირობას და გააზრებულია სიღრმისეულად.	
2.	არგუმენტირებული მსჯელობა და დასაბუთება	მსჯელობა არადამაჯერებელია, არა არის გამყარებული არგუმენტებით.	მსჯელობას აკლია დამაჯერებლობა, ლოგიკურობა; საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასასაბუთებლად მოყვანილია არასაკმარისი არგუმენტები, ან მოყვანილი არგუმენტები არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით.	მსჯელობა დამაჯერებლად, ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, საკუთარი შეხედულებების/მოსაზრებების დასასაბუთებლად მოყვანილია სათანადო არგუმენტები და გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით.	
3.	ნამუშევრის სტრუქტურა და ორგანიზება	ნამუშევარი არ არის სწორად ორგანიზებული: არ არის გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); მსჯელობა არ არის თანმიმდევრული, აბზაცები ლოგიკურად არ არის გამოყოფილი.	ნამუშევარი ნაწილობრივაა ორგანიზებული: მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); მსჯელობას აკლია თანმიმდევრულობა, აბზაცები ლოგიკურადაა გამოყოფილი.	ნამუშევარი კარგადაა ორგანიზებული: გამოკვეთილია შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (რეზიუმე); შესავალში მიზნის შესაბამისად მკაფიოდ და საინტერესოდ არის დასმული საკითხი, მსჯელობა თანმიმდევრულია,	

				ლოგიკურადაა გამოყოფილი აბზაცები.	
4.	დამოუკიდებელი აზროვნება	არ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება.	ნაკლებად ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება; მსჯელობა შაბლონურია.	ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, / საკითხისადმი შემოქმედებითი, ორიგინალური მიდგომა.	

ინტერვიუს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ჯერჯერობით უჭირს	საშუალოდ	კარგად
ფლობს გასაუბრების/ინტერვიუს თემას			
სვამს მოკლე, მკაფიო და კარგად გააზრებულ კითხვებს			
საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად			
საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ, იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს (თვალთ კონტაქტი, ჟესტი, მიმიკა)			
კითხვის დასმის, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს			
საჭიროების შემთხვევაში, სვამს დამატებით შეკითხვებს			
არის თავაზიანი, ამჟღავნებს ინტერესს			

ჯგუფის მუშაობის თვითშეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ჩვენ შევძელით:	დიახ	ნაწილობრივ	ვერ
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფში სამუშაო მიზანი კარგად გაგვეცნო ობიერებინა			
ჯგუფის მიერ სამუშაოს დაგეგმვა	სამუშაო კარგად დაგვეგეგმა და შეგვესრულებინა გეგმით გათვალისწინებული ყველა პუნქტი			
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაოს კარგად ორგანიზება და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების სწორად და თანაბრად გადანაწილება			
ჯგუფის წევრთა ჩართულობა, ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობა	ჯგუფის ყველა წევრი ვყოფილიყავით აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს გვექონოდა პოზიტიური და საქმის ურთიერთობები			

დისკუსიაში მოსწავლის თვითშეფასების სქემა

მოსწავლის სახელი და გვარი ----- თარიღი -----

მე შევძელი	დიახ	ნაწილობრივ	ვერ
მომესმინა და თვალყური მედევნებინა ორატორითვის			
მკაფიოდ მემეტყველა და მეყურებინა მსმენელებისთვის			
ეფექტურად აღმექვა და გამომეყენებინა არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)			
გამომეტყვეა ორიგინალური და ფაქტებით, ცნებებით გამყარებულია მოსაზრებები. დამემყარებინა ლოგიკური კავშირი საკითხთან			
მეთანამშრომლა თანაკლასელებთან, პატივი მეცა სხვისი აზრისთვის, დამეცვა დისკუსიის წესები			

5. დანართები

დანართი 1.

საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (ამონარიდი)

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები

2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

- ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;
- დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება;
- ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- ზ) მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- ი') მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ი'2) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;
- ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;
- ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;
- პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;
- ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშესაფრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

მუხლი 23 - მუნიციპალიტეტის საკრებულო

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი".

მუხლი 24 - მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში;

ა.ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობების წარდგენა;

ა.გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების) დადგენა;

ა.დ) მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა;

ა.ე) ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

ბ) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

ბ.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ბ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მათში ცვლილების შეტანა;

ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და გაუქმება, დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

ბ.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;

ბ.ზ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში მუნიციპალიტეტის/საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა;

ბ.თ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ.ბ) ამ კანონის შესაბამისად მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება;

გ.გ) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;

დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

დ.ა) ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;

დ.ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

დ.გ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს;

დ.დ) "საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობით მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება;

დ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა "საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

ე.ა) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;

ე.ბ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენა, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა;

ე.გ) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

ე.დ) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე.ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა.

მუხლი 50 - მერია მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი. მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. მერიის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას. მერიის სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ქვედანაყოფები, რომლებიც განისაზღვრება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და სამტატო ნუსხით.

მუხლი 85 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 85' - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობასთან, მათ შორის, კოლეგიური ორგანოს სხდომის საჯაროობასთან, და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და მათ საფუძველზე მიღებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის ორგანოები აგრეთვე ვალდებული არიან, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;

დ) ამ კანონის შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;

ე) საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;

ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

ი) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ქვეყნდება ან/და საჯაროდ ცხადდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ან/და ქვეყნდება პროაქტიულად.

მუხლი 85'2 - დასახლების საერთო კრება

1. დასახლების საერთო კრება (შემდგომ - საერთო კრება) არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

2. საერთო კრების სახელწოდება შედგება შესაბამისი დასახლების კატეგორიის დასახლებისგან ("სოფელი"/"დაბა"/"ქალაქი"), დასახლების სახელწოდებისა და ზოგადი სახელწოდებისგან ("საერთო კრება").

3. საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე შესაბამისი დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირს.

4. ეს კანონი განსაზღვრავს საერთო კრების უფლებამოსილებებს, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესს იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება.

5. იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, შეიძლება დაწესდეს საერთო კრების დასახლების ცალკეულ ნაწილებში ეტაპობრივად მოწვევის პროცედურა. საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ კანონის 855 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

6. იმ დასახლებაში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, აგრეთვე ამ დასახლებაში შექმნას რამოდენიმე საერთო კრება და, ამ კანონის გათვალისწინებით, განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი, სახელწოდებები და საქმიანობის წესი.

7. საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

8. საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.

9. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევნო საერთო კრების შეკრებამდე ვადით. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება, თუ მომდევნო საერთო კრება საერთო კრების ახალ რჩეულს არ აირჩევს. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს ზედიზედ არა უმეტეს 5-ჯერ.

10. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 85'3 - დასახლების საერთო კრების უფლებამოსილება

1. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ბ) განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

დ) ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება

საქართველოს კანონმდებლობას, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

ვ) მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ზ) მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები;

თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი;

ი) უფლებამოსილების ფარგლებში დავალებები მისცეს საერთო კრების რჩეულს;

კ) განახორციელოს ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

2. საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული წინადადება, შენიშვნა, დავალება საერთო კრების გადაწყვეტილების სახით ფორმდება საერთო კრების ოქმით.

3. საერთო კრების გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს რეაგირებისთვის წარედგინებათ ამ კანონის 85⁵ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი ამ კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს.

4. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების საერთო კრებისთვის განსახილველად წარდგენა.

მუხლი 85⁴ - დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი

1. საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს - საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;

გ) საერთო კრების რჩეულს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში). განცხადებასთან უნდა ერთოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხები საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს.

3. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მერია. საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გაცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობისა და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია და საერთო კრების დღის წესრიგი, ამ კანონის 85' მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯაროდ ქვეყნდება.

5. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებას.

6. საინიციატივო ჯგუფის წევრს უფლება აქვს, რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი გაასაჩივროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

7. საინიციატივო ჯგუფი საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა. სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი.

8. რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები.

9. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე.

10. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობის მიღების შემთხვევაში. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები. რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

11. საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ამ კანონის 85' მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.

13. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიცირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი.

14. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ.

15. საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფენ მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 85'5 - დასახლების საერთო კრების საქმიანობის წესი

1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ისა. საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად, დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა, თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. საერთო კრებაზე დგება საერთო კრების ოქმი. საერთო კრების ოქმში უნდა მიეთითოს საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, საერთო კრების მიერ განხილული

საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება, საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. საერთო კრების ოქმს ხელს აწერენ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირები. საერთო კრების ოქმის ასლის მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი საერთო კრების გამართვიდან 7 დღის ვადაში.

მუხლი 86 - პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;

ბ) საერთო კრებას.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.

3. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.

4. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

5. პეტიცია უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;

ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არა უმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

6. შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

7. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის ამ კანონის 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

9. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

11. ამ მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ან "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

12. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

15. ამ მუხლის მე-12 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

16. ამ მუხლის მე-12 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი ინფორმაციას ცნობად იღებს ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამისი გადაწყვეტილებას.

17. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

18. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

19. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

20. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

21. პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, გარდა ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

22. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურეებმა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

23. პეტიციის რეგისტრაციასთან, ხელმოწერების შემოწმებასა და პეტიციის განხილვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები ამ მუხლის შესაბამისად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

24. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი.

მუხლი 86' - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათაბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

3. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

4. რაიონის გამგებლის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის გამგებელი.

5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

მუხლი 87 - მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

მუხლი 88 - მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

1. მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.
3. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება.

დანართი 2

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (ამონარიდი)

მუხლი 134. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.
2. თვითმმართველი ქალაქის / თვითმმართველი თემის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.
3. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერი.
4. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობენ შესაბამისი საარჩევნო ოლქისა და ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.
6. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები.

მუხლი 135. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის უფლებამოსილებათა ვადები

1. მორიგ არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

დანართი 3

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (ამონარიდი)

მუხლი 6. მოქალაქეთა უფლებები გარემოს დაცვის სფეროში

მოქალაქეს უფლება აქვს:

- ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
- ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

- გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- დ) მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე;
- ე) გაერთიანდეს გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში;
- ზ) მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ;
- თ) სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

მუხლი 7. მოქალაქეთა ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში

მოქალაქე ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში;
- ბ) გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს;
- გ) იზრუნოს გარემოს დაცვაზე;
- დ) მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ.

6. ლექსიკონი

ადგილობრივი თვითმმართველობა - თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადვოკატირება - საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა შეიძლება გულისხმობდეს როგორც ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის, პოზიციისა და პროგრამების ცვლილებას, ისე - იდეების შემუშავებას ამ ინტერესების დასაცავად, ან მათ შეთავაზებას საზოგადოებისათვის. ამას გარდა - საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნიშნავს საზოგადოების მხრივ ხმის ამაღლებას, მნიშვნელოვანი საკითხებისათვის თვალყურის დევნას და გადაწყვეტილებების მიმღებთაგან შესაბამისად გადაჭრის მოთხოვნას.

ადმინისტრაციული საზღვრები - (აქ) მუნიციპალიტეტის საზღვრები
ბიუჯეტი - სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.

ბლოგი - ერთი ან რამოდენიმე ადამიანის მიერ წარმოებული ვებ-გვერდი რეგულარული ჩანაწერებით, რომლიც აღწერს სხვადასხვა მოვლენებს, შეიცავს გრაფიკულ, ვიდეო, აუდიო მასალას. ბლოგების უმეტესობა შეიცავს კომენტარს ან ახალ ამბავს კონკრეტული თემის შესახებ, ზოგჯერ კი წარმოადგენს ონლაინ დღიურს. ბლოგი აერთიანებს ტექსტს, გამოსახულებას, ბლოგების, ვებ-საიტების ლინკებს და თემასთან დაკავშირებულ მასალას. მკითხველებს აძლევს კომენტარების დატოვების საშუალებას.

გრანტი - უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული პროექტების, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისთვის.

დაბა - დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ - კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ - კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;

თალიბები, თალიბანი - ისლამური სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ავღანეთში შეიქმნა 1994 წელს. იმ დროს თალიბების მიზანი იყო ისლამური ნორმების აღდგენა. თალიბი მებრძოლები ძირითადად მოქმედებენ მცირე ჯგუფებათ და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესავური კავშირებით და რელიგიური აღმსარებლობით. თალიბანი თანამშრომლობს ბევრ ტერორისტულ ორგანიზაციასთან, მათ შორის ალ-ქაიდასთან. მათი საბრძოლო მოქმედებები ძირითადად პარტიზანული ხასიათისაა და მოქმედების არეალი არის ავღანეთი

და პაკისტანი. თალიბანი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აღიარებულია როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

თვითმმართველობა - ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის, ორგანიზაციის ან მოქალაქეთა ჯგუფის საქმეთა დამოუკიდებელი გამგებლობა არჩევითი ორგანოების მეშვეობით ან უშუალო დემოკრატიის გზით (კრების, რეფერენდუმის და სხვა საშუალებებით).

თვითმმართველი ერთეული - მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ - მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსავლები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

თვითმმართველი ქალაქი - ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.

თვითმმართველი თემი - რამოდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.

თვითმმართველობის ორგანოები - ადგილობრივი თვითმმართველობა შეიცავს ორი სახის ორგანოებს, როგორებიცაა: არჩევითი - საკრებულოები და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ფორმალურად მოწოდებული არიან ცხოვრებაში გაატარონ წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა - საკრებულო. განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა ხდება შესაბამისი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის მიერ, პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე.

ინსტიტუცია - (აქ) ორგანიზაცია.

კომპეტენცია - კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარი. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას.

კომუნიკაცია - ერთი პიროვნების ან ჯგუფის მიერ მეორესთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესი.

კონცეფცია - რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის გაგების, განმარტების გარკვეული წესი, ძირითადი თვალსაზრისი, მათი სისტემატური ანალიზის სახელმძღვანელო იდეა.

კომიქსი - (ინგლ. Comics) — ვიზუალური ხელოვნების ფორმა, რომელიც შედგება გამოსახულებებისა და ტექსტის (დიალოგური ბუშტების ან ტიტრების სახით) კომბინაციისაგან.

მატრიცა - მონაცემთა გამოსახვის ფორმა, რომელიც ძირითადად გამოიყენება ობიექტების აღსაწერად მათი ატრიბუტების მიხედვით. ვიზუალურად მას აქვს ცხრილის სახე, რომლის თითოეული სვეტი შეესაბამება ობიექტის ცალკეულ ატრიბუტს, ხოლო სტრიქონები – ამ ატრიბუტების მნიშვნელობებს სხვადასხვა ობიექტებისათვის. მათემატიკაში მატრიცა ხშირად გამოიყენება ორგანოზომილებიანი რიცხვითი მონაცემების აღწერისას.

მდგრადი განვითარება — საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების

გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მედიატორი - მომრიგებელი, შუაგაცი. მედიატორი ნეიტრალური პირია, რომელიც წარმართავს მოდავე მხარეთა ურთიერთობას და ცდილობს, დაამყაროს ღია და გამჭვირვალე დამოკიდებულება მათ შორის. მას არ შეუძლია მხარეებს მიუთითოს რაიმე ქმედების განხორციელებაზე, ან მისცეს რჩევები.

მიტიგაცია - ჯერ არ დამდგარი საგანგებო სიტუაციის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობა.

მუნიციპალიტეტი - დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

ნობელის პრემია - ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ყოველწლიური საერთაშორისო პრემია. გაიცემა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების, რევოლუციური გამოგონებების ან კულტურასა თუ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.

სახელი ეწოდება მისი დამაარსებლის შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ალფრედ ნობელის პატივსაცემად. ნობელის ანდერძის მიხედვით, მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ კაპიტალს უნდა შეედგინა ნობელის პრემიის ფონდი. ნობელის პრემია ენიჭება ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის კანდიდატებს რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელზეც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი ჯილდოსგან.

ოპონენტი - კამათის დროს საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანი. პირი, რომელიც კამათში, პაექრობაში გამოდის ვისიმე მოსაზრების საპირისპიროდ.

პრევენცია - წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად (მაგ., კონფლიქტის პრევენცია)

რეგლამენტი - სახელმწიფო ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობის განსაზღვრული წესების ერთობლიობა. მსგავსი მნიშვნელობით ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს როგორც სხდომის, კონფერენციის ან ყრილობის სესიათა წარმართვის წესების აღმნიშვნელი.

რეინჯერი - ტყის მცველი. რეინჯერი ყოველდღიურად პატრულირებს (ფეხით, ცხენით, მანქანით) თავის სამოქმედო ტერიტორიაზე საპატრულო ბილიკებზე და რაიმე დარღვევის აღმოჩენისას ახდენს კანონმდებლობის შესაბამის რეაგირებას. ადგილობრივ მოსახლეობაზე საშუაშე მერქნის გაცემის დროს რეინჯერი ვალდებულია, მოსახლეს მიუთითოს და აჩვენოს ტყეკაფში მათთვის გამოყოფილი ხე-ტყე, რათა არ მოხდეს დაუწონრავი ხე-ტყის მოჭრა და მოპოვება, რაც, შესაბამისად, გაზრდის უკანონო ჭრებს. ასევე რეინჯერი უზრუნველყოფს თემთან ურთიერთობასა და ვიზიტორთა უსაფრთხო გადაადგილებას.

რეფერენდუმი - საყოველთაო-სახალხოკენჭისყრა (*გამოკითხვა*) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თვალსაზრისით რომელიმე დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მაგ.:

საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანება ან გამოსვლა, კონსტიტუციის მიღება, ტერიტორიული საკითხი, დამოუკიდებლობის მოპოვება თუ გამოცხადება და ა. შ.

საჯარო დაწესებულება - სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულებაა, აგრეთვე იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

საჯარო სამსახური - საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში.

საჯარო ინფორმაცია - ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

სერვისი - მომსახურება.

სოლიდარობა - ვინმეს პოზიციის, შეხედულებების მხარდაჭერა, თანაგძნობა. რაიმე ქმედების ან აზრის აქტიური მხარდაჭერა, საერთო ინტერესების ქონა, ერთსულოვნება.

სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო -სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე.

ტერიტორიული ერთეული - მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა, ქალაქი.

ტექნოგენური კატასტროფა – უბედური შემთხვევა, განპირობებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, რომელსაც თან სდევს მძიმე, ტრაგიკული შედეგები. ტექნოგენური კატასტროფებია: რადიაქტიური გამოსხივება, ოკეანესა და ხმელეთზე ნავთობის დაღვრა, ქიმიური ნივთიერებების გამოფრქვევა, ტყის გამანადგურებელი ჭრა, გაუდაბნოება.

ქალაქი – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ -კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ -კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო -სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

7. გამოყენებული ლიტერატურა

- საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2014 - <http://ncp.ge/>
- სამოქალაქო განათლების ლექსიკონი - <http://www.nplg.gov.ge>
- საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
- სოციალური პოლიტიკა საქართველოში №1 [ჰორიზონტი], თბ. 2002
- დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა, სატრენინგო მასალები - გ.ნოზაძე, მ. ბეგიაშვილი, დ. ბოსტოლანაშვილი, დ. ლოსაბერიძე, დ. ლეჟავა, მ. მკალავიშვილი, ს.ნოზაძე, - თბილისი, 2007წ. - ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://f.ls/JsDTg>
- ინფორმირებული მოქალაქეები ეფექტური თვითმმართველობისთვის - ირმა პავლიაშვილი, რატი თინიკაშვილი - საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წ. - ბოლო ნახვა 12.02.2020
- თუ არ მონაწილეობ, არ გრძნობ პასუხისმგებლობას! თუ მონაწილეობ, სამყაროს შეცვლაც შეგიძლია! - ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://f.ls/tzL4l>
- საქართველოს კონსტიტუცია - ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
- საქართველოს ორგანული კანონი-ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=45>
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ - ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=26>
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://urlzs.com/auJZS>
- ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X.1985 - ბოლო ნახვა 12.02.2020

რეკომენდირებული ლიტერატურა:

- დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა, სატრენინგო მასალები - მ. მკალავიშვილი, მ. ბეგიაშვილი, დ. ლეჟავა, გ.ნოზაძე, ს.ნოზაძე, დ. ბოსტოლანაშვილი, დ. ლოსაბერიძე - თბილისი, 2007წ. - ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://urlzs.com/RJDLE>

- არჩევნებიდან ინსტიტუტებამდე, დემოკრატიის გზამკვლევი ახალგაზრდებისთვის.
მარიამ ლორთქიფანიძე, ანა ჭაია- ბოლო ნახვა 12.02.2020
<http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/25>
- ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო.USAID
დემოკრატიული მმართველობასაქართველოში (G3) პროგრამა- ირინე ურუშაძე,
ბოლო ნახვა 12.02.2020
- დემოკრატიისა და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის
ქვეყნებში - საქართველო - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა
ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში - დემოკრატიისა და
ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - ნინო
თვალთვაძე, 2017 წ. ბოლო ნახვა 12.02.2020
- მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში -
მონიტორინგი და რეკომენდაციები - მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი,
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო . 12 ივნისი, 2017 წ. ბოლო ნახვა 12.02.2020
- ინფორმირებული მოქალაქეები ეფექტური თვითმმართველობისთვის - ირმა პავლიაშვილი,
რატი თინიკაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წ. - ბოლო ნახვა
12.02.2020
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების დაცვა საჯარო დაწესებულებებში.
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ბოლო ნახვა 12.02.2020
- საქართველოს კონსტიტუცია
ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
- საქართველოს ორგანული კანონი-ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=45>
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ
ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=26>
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
ბოლო ნახვა 12.02.2020 <https://urlzs.com/4ViKT>
- ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 15.X.1985
ბოლო ნახვა 12.02.202

